F-171
1975

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

2-3

СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თებერვალი—მარტი

თბილისი 1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

2-3

F 4055

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თებერვალი—მარტი

თბილისი 1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ჭურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III-75 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 9

შეკვ. № 165 უე—04463 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ПРИКАЗ № 1106
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
31-XII-1974 г.

О ПОСТАНОВКЕ ПРЕПОДАВАНИЯ РОДНОГО ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ В ШКОЛАХ С РУССКИМ ЯЗЫКОМ ОБУЧЕНИЯ РАЙОНОВ ИМ. ЛЕНИНА И ОРДЖОНИКИДЗЕ Г. ТБИЛИСИ

Рассмотрев материалы проверки, коллегия Министерства просвещения Грузинской ССР отмечает, что органами народного образования районов им. Ленина и Орджоникидзе и педколлективами проверенных школ проводится определенная работа с целью повышения уровня знаний школьников по родному языку и литературе.

Обучение по новым программам заметно стимулировало самообразование учителей.

На высоком методическом уровне проводят уроки русского языка учителя шк. № 63 Н. И. Бутурлина и И. Л. Шотадзе; четкой организацией, рациональным использованием каждой минуты отличались уроки русского языка Прохоровой В. Ф. (шк. № 64), Сыроваткиной М. И. (шк. № 138). Свободно владея материалом, показав умение глубоко и правильно анализировать текст художественного произведения со стороны его идейного содержания, провели уроки литературы учителя: Дмтиренко И. И. (шк. № 136), Иванова Е. И. (шк. № 64), Толстова Т. В. (шк. № 52), Корчемная Л. (шк. № 56), Амирханова А. М., Надирова И. (шк. № 63).

Идеи народности, патриотизма, партийности были подчеркнуты при разборе произведений Грибоедова, Шевченко, Горького на уроках литературы учителями: Новоселовой Е. Д., Дмитренко И. И. (шк. № 136), Шестаковой Н. М. (шк. № 64).

Умело активизировали учеников в процессе урока словесники школы № 63 (Амирзанова А. М., Шотадзе

И. А., Надирова И. А.) и шк. № 64 (Деметрашвили Н. А., Тутберидзе Н. Г., Иванова Е. И. и др.).

Удачно использовали наглядные пособия учителя: Шотадзе И. А. (шк. № 63), Макарова В. (шк. № 11), Санадзе А. Г. (шк. № 52), Рязова М. Г. (шк. № 54), Дмитренко И. И. (шк. № 136), Лысенко Т. И. (шк. № 15).

Единственным случаем применения техсредств (эпидиаскоп) явился урок литературы Черновой Н. И. в 9 классе ср. шк. № 33.

Проверка тетрадей показала, что нормы обучающих в контрольных работ учителями выполняются, работа над ошибками проводится аккуратно.

Ведется интересная внеклассная работа в литературных кружках школ №№ 56, 64, 102, 11, 136, 138 и др.

Над актуальными вопросами, включенными в план работы методического объединения словесников, работают учителя школ № № 66, 11, 102, 52, 128.

Большинство учеников проверенных школ в основном удовлетворительно усвоило пройденный материал по языку и литературе, приобрело определенные навыки грамотного письма и связной речи.

Однако, наряду с отмеченными выше положительными фактами, проверкой выявлен ряд недостатков в преподавании родного языка и литературы, препятствующих повышению уровня знаний школьников по этим предметам.

Во всех II-ти проверенных школах до сих пор нет оборудованных кабинетов родного языка и литературы, и потому на 80-ти из всех прослушанных уроков не были использованы наглядные пособия и техсредства.

Словесники школы № 64 (Ряузова М. Г., Тутберидзе Н. Г., Сарибеков М. Г.) догружены часами труда, изобразительного искусства, работой в библиотеке, так как в школе 12 учителей русского языка. Полную недельную нагрузку (18 ч.) имеет только одна учительница (Скогорева Е. В.).

Недостаточно серьезно готовятся к урокам некоторые учителя, как например, Игитханов А. Г. и Заремба Т. Н. (шк. № 56), Иосебадзе Т. Д. и Янакова А. И. (шк. № 63).

Ряд словесников неправильно составляет поурочные планы, которые редко проверяются администрацией (Барданашвили Л. Я., Санадзе Л. Г. — шк. № 52 и др.).

На уроках русского языка, которые должны иметь практическую направленность, учителя увлекаются теорией и ведут работу в устной форме (Санадзе Л. Г. — шк. № 52; Тутберидзе Н. Г., Ряузова М. Г. — шк. № 64; Иосебадзе Т. Д. — шк. № 63; Акопова Н. — шк. № 15).

Не проводится словарная работа на уроках языка учителями; Сарибековой М. Г., Деметрашвили Н. А. (шк. № 64), Каминской Н. А. (шк. № 128), Птадзе Л. (шк. № 102), Жирновой Л. Н. (шк. № 33), Игитхановым А. Г., Ситкиной Р. А., Заремба Т. Н. (шк. № 56), Янаковой А. И., Иосебадзе Т. Д. (шк. № 63) и другими.

В IV-VII классах ряда школ существуют группы учеников, которые не овладели техникой чтения в пределах нормы, установленной для III класса, что свидетельствует о серьезных пробелах, оставленных учителями начальных класов в знаниях учащихся (школы №№ 136, 56, 11 и другие).

Принцип проблемного изучения произведений медленно входит в практику словесников.

Слабым местом большинства учителей остается работа над текстом художественного произведения, которая в ряде случаев сводится к простому (не комментирующему) чтению или пересказу прочитанного (Таирова И. В. — шк. № 138, Котоева О. А. — шк. № 56).

Не всегда раскрывается воспитательное значение изучаемых произведений.

Анализ литературного произведения проводится без учета единства его идейного содержания с художественной формой.

Не раскрываются особенности литературного произведения как искусства слова (Кахетелидзе Н. А., Толстова Т. В., Навасардова В. И. — шк. № 52, Каминская Н. А. — шк. № 128, Чернова Н. И. — шк. № 33 и др.).

Остается низкой плотность опроса по языку и в особенности по литературе в некоторых школах (№ 128, 52 и др.).

Серьезным нарушением является отсутсвие оценок по русскому языку (устно) в 10-ых классах школ № 102 (учит. Лобжанидзе Н. Р.), № 64 (Шестакова Н. М.) № 52 (Чижевская В. В.), № 128 (Баргман Т. Г.), № 138, (Быченко А. С.).

Беспланово опрашивают школьников учителя школ № 128, (Карагезова И., Мазманова Т., Кислицына В. И.,

Шерман Н. Б. и др.) и № 52 (Адамия Н. П., Навасардова В. М. и др.).

Словесники проверенных школ до настоящего времени не изучили новые «Нормы оценки знаний, умений и навыков учащихся IV-X классов по русскому языку для школ с русским языком обучения Грузинской ССР», изданное в 1973 году Министерством просвещения. «Единый орфографический режим» тоже не вошёл еще в жизнь проверенных школ.

Работы обучающего и контрольного характера свидетельствуют о невысокой грамотности значительного числа школьников и слабом развитии их письменной речи.

В целях устранения вышеуказанных недостатков в работе учителей родного языка и литературы школ с русским языком обучения

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Зав. ОНО районов им. Ленина (тов. Татишвили Т. Г.) и Орджоникидзе (тов. Сургуладзе Р. В.) города Тбилиси:

а) своевременно доводить до школ методические рекомендации и разработки, составленные Минпросом ГССР и обеспечивать их своевременное освоение.

б) принимать строгие меры по отношению к учителям, не посещающим городские секционные занятия;

в) обеспечивать назначаемых на работу учителей полной ставкой;

г) периодически изучать постановку преподавания родного языка и литературы в общеобразовательных школах района и принимать соответствующие меры для повышения уровня знаний школьников.

2. Директорам школ и их заместителям по учебно-воспитательной работе:

а) принимая во внимание основопологающую роль начальной школы в процессе обучения школьников и в особенности в привитии им навыков грамотного письма, развитии речи и техники чтения, проводить проверку навыков чтения по книге (незнакомого текста) учеников I-III классов в начале III и в конце IV четвертей в соответствии с установленными нормами; ученикам, не овладевшим данными навыками в пределах нормы, установленной для каждого класса, оказывать систематическую помощь; добиться квалифицированной проверки письменных работ всеми учителями начальной школы;

б) обеспечить преемственность преподавания родного языка учителями начальной и средней школы, главным образом III и IV классов;

в) учитывая, что целью изучения родной литературы является формирование коммунистического мировоззрения и коммунистической нравственности, обеспечивать более высокую степень воспитательной значимости уроков языка и литературы;

г) добиться выполнения «Норм оценки знаний, умений и навыков учащихся IV-X классов по русскому языку» и «Единого орфографического режима», изданных Минпросом ГССР в 1973 г. словесниками школы и остальными предметниками в части, касающейся их:

д) проявлять высокую требовательность к ведению школьной документации, в частности, к оформлению и содержанию поурочных планов; при проверке поурочного плана сверять его с календарным тематическим планом, который должен быть приведен в соответствие с расписанием уроков данного учителя;

е) вести точный учет дополнительной индивидуальной работы с отстающими учениками в специальной книге; в конце каждой четверти требовать от учителей — словесников тетради с системой заданий, выполненных в порядке дополнительной работы слабоуспевающими учениками;

ж) учитывая, что ряд недостатков в работе словесников является следствием слабой подготовки учителей по общей методике, внести в план работы школьных методобъединений на II полугодие изучение следующих вопросов;

методика опроса на уроках литературы; проблемное изучение художественных произведений; словарная работа на уроках языка и литературы; анализ текста художественного произведения на основе теории литературы; классификация ошибок в письменных работах учеников по новым «Нормам» и работа над ошибками;

з) принимать необходимые меры для создания оборудованных кабинетов родного языка и литературы во всех школах;

и) организовать в школе обмен опытом работы словесников, сделать опыт лучших достоянием всех;

к) наметить действенные меры для активизации работы библиотеки по пропаганде книги и организации планомерного внеклассного чтения учеников.

3. Учителям русского (родного) языка и литературы:

а) систематически работать над повышением уровня своей идейно-политической, теоретической и методической подготовки;

б) прививать любовь к своему предмету путем расширения внеклассной работы по языку и литературе;

в) организовать совместно с библиотекой систематическое внеклассное чтение и обязать школьников вести читательские дневники;

г) пополнять лексический запас учащихся на уроках языка и литературы, доводя до сознания школьников смысл каждого нового слова;

д) строго соблюдать сроки проверки контрольных (обучающих) и домашних работ, установленные новыми «Нормами» и «Единым орфографическим режимом»;

е) на уроках русского языка, сочетая изучение теории с практической работой, делать упор на последнюю с целью привития школьникам навыков грамотного письма;

ж) с целью повышения уровня грамотности школьников тщательно анализировать ошибки во всех письменных работах учащихся; вести учет ошибок каждого отстающего ученика и на его основании составлять индивидуальные задания, выполнение которых строго контролировать.

4. За плохую постановку проверки знаний учащихся и слабый контроль за ведением учета знаний и выставлением оценок в классные журналы заместителям директоров по учебно-воспитательной работе школ № 128 и № 52 т. т.: Жвания В. А., Недядко А. М., Тархнишвили А. И., Квачадзе И. И. — УКАЗАТЬ.

5. За недостаточно тщательную подготовку к урокам учителей: Игитханова А. Г., Заремба Т. Н. (шк № 56), Иосебадзе Т. Д. (шк. № 63) — ПРЕДУПРЕДИТЬ.

6. За отсутствие поурочных планов, потерю тетрадей для обучающих работ и отсутствие контроля за ведением классно-домашних тетрадей учащихся 4-х классов учительнице школы № 138, Стехиной С. И. ОБЪЯВИТЬ ВЫГОВОР.

7. Означенный приказ обсудить на заседаниях педагогических советов школ, Советов РОНО и наметить мероприятия по улучшению состояния преподавания родного языка и литературы.

8. Управлению школ (тов. Канделаки Р. С.) систематически проверять состояние преподавания родного языка и литературы в школах с русским языком обучения республики и по мере надобности выносить данный вопрос на обсуждение Коллегии.

Основание: Постановление Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 27. 12. 1974 года.

Министр **Т. В. ЛАШКАРАШВИЛИ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 31 დეკემბრის ბრძანება № 1108

სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წითელწყაროს რაიონში

განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ წითელწყაროს მშრ. დეპ. რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანების შესასრულებლად.

მაგრამ, ამასთან ერთად, ამ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებს, პედაგოგიურ კოლექტივებსა და სახალხო განათლების განყოფილებას აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულების საქმეში აქვთ მთელი რიგი სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წითელწყაროს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებმა გააძლიერონ მუშაობა საკუთარი იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიკურ-მეთოდიკური და მეცნიერული დონის ასამაღლებლად, გულმოდგინედ იმუშაონ სწავლებაში ტექნიკური საშუალებების, თვალსაჩინოების დასანერგად, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების დასაუფლებლად; აამაღლონ გაკვეთილის, როგორც სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ფორმის როლი.

2. წითელწყაროს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) ღრმა ანალიზი გაუკეთონ სკოლების მთელ სასწავლო-აღმზრდელობით, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, გაბედულად გამოავლინონ ნაკლოვანებანი და ხარვეზები, ამასთან, ყურადღების გარეშე არ დატოვონ არც სკოლის მოწინავე მუშაკთა დადებითი გამოცდილება და უზრუნველყონ, ერთი მხრივ, პირველის სალიკვიდაციოდ ქმედით ღონისძიებათა დასახვა-განხორციელება და, მეორე მხრივ, დადებითი გამოცდილების გაზიარება-განზოგადება;

ბ) გადაჭრით გაუმჯობესონ სასკოლო მუშაობის დაგეგმვა; გახადონ სკოლის წლიური, პედაგოგიური საბჭოს, კლასის ხელმძღვანელთა, ყოველი კაკვეთილის, პიონერხელმძღვანელის, მშობელთა კომიტეტისა და სხვ. სამუშაო გეგმები შინაარსიანი, მოქნილი, ოპერატიული; ამასთან, მთელ ამ მუშაობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის განკუთვნილი ზემდგომი სადირექტივო ორგანოების სათანადო დადგენილებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და სხვა მასალებით; აამაღლონ სკოლის ცალკეულ მუშაკთა პასუხისმგებლობა ამ უმნიშვნელოვანესი საქმისადმი;

გ) მკვეთრად გაუმჯობესონ დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლის ყველა მუშაკისადმი; ამ მიზნით უფრო შინაარსიანი, მიზანსწრაფული გახადონ შინასასკოლო კონტროლი;

დ) სკოლაში მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეთოდგაერთიანებათა მუშაობაში, რისთვისაც დაეხმარონ მათ სხდომებზე წასაკითხავი მოხსენებების მომზადებასა და განხილვაში;

ე) მიიღონ ზომები სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, რათა ამ ხაზით განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყონ ყოველმხრივ განვითარებული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული კომუნისტური საზოგადოების აქტიური წევრების აღზრდას.

3. წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ნ. ბოსტოღანაშვილმა):

ა) კვალიფიციური ანალიზი გაუკეთოს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით, საფინანსო-სამეურნეო მუშაობას, რისთვისაც გულდასმით შეისწავლოს სკოლების

ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობის სხვადასხვა საკითხი და საჭიროების შემთხვევაში გახადოს იგი რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგნად;

ბ) მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ზომა სკოლების სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად; მტკიცედ დანერგოს პრაქტიკაში კაბინეტ-ლაბორატორიების შევსება მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღებით; დააჩქაროს სასწავლო კაბინეტების ხელსაწყო-იარაღების აღწერა და სკოლებს შორის მათი გადანაწილება; მეტი ყურადღება მიაქციოს სასკოლო შენობების, ეზოებისა და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების მოვლასა და მათი მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას;

გ) მიიღოს ქმედითი ზომები რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განსახორციელებლად. ამ მიზნით მტკიცედ იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო სახელმძღვანელო დოკუმენტებით;

დ) სისტემატური დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელოს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე; პერიოდულად შეისწავლოს მათი მუშაობა და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ე) გააუმჯობესოს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელ და პედაგოგიურ კადრებთან მუშაობა. მიაღწიოს იმას, რომ სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი უთუოდ იყოს ზუსტი მეცნიერების ან საბუნებისმეტყველო ციკლის რომელიმე საგნის სპეციალისტი; პედაგოგიური კადრების შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით აღკვეთოს მომავალში მასწავლებლად არასპეციალისტთა დანიშვნის შემთხვევები;

ვ) გულდასმით შეისწავლოს საკითხი ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, თანამედროვე მეთოდებითა და ხერხებით სასწავლო პროცესის სრულყოფის მდგომარეობის შესახებ და განაზოგადოს სკოლების მოწინავე მუშაკთა გამოცდილება;

ზ) განათლების განყოფილებისა და მისი მეთოდური კაბინეტის მუშაობაში მეტი ადგილი დაუთმოს მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხებს; მეთოდურ კაბინეტში მოაწყოს სათანადო პედაგოგიკურ-მეთოდიკური ლიტერატურის გამოფენა და სკოლების მუშაკთათვის მათი გაცნობა:

თ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი მასწავლებელთა მუშაობის პირობების შემდგომ გასაუმჯობესებლად; ამ მიზნით მკაცრი კონტროლი განახორციელოს მასწავლებელთა [illegible] ნორმდებლობით დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობის დაცვაზე;

ი) სისტემატურად იზრუნოს სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის გასამდიდრებლად, მიაღწიოს ბიბლიოთეკის როლის ამაღლებას აუცილებელი პოლიტიკური, მხატვრული, პედაგოგიკურ-მეთოდიკური და საცნობარო ლიტერატურით მოსწავლეებისა და მასწავლებლების უზრუნველყოფის საქმეში;

კ) სისტემატური ქმედითი კონტროლი განახორციელოს ზემდგომი ორგანოების დადგენილებების, მითითებების, ინსტრუქციებისა და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებულ დავალებათა და დადგენილი წესების შესრულების მიმდინარეობაზე.

4. საგნის სწავლებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო ჯაფარიძის საღამოს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს თამარ ჭეჭედლიშვილს გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილებულ იქნეს, რომ თუ უახლოეს ხანში მკვეთრად არ გამოასწორებს მუშაობას, მის მიმართ მიღებულ იქნება უფრო მკაცრი ორგანიზაციული ზომები.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო ჯაფარიძისა და გამარჯვების საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ზ. ნატრომშვილსა და ლ. ყაჭაშვილს, მირზაანის რვაწლიანი, ჯაფარიძის დღისა და წითელწყაროს საღამოს სკოლების მათემატიკის მასწავლებელს დ. ყოჩიაშვილს, მ. ჩუთლაშვილს და ი. ყოჩიაშვილს, გამარჯვების საშუალო სკოლისა და არხილოსკალოს საღამოს სკოლის ქიმიის მასწავლებლებს ც. ბოსტოღანაშვილსა და ც. გურასპაულს* გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

6. მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო, გამარჯვების საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს დ. რობიტაშვილს, ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის უცხოური ენების მასწავლებელს ნ. გონაშვილს, თ. ზუბიაშვილსა და არხილოსკალოს საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ავ. ივანიძეს გამოეცხადოთ საყვედური.

7. საგნის სწავლებაში სერიოზულ ნაკლოვანებათა დაშვებისათვის ზემო მაჩხაანისა და გამარჯვების საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მ. მაჭელაშვილს, ნ. გოგოლაშვილს, ამავე სკოლის რუსული ენის მასწავლებელს ლ. ოზაშვილს, წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის უცხოური ენების მასწავლებლებს ლ. ბეგიაშვილს, ნ. ტოკლიკიშვილსა და ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს ზ. სპანდერაშვილს, წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის ფიზიკისა და ფიზკულტურის მასწავლებლებს ს. კანიდსა და ფრ. იაკობაშვილს მიეთითოთ.

8. სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, რამაც გარკვეულად განაპირობა სერიოზული ნაკლოვანებანი დაწყებით კლასებში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ქიმიაში მოსწავლეთა მომზადებაში, გამარჯვების საშუალო სკოლის დირექტორს ხ. ალუღიშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

9. სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო მირზაანის რვაწლიანი და წითელწყაროს საღამოს სკოლების დირექტორებს ვ. თარაშვილსა და ა. დათუკიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

10 წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებამ (ნ. ბოსტაღანაშვილმა):

ა) გამარჯვების საშუალო სკოლის მესამე კლასის რუსული ენის მასწავლებელი ლ. მოსულიშვილი, რომელიც ვერ ასწავლის ამ საგანს, სათანადო წესის დაცვით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაოდან;

ბ) ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელს ლ. ჯანაშვილს, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია და სათანადოდ ვერ ფლობს ინგლისურ ენას, ჩამოართვას ამ საგნის საათები და გამოიყენოს იგი სპეციალობის მიხედვით;

გ) სასწავლო წლის ბოლოსათვის წარმოადგინოს წინადადება შემდგომში გამარჯვების საშუალო სკოლის დირექტორად ხ. ალუდაშვილის დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ;

დ) ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ არადამაკმაყოფილებლად მომუშავე იმ მუშაკებს, რომლებიც ამ ბრძანებით არ არიან დასჯილნი;

ე) ეს ბრძანება, საჭირო ღონისძიებათა გატარების მიზნით, დაუყოვნებლივ განიხილოს განათლების განყოფილების სახალხო განათლებისა და რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე;

ვ) მომავალი 1975 წლის 20 მაისისათვის მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

11. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) გააძლიეროს საჭირო თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით სოფლის სკოლებისადმი დახმარება.

12. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ა. კვაჭაძე) საბიუჯეტო განყოფილებამ (ამხ. თ. ჩიტაძე):

ა) წითელწყაროს რაიონის იმ სკოლებში, რომელთა მიკრორაიონში არის 25 და მეტი 6-წლიანი ბავშვი, გახსნას მოსამზადებელი კლასები;

ბ) კაბინეტ-ლაბორატორიების შესავსებად სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოუყოს რაიონს 1 500 მანეთი.

13. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) დაუყოვნებლივ მოითხოვოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისაგან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებისაგან ანგარიში სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ; შეისწავლოს თვით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატშიც აღნიშნულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ჩატარებული მუშაობა და შედეგები მოასენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას 1975 წლის 10 აპრილამდე.

ბ) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 4055

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოხსენებითი ბარათი

სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წითელწყაროს რაიონში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ, სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილის ს. ღ. დვალის (ხელმძღვანელი), სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების თ. ვ. მელქაძის, დ. ა. მზარაძის, მ. ი. მანდარიას, ნ. ს. გიორგობიანის, თ. ნ. ხურცილავასა და ლ. ი. გიგინეიშვილის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტის რ. უ. ჯაფიაშვილის, ტექნიკური საშუალებათა რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტის ტ. მ. ფაჩუაშვილის, პროფორიენტაციისა და შრომითი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტის ა. ნ. ტერეპოვის, ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მეთოდისტის ა. პ. სუხიაშვილის შემადგენლობით, მიმდინარე წლის 10-დან 19 ოქტომბრამდე წითელწყაროს რაიონში შეისწავლა საკითხი სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა — უპირველესი საზრუნავი

სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა

ორგანოების დადგენილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანებით გათვალისწინებულ დავალებათა განსახორციელებლად წითელწყაროს რაიონში ტარდება მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ერთობლივად განიხილეს საკითხი რაიონის სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ, რომლის საფუძველზედაც გაიშალა არა მარტო სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, არამედ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების მუშაობაც. 1974—1980 წლებში რაიონში გათვალისწინებული სამუშაოები შემდეგ სურათს იძლევა:

(დანართი იხილეთ კრებულის ბოლოს, გვ. 142).

გასულ. 1973 წელს მასწავლებელთა აგვისტოს რაიონულმა თათბირმა განიხილა საკითხი „რაიონის მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა ამოცანები სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა გარდა თათბირს ესწრებოდნენ სასოფლო, საქალაქო აღმასკომებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, მსხვილ წარმოებათა ხელმძღვანელები და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მიმდინარე წლის მაისში პარტიის წითელწყაროს რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღეს დადგენილება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით რაიონული დათვალიერების მოწყობის შესახებ. დათვალიერების შედეგები განხილულ იქნა 17 ოქტომბერს. გამარჯვებულებს — ზემო მაჩხაანისა და წითელწყაროს მე-2 საშ. სკოლებს, არბოშიკისა და ზემო ქედის ბაგა-ბაღს, სოფ. ჯაფარიძის საკოლმეურნეო ბაღს, ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობასა და არხილოსკალოს სოფლის საბჭოს გადაეცათ რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის სიგელები.

სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ დღემდე:

ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ ააშენა ტიპური ბაგა-ბაღის შენობა 140 აღსაზრდელზე (203 ათ. მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით) და შეუძინა მას 13 ათასი მანეთის რბილი და მაგარი ინვენტარი, ამასთან, გარდა ამისა, ასათვისებელია 10 ათასი მანეთი.

ამჟამად კოლმეურნეობა კაპიტალურ რემონტს უტარებს მაჩხაანის საბავშვო ბაღს.

ზემო მაჩხაანის საშ. სკოლას სოფლის საბჭო უშენებს ტიპურ სახელოსნოს 30 მოსწავლეზე (14 ათ. მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით).

გამარჯვების კოლმეურნეობა ცენტრალურ გათბობას უკეთებს ოფლის საშუალო სკოლას, დაამთავრა სპორტული მოედნის მოწყობა და შეუძინა ტრაქტორის შესასწავლი კაბინეტის მოწყობილობა.

ზემო ქედისა და ქვემო ქედის კოლმეურნეობები ცენტრალურ გათბობას აწყობენ საშუალო სკოლისათვის. ზემო ქედის კოლმე-

ურნეობამ სკოლას შეუძინა 3 ათასი მანეთის საერთო ღირებულების ლინოლეუმი, რომელიც თვით მოსწავლეებმა დააგეს ყველა საკლასო ოთახში.

არხილოსკალოს სასოფლო საბჭომ საბავშვო ბაღს შეუძინა 1.500 მანეთის საერთო ღირებულების სათამაშო მოედნის მოწყობილობა, გამოუყო ფულადი სახსრები ბაღის კაპიტალური რემონტისათვის; მომავალი წლის იანვარში შესრულების წესით გასცემს სამთაწყაროს ახლად გახსნილი საბავშვო ბაღისათვის საჭირო თანხებს, კოლმეურნეობა კი შეუძენს მას რბილ და მაგარ ინვენტარს.

წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომმა გამოყო საჭირო თანხები გაზით გათბობაზე სკოლა-ინტერნატის გადასაყვანად.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაზით გათბობაზე წითელწყაროს მეორე.საშუალო სკოლის გადასაყვანად გამოყო 5 442 მანეთი, ხოლო 1-ლი ბაგა-ბაღის კაპიტალური რემონტისათვის გაითვალისწინა 14 ათ. მანეთი.

მიმდინარე სასწ. წლიდან ექსპლოატაციაში შევიდა ზემო ქედისა და სამთაწყაროს 8-წლიანი სკოლების ტიპური სასკოლო შენობები. უახლოეს ორ წელში აშენდება სამთაწყაროს მასწავლებელთა სახლი და ქვემო ქედის დაწყებითი სკოლა.

გარკვეულად გაუმჯობესდა სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურება: 1973/1974 წლებში პირველად ისარგებლა რაიონის სკოლის ყველა მასწავლებელმა უფასო განათებით, გათბობითა და ბინით, ზოგმა მასწავლებელმა მიიღო მსუბუქი ავტომანქანაც.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, წითელწყაროს რაიონის სკოლებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზით სკოლების მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად.

სოფ. ჯაფარიძის, არბოშიკისა და არხილოსკალოს სკოლებს, ესაჭიროებათ რეკონსტრუქცია, მაგრამ კოლმეურნეობებს არა აქვთ გათვალისწინებული ამ სამუშაოების შესრულება, კაპიტალური რემონტის სახსრებით კი მათი გაკეთება არ ხერხდება.

სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას დიდად უშლის ხელს სამშენებლო მასალების უქონლობა. ამ მიზეზით ვერ მოხერხდა ქ. წითელწყაროს 1-ლი ბაგა-ბაღის კაპიტალური რემონტისათვის ხარჯთაღრიცხვით გამოყო-

ფილი თანხის ათვისება, ჯერ-ჯერობით მიუშენდა მხოლოდ სამხარეულო, ხოლო სამშენებ-ლო მასალების უქ..ხლოესის გამო ... ... შოსაადდა საექსპლოატაციოდ წითელწყაროს ვ. ი. ლენინის სახ. კოლმეურნეობაში ტიპური ბაღის შეხობა.

მიმდინარე წელს ორმა საბავშვო ბაღმა დაგვიანებით დაიწყო მუშაობა, რადგან დროულად არ იყო მიღებული სარემონტო და საძშენებლო მასალები.

გარკვეული ნაკლოვანებანი შეინიშნება მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადებაში: სეოიოზული სამუშაოებია შესასრულებელი გათბობის სისტემისა და სკოლის შენობის ეთი დაზიანებული კედლის დასამთავრებლად ზემო ქედის საშუალო სკოლაში.

კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღებით შესავსებად დაწყებული არსებული მაალების სკოლებს შორის გადანაწილება, მაგრამ ეს სამუშაო ნელა მიმდინარეობს.

ქვემო ქედის საშუალო სკოლას არა აქვს მოწყობილი სპორტული მოედანი მაშინ, როდესაც მას ამისათვის ყოველგვარი საშუალება აქვს, სარეველებით აოის დაფარული სასკოლო ბიწის ნაკვეთის ერთი ნაწილი და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს თითქმის ყველა გახანგრძლივებული დღის ჯგუფი. არც ერთ სკოლასთან არ არის შექმნილი მათი მუშაობისათვის საჭირო ბაზები. მოსწავლეები დღის მეორე ნახევარს ისევ საკლასო ოთახებში ატარებენ და არა აქვთ პირობები გონივრული დასვენებისათვის. სკოლებში არ არის მოძრავი ბიბლიოთეკები და სათამაშო-გასართობების საჭირო რაოდენობა.

არასაკმაო ყურადღება ექცევა სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში ცხელი საუზმით მოსწავლეთა უზრუნველყოფას, მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობებს რჩევა მიცათ, მიეღოთ ზომები სკოლების ბუფეტებისა და სასადილოების გასაფართოებლად, ეს სამუშაო დღემდე მხოლოდ ზემო ქედში შესრულდა. სკოლის სასადილოში 25 დასაჯდომი ადგილის ნაცვლად ამჟამად 50 ადგილია გამოყოფილი.

აღნიშნული რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო და ტექნიკური ბაზა უეჭველ გამდიდრებას საჭიროებს, რომ წარმატებით შეძლოს, გადაწყვიტოს სოფლის სკოლის წინაშე დასმული სადღეისო ამოცანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განსახორციელებლად

წითელწყაროს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განსახორციელებლად, რის შედეგადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის ჩაბმის გეგმა შესრულდა შემდეგი სახით:

კლასების დასახელება	გეგმა	შესრულება	პროცენტი	მაჩვენებელი პროცენტებში საშუალო რესპუბლიკური
0—III	1743	1965	112,7%	0—VIII—100.25%
IV—VII	3835	3813	99,4%	გეგმა—808866
IX—X	940	886	94,3%	შესრულება—810994
0—X	6518	6664	102,2%	IX—X—99,6%

ამრიგად, კონტინგენტის გეგმა საერთოდ შესრულდა რაიონში, მაგრამ შესრულდა 0—III კლასებში გეგმის ზევით მიღებულთა ხარჯზე. IV—VIII და IX—X კლასებში კი გეგმა შეუსრულებელი დარჩა. კონტინგენტის გეგმის შესრულების ზოგი რაიონული მაჩვენებელი ნაკლებია საერთო რესპუბლიკურზე.

გარკვეული ნაკლოვანებანი შეინიშნება საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელების საქმეში; ასე მაგალითად, წითელწყაროს I-ლი საშ. სკოლის (დირექტორი ქ. ჯორჯიაშვილი) II კლასის მოსწავლე ქ. ბეგიაშვილი აღარ სწავლობს, თითქოს ავადმყოფობის გამო, მაგრამ სკოლას სათანადო სამკურნალო დაწესებულების დასკვნა არ მოეპოვება. ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ჯამასპიშვილი) V კლ. მოსწავლე გ. ნატროშვილი გავიდა სკოლიდან და ამჟამად წვევამდელია. ჯაფარიძის საშუალო

სკოლის (დირექტორი ვ. ყოჩიაშვილი) VIII კლ. მოსწავლე ლ. გონ-
ნაშვილი გავიდა სკოლიდან, მაგრამ სკოლას არა აქვს არავითარი ყა-
ბუთი, თუ სად იმყოფება იგი. მირზაახის რვაწლიანი სკოლიდან (დი-
რექტორი ი. თარაშვილი) გავიდნენ მოსწავლეები ვ. გონაშვილი და ვ.
ლობჟანიძე, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელობამ არაფერი იცია, სად
წავიდნენ ისინი.

ნაკლოვანებანი შეინიშნება სწავლებაში იმ ახალგაზრდების ჩა-
ბმის საქმეში, რომელთაც დაამთავრეს რვა კლასი; ასე მაგალითად,
სოფ. გამარჯვების საშუალო სკოლის რვაკლასადამთავრებული მოს-
წავლეები თ. ქ. ს., თ., და მ. ბ. წავიდნენ სკოლიდან, ისინი თითქოს
ტექნიკუმში სწავლობენ, მაგრამ ამის დამადასტურებელი არავითარი
წერილობითი საბუთი სკოლას არა აქვს.

რაიონის განათლების განყოფილებას და სკოლების პედაგოგიურ
კოლექტივებს მოუხდებათ, გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი შეძო-
ხსენებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სკოლების ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრები

წითელწყაროს რაიონის 15 საშუალო, 5 რვაწლიან, 6 დაწყებით
სკოლაში, I რვაწლიან სკოლა-ინტერნატში, 10 საბავშვო ბაღსა და
ბაგა-ბაღში მუშაობს 705 მასწავლებელი და აღმზრდელ-მასწავლებე-
ლი, მათ შორის: სკოლებში—59 სკოლამდელ დაწესებულე-
ბებში — 111.

სკოლებში მომუშავეზე მასწავლებელთაგან უმაღლესი განათ-
ლებით არის 508, უმაღლესდაუმთავრებელი — 18, საშუალო სპეცი-
ალური განათლებით—55, ზოგადი საშუალო განათლებით—13.

სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე 111 აღმზრდელ-მა-
სწავლებლიდან უმაღლესი განათლება აქვს 43-ს, უმაღლესდაუმთავ-
რებელია — 6, საშუალო პედაგოგიური განათლებით — 47, ზოგადი
საშუალო განათლებით — 15.

უმაღლეს განათლებას დაუსწრებლად იღებს 35 მასწავლებე-
ლი და სკოლამდელი დაწესებულების 6 მუშაკი.

ზემო მაჩხაახის, ქ. წითელწყაროს მეორე, ქ. წითელწყაროსა და
სოფელ წითელწყაროს საღამოს საშუალო, სკოლა-ინტერნატისა და
კასრისწყლის რვაწლიანი სკოლების დირექტორები და მათი მოა-
დგილეები მონათესავე საგნების სპეციალისტები არიან.

1973 წლის 20 აგვისტოდან 1974 წლის 10 ოქტომბრამდე წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილების მიერ დანიშნულია მუდმივად — 94 მასწავლებელი, დროებით — 19 [illegible] ულია — 41, გათავისუფლებულია 73 მასწავლებელი.

მასწავლებელთა დანიშვნა-გათავისუფლება ძირითადად მოქმედი წესების დაცვით ხდება, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ზოგიერთ დარღვევას:

1. სოფლის 8-წლიანი სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო მუშაობის დარგში დანიშნულია ესტაჟო გ. ვოსკანიანი.

2. ანალოგიური მდგომარეობაა წითელწყაროს საღამოს საშუალო სკოლაში, იქაც დირექტორის მოადგილედ სასწავლო მუშაობის დარგში დანიშნულია პედაგოგიური სტაჟის არამქონე ციცინო ბოსტოღანაშვილი.

3. კასრისწყლის 8-წლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლად დანიშნულია ზოგადი საშუალო განათლების მქონე ელმირა ელადიმერის ასული ლალოიანი.

4. ქ. წითელწყაროს მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ დანიშნული თინა ფირუზის ასული გონაშვილი სპეციალობით ფილოლოგია, დირექტორი გ. ლომაშვილი — ისტორიკოსი.

5. წითელწყაროს მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში აღმზრდელად დანიშნულია ცემზი თედოს ასული მამუკელაშვილი, რომელიც სპეციალობით მათემატიკოსია.

6. არხილოსკალის საღამოს საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლად დანიშნულია ქიმიკოსი ციალა იოსების ასული გურასპაული.

7. ზოგადი საშუალო განათლების მქონე რაისა დიპკას და ნატალია მეფეიჩენკოს დანიშვნის ბრძანებები არასწორად არის ფორმულირებული. ისინი უნდა დანიშნულიყვნენ მოვალეობის შემსრულებლებად, განყოფილებას კი დანიშნული ჰყავს მასწავლებლებად.

8. ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილები არასწორად არის განაწილებული: IV კლასებში ფიზკულტურას ასწავლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მასწავლებელი ჟუჟუნა ნატროშვილი, დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, V კლასებში კი ფიზკულტურას ასწავლის ისტორიკოსი ნიკოლოზ ქადაგიძე.

მასწავლებელთა მომავალ ატესტაციასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიური კადრების პირადი საქმეების

მოწესრიგებას, რაც რაიონის განათლების განყოფილებას თან ქმის გაკეთებული აქვს; მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა მასწავლებელს არა აქვს ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიც არის პირადი ბარათი — ფორმა ტ—2, დიპლომის ასლი, ფოტოსურათი, დანიშვნის ბრძანების ასლი და სხვა; ასე მაგალითად, შემოწმების დროს პირადი ბარათი—ფორმა ტ-2 არ აღმოაჩნდათ მასწავლებლებს: ლ. მ. ღვედაშვილს, ნ. ჩ. ლეკიაშვილს, ჟ. ა. ლეკაშვილს (ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა), ს. ლ. კობიაშვილს, უშ. ბადიაშვილს, შ. გავაშელს (მირზაანის რვაწლიანი სკოლა), ც. ბოსტოღანაშვილს (გამარჯვების საშ. სკოლა), გ. მირონოვას (წითელწყაროს რუსული საშ. სკოლა), აკაკი მაჩაბლიშვილს (წითლწყაროს მეორე საშ. სკოლა) და სხვებს.

ბრძანება სკოლაში მასწავლებლად დანიშვნის შესახებ არა ჰქონდათ: თ. ზ. სუხიტაშვილს, ნ. წიკლაურს, მ. იაკობიშვილს (გამარჯვების საშ. სკოლა), სეხნიაშვილს, ბ. ს. ბიკაშვილს, ნ. ქ. მახაროგლიშვილს (ზემო მაჩხაანის საშ. სკოლა), ნ. ხარაშვილს, ნ. ხოლოდნოვას, ჟ. ბონდარენკოს (წითელწყაროს რუსული საშ. სკოლა) და სხვებს; ფოტოსურათები არ აღმოაჩნდათ: ც. გ. მიქელაშვილს, ნ. მ. ნატროშვილს (ზემო მაჩხაანის საშ. სკოლა), გ. გიგაურს (გამარჯვების საშ. სკოლა), გ. ვოსკანიანს (საბათლოს რვაწლიანი სკოლა) და სხვ. დიპლომის ასლი არა აქვს წარმოდგენილი ტ. მირონოვას (წითელწყაროს რუსული საშ. სკოლა).

ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებლებს არასრულყოფილად აქვთ შევსებული პირადი ბარათები: არ ჩანს, სად უმუშავიათ, ბარათები ზოგჯერ დაუთარიღებელი და ხელმოუწერელია. პირადი ბარათები არასრულყოფილად ჰქონდათ შევსებული მასწავლებლებს: ვლ. სპანდერაშვილს, შ. ბოსტოღანაშვილს, რ. ფაქიზაშვილს, ნ. ჯანაშვილს, ზ. თარაშვილს (ზემო მაჩხაანის საშ. სკოლა, ელ. ჭუაძეს (წითელწყაროს მეორე საშუალო სკოლა), ნ. ალუღიშვილს, შ. წიკლაურს (გამარჯვების საშ. სკოლა).

შემოწმების დროს შრომის წიგნაკი არ აღმოაჩნდათ:
ქ. წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის 4 მუშაკს;
წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის 3 მუშაკს;
გამარჯვების საშუალო სკოლის 1 მუშაკს;
განათლების განყოფილების 3 მუშაკს.

შრომის წიგნაკებში ზოგჯერ არასწორად არის გაკეთებული ჩანაწერები: „დაინიშნოს“, „განთავისუფლდეს“ და სხვა.

წითელწყაროს რაიონის სკოლების მუშაობაში შენიშნული გამოხსენებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად შეპირობებულია სწორედ იმ ხარვეზებით, რომელთაც ადგილი აქვს სკოლებს ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების შერჩევა—დაწინაურებაში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ ადგილზე მიეცათ საჭირო მითითებანი.

სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობა

წითელწყაროს რაიონში განათლების სისტემის 16, ხოლო სხვა უწყების 2 სკოლამდელი დაწესებულებაა.

მათგან შესწავლილ იქნა განათლების სისტემის 14 და ჯაფარიძის სახ. კოლმეურნეობის საბავშვო ბაღი.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ჯაფარიძის კოლმეურნეობისა და წითელწყაროს მეორე ბაგა-ბაღის ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ბავშვთათვის შესაფერისი გარემო-პირობების შესაქმნელად.

წითელწყაროს 1-ლი და მე-2, ზემო მაჩხაანის, არბოშიკისა და ზემო ქედის ბაღებისა და ბაგა-ბაღების აღმზრდელები: მ. დემეტროვა, ლ. ეპიტაშვილი, მ. ბალაშვილი, ე. კედელაშვილი, ჟ. გურამიშვილი ყურადღებას აქცევენ აღზრდის ახალი პროგრამის მიხედვით სამუშაო გეგმებისა და მათი შესაბამისი აღრიცხვის წარმოების საქმეს, მეცადინეობისათვის პროგრამული და თვალსაჩინო მასალის შერჩევას, აღსაზრდელების გონებრივ მომზადებას, მათში ქცევის იმ ჩვევების განმტკიცებას, რომლებიც ეხმარებათ სკოლისათვის უკეთ მომზადებაში.

ზემო მაჩხაანის საბავშვო ბაღის 6—7 წლიანთა ჯგუფის აღმზრდელმა ლ. ეპიტაშვილმა კარგად ჩაატარა მეცადინეობა მშობლიურ ენაში. დროულად და პროგრამის შესაბამისად იყო შერჩეული მასალა, დაგეგმილი ჰქონდა მოთხრობა „მშვიდობით“ შინაარსის წაკითხვა. მეცადინეობის მსვლელობისას მისი ტონი, მეტყველება ბავშვებისათვის გასაგები და საინტერესო იყო. გამოიყენა შესაფერისი მეთოდები და ხერხებიც. ამიტომაც ბავშვებს პროგრამული მოთხოვნის დაძლევა გაუადვილდათ.

წითელწყაროს მეორე ბაგა-ბაღის 6—7-წლიანთა ჯგუფის აღმზრდელი ჟ. გურაშვილი ბავშვებს აძლევს არა მარტო გონებრივ განვითარებას, არამედ აიარაღებს პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებითაც.

მემოწმების დღეს აღნიშნული ჯგუფის აღსაზრდელები ამზადებენ-ნენ თათარასა და ავლებდნენ ჩურჩხელებს.

ეროვნული

სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკების პედაგოგიური ხელოვნებისათვის სისტემატურად მუშაობენ სბავშვო ბაღის, ბაგის ჯგუფების აღმზრდელებისა და მუსიკის ხელმძღვანელთა სექციები (ნ. შანშიაშვილი, ე. ბენაშვილი, ც. ბოლაშვილი) და მეთოდგაერთიანებას (რ. კობაიძე).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს:

წითელწყაროს რაიონის განათლების სისტემის 16 სკოლამდელ დაწესებულებაში მუშაობს 116 მუშაკი, მათ შორის გამგედ — 16, აღმზრდელად — 83, მუსიკის ხელძღვანელად — 12. თითქმის ყველა აღმზრდელს საშუალო პედაგოგიური განათლება და საკმაო სტაჟი აქვს, მაგრამ მუშაობის სპეციფიკას კარგად არ არიან გაცნობილი. ეს გამოავლინა ზემო მაჩხაანის სბავშვო ბაღის 5—6-წლიანების ჯგუფში ჩატარებულმა მეცადინეობამ თვლა-ანგარიშსა და ხატვაში.

აღმზრდელ თ. ჯანაშვილს დაგეგმილი ჰქონდა 5-ის ფარგლებში გამოკლება, ხუთკუთხედის გაცნობა. ამ მასალისათვის მას ცალ-ცალკე მეცადინეობა უნდა დაეთმო. მან მეცადინეობაზე არ გამოიყენა თვალსაჩინო მასალა — ალმები, ჩხირები, ფანქრები.

იმავე აღმზრდელმა მეცადინეობა ხატვაში მოუმზადებლად ჩატარა. ყველა ბავშვს არ ჰქონდა სახატავი ფანქარი, ქაღალდებზე წარწერები (ბავშვის გვარი, სახელი), რამაც გამოიწვია დისციპლინის დარღვევა.

აღმზრდელების უმრავლესობა თავის მუშაობას გეგმავს ზოგადად, განსაკუთრებით კონკრეტულობა აკლია ექსკურსიებს, ჰაერზე გასეირნებას, ბუნებაზე დაკვირვებას, თამაშებს, მშობლებთან მუშაობისა და სხვ. საკითხებს.

წითელწყაროს 1-ლი სბავშვო ბაღის აღმზრდელები მ. კოჭლამაზაშვილი, ი. ბერიძე, ქ. მელიქიძე, მ. ლაპიაშვილი ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ ჯგუფებში არსებული ნივთების, მეცადინეობისათვის საჭირო მასალების მოწესრიგებისადმი. მათ ახალი სასწავლო წლისათვის არ მოუმზადებიათ სახვითი მოქმედებისათვის ფუნჯები, ფანქრები, პლასტილინი, საძერწი დაფები და სხვ. ამავე ბაღის

2—3-წლიანთა ჯგუფებში (აღმზრდელები თ. ბერიძე, ე. მელიქიძე) მოუწესერგებელია ბავშვთა პირადი საქმეები.

ბუნების, სათამაშო და მხატვრული ლიტერატურის კუთხეებს კეთილიათ შინაარსი და აკურატულობა, მოუვლელია მცენარეები, რომლის ყუთებში არ არის მოწყობილი ისე, რომ აქ ბავშვს შრომის პიპირობები ჰქონდეს, არ ჰყავთ თევზები, ჩიტები და სხვ.

სათამაშო კუთხეებში სათამაშოების სიმცირეა, მაგრამ რაც აქვთ, არ არის შერჩეული ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ეს იგრძნობა ბაგის ჯგუფებში. საბავშვო ბაღის ჯგუფებში აკლიათ დიდაქტიკური, სამაგიდო, სამენი მასალები. ნაკლები ყურადღება ეექცევა ბავშვებში სათამაშოების მოვლა-გაფრთხილების ჩვევების განმტკიცებას.

ჯგუფებში, ცალკე, ბავშვებისათვის ხელმისაწვდომად არ არის მოწყობილი მხატვრული ლიტერატურის კუთხე (არხილოსკალოს, ქვემო ქედის, სოფელ წითელწყაროს საბავშვო ბაღები).

მოუწესრიგებელია ბავშვების გასახდელები და პირსაბანი კუთხეები. პირსახოცებზე, კარადებზე არა აქვთ ინდივიდუალური ნიშნები, პირსაბანები ბავშვის სიმაღლესთან შეუფერებლად არის მოთავსებული, აქ არც სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს ეექცევა სათანადო ყურადღება: ჭურჭელი რომელიც პირსაბანების ქვეშ არის მოთავსებული, დროულად არ იცლება ჭუჭყიანი წყლებისაგან.

მოუვლელია სკოლამდელი დაწესებულებების საპირფარეშოები. იგი სისტემატურად არ მუშავდება ქლორიანი ხსნარით (წითელწყაროს 1-ლი, არხილოსკალოს, ქვემოქედის საბავშვო ბაღები). ბაგის ჯგუფებში არსებულ ქოთნებს არ აქვს ინდივიდუალური ნიშნები.

სუსტია სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზები

განათლების სისტემის 16 სკოლამდელი დაწესებულებებიდან ტიპური შენობაში მხოლოდ წითელწყაროს მეორე და ზემომაჩხაანის საბავშვო ბაგა-ბაღებია, ამ უკანასკნელს ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ 6 ჯგუფზე ახლა აუშენა ტიპური შენობა, დანარჩენები ძველ, შეგუებულ შენობებშია მოთავსებული, რომლებსაც სისტემატური კაპიტალური რემონტები საჭირდება.

რემონტების ჩატარება არ ხდება დროულად და ხარისხიანად. ომანის, მირზაანის საბავშვო ბაღებს ამ სასწავლო წლისათვის მუშაობა ჯერაც არ დაეწყიათ, არხილოსკალოს საბავშვო ბაღმა 16 სექ-

ტემბერს განაახლა, ხოლო წითელწყაროს 1-ელ ბაგა-ბაღს მუშობა რემონტის პირობებში უხდება.

მეტად შეუფერებელ შენობებში მუშაობენ წითელი სოფლისა და ქვემო ქედის საბავშვო ბაღები. თუმცა სოფ. წითელწყაროს საბავშვო ბაღს კოლმეურნეობა უშენებს ტიპურ შენობას, მაგრამ მეტად ნელი ტემპით, 8 წელია, რაც მიმდინარეობს მშენებლობა და ჯერაც არ არის დამთავრებული.

მძიმე მდგომარეობაა სკოლამდელი დაწესებულებების წყლით მომარაგების საქმეში, მათ უმრავლესობას არა აქვს წყალგაყვანილობა, ძირითადად დაგროვილი წყალი იხმარება. არხილსკალოს საბავშვო ბაღში წყალი სამ დღეში ერთხელ მოდის, ზამთარში სრულიად წყდება და 500 მეტრიდან უხდებათ შემოზიდვა.

ფართობის უკმარისობის გამო შეგუებულ შენობებში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში არ არის მოწყობილი ბავშვთა დღის ძილი.

სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული ზოგიერთი ავეჯი შეუფერებელი ან მოძველებულია, განსაკუთრებით მაგიდები და სკამები, ბაგების უმცროს ჯგუფში არა აქვთ მანეჟი და ინდივიდუალური მაგიდები; ჩაის ჭურჭელი სიდიდით ბავშვთა ასაკს არ შეეფერება. გამარჯვების საბავშვო ბაღს აკლია საწოლების გადასაფარებლები.

ამჟამად,როგორც ცნობილია, მიმდინარეობს რესპუბლიკური დათვალიერება მიწის ნაკვეთების საუკეთესო დაგეგმვის, კეთილმოწყობისა და მათი მიზნობრივად გამოყენებისათვის. წითელწყაროს რაიონის ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში კი ამ მხრივ არ ტარდება სათანადო მუშაობა. მირზაანის საბავშვო ბაღსა და კოლმეურნეობის საწყობს საერთო ეზო აქვთ, საწყობში ხშირად შედის სატვირთო მანქანები და ბავშვთა უსაფრთხოება არ არის დაცული. ეზოში სკამებიც კი არა აქვთ ბავშვების დასასვენებლად.

ბაღებსა და ბაგა-ბაღებში არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითება ორი მენიუ-ფაქტურის წარმოების შესახებ. ზემო მაჩხაანის საბავშვო ბაღში დილის საუზმე მის გარეშე გაიცა.

სკოლამდელი დაწესებულებების უმრავლესობა ერთი ან ორჯგუფიანია, ამიტომ პროდუქტების შემოზიდვა, საწყობის მოვლა გამგეს ევალება. ზოგიერთი მათგანი ამ საქმეს სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს. ქვემო ქედის საბავშვო ბაღის საწყობში (გა-

მგე ი. ჩუბინიშვილი) უსუფთაობასა და უწესრიგობას აქვს ადგილი კრუპეულისა და სხვა პროდუქტების ქვაბები ჭუჭყიანია, მწერებს წამალი უადგილო ადგილას არის საწყობში მოთავსებული. [illegible] მოებენ პროდუქტების ხარჯვის, ნაშთის ჟურნალს.

სკოლამდელი დაწესებულებები სისტემატურად არ მარაგდება ხორცით, ნატურალური რძით, ბოსტნეულით, ხილით, სოფლად არსებული ბაგა-ბაღისა და ბაღის ჯგუფის აღსაზრდელებს სისტემატურად ეძლევათ შედედებულ რძეზე დამატებული კერძები, რის მიზეზი პროდუქტების უქონლობაა, ხოლო სოფლად არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებს, გარდა ამისა, ტრანსპორტის უქონლობაც უშლის ხელს.

ყველაფერი რიგზე არ არის მაღალკვალიფიციური კადრებით სკოლამდელი დაწესებულებების დაკომპლექტების საქმეში. არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 16 ნოემბრის № 569 ბრძანება, რომელიც სკოლამდელ დაწესებულებებში. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირების დანიშვნას ითვალისწინებს. ადგილი აქვს საბავშვო ბაგა-ბაღებსა და ბაღებში მათემატიკოსების, ქიმიკოსების, ბიოლოგების დანიშვნის შემთხვევებს. გასულ წელს მეორე ბაგა-ბაღში აღმზრდელის ნახევარ განაკვეთზე საშუალო ზოგადი განათლების მქონე პირიც კი დაინიშნა.

არ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ივნისის № 516 დადგენილება ერთ შენობაში არსებული ორი საბავშვო დაწესებულების გაერთიანების შესახებ. ჯაფარიძის საბავშვო ბაღი და ჯანმრთელობის სისტემის ბაგა ერთ შენობაშია, საერთო ეზოთი სარგებლობენ და გარკვეულ წინააღმდეგობებს ხვდებიან, საბავშვო ბაღის ბავშვთა კონტინგენტის სიმცირის გამო შეიკვეცა ერთი ჯგუფი მაშინ, როდესაც ბაგის უფროს ჯგუფებში ათამდე ბაღის ასაკის ბავშვია ჩარიცხული.

კოლმეურნეობები დიდად ეხმარებიან სკოლამდელ დაწესებულებებს მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში, მაგრამ რაიონის ცენტრის სკოლამდელ დაწესებულებებს არა ჰყავთ შეფი ორგანიზაციები.

რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში არ სრულდება ბავშვთა კონტინგენტის ჩაბმის გეგმა. გადახედვას, დაზუსტებას მოითხოვს ცენტრის მიკრორაიონის სკოლამდელი დაწესებულებები, რო-

მლებიც ტერიტორიულად ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ. ერთი მათგანი, მაგალითად, წითელწყაროს მეორე საბავშვო ბაღი, ქალაქზე გადატვირთულია, 40 აღსაზრდელი ჩარიცხვას ელოდება მეტი, ... დესაც იქვე, ახლოს მდებარე მეორე ბაგა-ბაღში ვერ სრულდება ბავშვთა კონტინგენტის გეგმა.

დაწყებითი კლასების მუშაობა

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს საფუძვლიანად შეუსწავლია ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები. მოწინავე მასწავლებლები მოხერხებულად იყენებენ სწავლების აქტიურ მეთოდებსა და ხერხებს, სისტემატურად, გულდასმით ემზადებიან თითოეული გაკვეთილისათვის, ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, სალიტერატურო ენით მეტყველების ჩვევების გამომუშავებას, მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, ამზადებენ მათ უფროს კლასებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სისტემატური კურსის საფუძვლიანი შესწავლისათვის.

დაწყებით კლასებში დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენას მასწავლებლები რ. თარაშვილი, მ. გოგოლაშვილი (წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლა), ვ. ნატროშვილი, ვ. ბოლოლუაშვილი (ზემო მაჩხაანის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა), ქ. ბენაშვილი (ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა).

ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შინაარსში გარკვეულია მასწავლებელი რ. თარაშვილი. მან ორგანიზებულად ჩაატარა გაკვეთილი პირველ კლასში. გაკვეთილის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა მიერ დაშვებული ენობრივი და აზრობრივი შეცდომების გასწორებას, სწორი და შეგნებული კითხვის ჩვევების გამომუშავებას. პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული თვალსაზრისით სწორად ახსნა ახალი მასალა, მას არც აღმზრდელობითი მომენტები დაუტოვებია უყურადღებოდ გაკვეთილზე, მოხერხებულად გამოიყენა სწავლების პროცესში თვალსაჩინოება.

პასუხისმგებლობით ეკიდება ქართული ენის სწავლების გამარჯვების საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი ლ. რობიტაშვილი. ახალი მასალის („კახეთს" — ხალხური) ახსნისას გამოიყენა თვალსაჩინოებაც და ტექნიკური საშუალებაც. მოკლე სა-

უბრის დროს წინასწარ განუმარტა მოსწავლეებს სიტყვების — ბა-
შობლოს, დედაქალაქისა და ქვეყნის არსი, რუკაზე აჩვენა სა-
ქართველოს სსრ, შირაქის ველი, მდინარე იორი, ტალაზანი, რომელიც
ტექსტში იყო ნახსენები. აჩვენა ხოხბისა და ჯეირანის სურათი და
ტექსტის შინაარსობრივი და მხატვრული ანალიზის შემდეგ ფირსაკ-
რავით მოასმენინა სიმღერა შირაქის ველზე.

მაგრამ, დაწყებითი კლასების ქართული ენის ყველა მასწავლე-
ბელი ასე როდი მუშაობს.

ერთფეროვანი გაკვეთილი ჩაატარა ჯაფარიძის საშუალო სკო-
ლის მოსამზადებელ კლასში მასწავლებელმა ზ. ნატროშვილმა. იგი
ნაკლებად ერკვევა ამ კლასის მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ თავისე-
ბურებებში, ვერ ტვირთავს კლასს მიზნობრივი სამუშაოებით, ვერ
ფლობს ტექსტზე მუშაობის ხერხებს, ამიტომაც იყო, რომ მან მთე-
ლი 25 წუთი მხოლოდ ტექსტის მექანიკურ კითხვას მოანდომა. იგი
არ იცავს მოსამზადებელ კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობას და
ნაცვლად 35 წუთისა, 45-წუთიან გაკვეთილებს ატარებს. აღნიშნულ
კლასში უგულებელყოფილია დიდაქტიკური თამაშობების ჩატარე-
ბა.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება გამარჯვების საშუ-
ალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელ ლ. ყაჭაშვილის მუ-
შაობა. დავალებად მიცემული ტექსტის კითხვისას მოსწავლეს შეხ-
ვდა სიტყვა „ფაფარი“, სასწრაფოდ შეაწყვეტინა ტექსტის კითხვა
და დაიწყო საუბარი ფაფარის შესახებ, გაგრძელდა კითხვა, შემ-
დეგ გვხვდება სიტყვა „გმირი“ — ახლა ამ სიტყვის გარშემო იწ-
ყება საუბარი და ასე გრძელდება შემდეგ.

ახალ მასალასთან (ასო — ბგერა „ჩ“-ს გაცნობა) დაკავშირე-
ბით მასწავლებელმა დ. ყაჭაშვილმა 8 ახალი სიტყვა (კამეჩი, ჩირი,
ჩაი, ჩამიჩი, ფუჩეჩი, ჩანთა, ჩარჩო, კამა) ახსნა, რაც საანბანო პე-
რიოდში ყოვლად დაუშვებელია.

მეთოდურად გაუმართავი იყო მასწავლებლის მიერ კლასის წი-
ნაშე დასმული კითხვები:

— რას აკეთებს ხოლმე ძერა? მერე, როცა გაიზრდება, რას
უზამენ მას? (ლაპარაკია ხარზე) და სხვა. ამასთან, ზოგიერთ სიტყ-
ვას არასწორად განმარტავს. ასე მაგალითად, მასწავლებლის განმა-
რტებით „ფუჩეჩი“ არის, სიმინდს რომ ღერო დარჩება, „კამა“ კი
ცორაცოა, ხოლო „ჩაის“ კარტოფილისმაგვარი ფოთლები აქვს“.

მასწავლებელს შეუნიშნავი დარჩა მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები: პესოკი, ბულკი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მათემატიკას დაწყებითი სკოლის მასწავლებლები: ნ. გურაშვილი, მ. ბერიაშვილი ი. ჯალიაშვილი (წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლა), ნ. ბაიდოშვილი (ზემო მაჩხაანის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა), რ. მაჩაბლიშვილი (გამარჯვების საშუალო სკოლა), ელ. დოლაშვილი (ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა), ლ. ქადაგიძე (ჯაფარიძის საშუალო სკოლა).

წითელწყაროს საშ. სკოლის მოსამზადებელი კლასის (მასწავლებელი ი. ჯალიაშვილი) მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებული მათემატიკური სიმცირეების ზოგიერთ ელემენტს (მრავლობითობის ნიშნებს), თანაფარდობის ნიშნებს, (მეტი, ნაკლები, ტოლი), შეუძლიათ უმარტივესი მათემატიკური გამოსახულებების ჩაწერა და წაკითხვა, მარტივი ამოცანების შედგენა და ამოხსნა, თვალსაჩინოების მოხერხებული გამოყენება; ასე მაგალითად, მასწავლებელი კლასის წინაშე დგამს პატარა აკვარიუმს, რომელშიც წყალი ასხია, მასში ათავსებს სათამაშო (საპირო ასხნა-განმარტებით) თევზებს, ანკესის საშუალებით ამოიყავს თითო-თითო თევზი აკვარიუმიდან და ამის მიხედვით კლასი ადგენს სხვადასხვა სახის ამოცანებს. შემდეგ ისევ უშვებენ აკვარიუმში თევზებს; ამაზედაც დგება ამოცანები.

საფუძვლიანად ერკვევა მათემატიკის ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შინაარსში მასწავლებელი ნ. გურაშვილი (წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლა), II კლასის მოსწავლეები სათანადო მსჯელობით ხსნიან საკმაოდ რთულ მაგალითებს შეკრება-გამოკლებაზე, გამრავლებასა და გაყოფაზე, ერთეულნობიან განტოლებებს, ასახელებენ შეკრებისა და გამოკლების კომპონენტებს.

გეომეტრიულ მასალაზე ვარჯიშის დროს იგი ცდილობს მოსწავლეებს მისცეს გაზომვის პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები. მასწავლებლის მითითებით მოსწავლეებმა დაფაზე დახაზეს მართკუთხა სამკუთხედი, აღნიშნეს კუთხეები, შემდეგ კი წაიკითხეს აღნიშნული კუთხეები. დამოუკიდებელი სამუშაო, რომელიც კლასს მიეცა, ადგილზევე იქნა შემოწმებული; რიცხვითი ფორმულის მიხედვით მოსწავლეებმა შეადგინეს ამოცანა. გაკვეთილი ძალზე მრავალფეროვანი იყო. კლასის მომზადების დონეც მაღალია.

ანალოგიური შედეგებით ხასიათდება მასწავლებელ ლ. ქადაგიძის მუშაობა.

ეროვნული

დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს II კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი მ. ბერიაშვილი). ამ კლასის მოსწავლეებს შესწევთ უნარი, დაალაგონ რიცხვები ზრდადობისა და კლებადობის მიხედვით, დაასახელონ რამდენით მეტია ერთი რიცხვი მეორეზე, რა რიცხვებია მოთავსებული მაგალითად 8-სა და 6-ს შორის, ან რა რიცხვია 9-ის შემდეგ, 10-ის წინ და ა. შ. კარგად ადგენენ და ხსნიან ამოცანებს, იციან რიცხვების შემადგენლობა მასწავლებელმა კლასის აქტიური მონაწილეობით ახსნა ახალი მასალა — „შეკრების კომპონენტები“ და მათივე მონაწილეობით განმარტა, თუ რას ეწოდება შესაკრებები და ჯამი. გაკვეთილის პროცესში გამოყენებულ იქნა თვალსაჩინოებაც.

ცოცხლად და ხალისიანად წარმართა გაკვეთილი 1-ელ კლასში მასწავლებელმა ნ. ბაიდოშვილმა. გაკვეთილი დაიწყო სწრაფი ზეპირი ანგარიშით, შემდეგ; დაფაზე მოცემულ მაგალითში (8+2=10), მოსწავლეებმა განსაზღვრეს შეკრების კომპონენტები, მასწავლებელი ოსტატურად გადავიდა გეომეტრიულ მასალაზე, მოსწავლეებმა შეადგინეს ამოცანა რიცხვითი ფორმულის მიხედვით.

იცვლება დავალება, მასწავლებელი სთავაზობს რამდენიმე ამოცანის პირობას, ავალებს კლასს, დაუსვან ამოცანას კითხვა და ამოხსნან.

შემდეგ მასწავლებელი გადადის ახალი მასალის ახსნაზე — „გამრავლების კომპონენტები“, ერთმანეთს შეუპირისპირა ორი მაგალითი: 7+2=9 და 9—2=7; კლასის აქტიური მონაწილეობით განმარტა თუ რას ეწოდება საკლები, მაკლები და სხვაობა. საინტერესოდ წარიმართა ვარჯიში რიცხვთა უტოლობაზე და ერთი და იგივე მაგალითის სხვადასხვა ვარიაციით კითხვაზე. კლასი ძალზე აქტიური იყო მთელი გაკვეთილის პროცესში.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების მიზნით ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა ქართულ ენასა და მათემატიკაში ასეთი შედეგები მოგვცა:

№ რიგზე	სკოლა	მასწავლებლის ვარი და სახელი	კლასი	საგანი	დაწერა	„5"-ზე	„4"-ზე	„3"-ზე	„2"-ზე	შენიშვნა
1	ზემო მაჩხაანის საშ. სკოლა	ს. ლომიძე	III	ქართული ენა	29	—	7	15	7	
2	წითელწყაროს 1-ლი საშ. სკოლა . . .	ა5. ბოლოაშვილი . .	III	მათემატიკა	32	7	10	12	3	
3	წითელწყაროს 1-ლი საშ. სკოლა . .	ქ. ბერიშვილი . . .	III	მათემატიკა	34	—	17	10	7	
4	გამაჯვების საშ. სკოლა	დ. რობიტაშვილი .	III	მათემატიკა	29	—	6	11	12	
5	ჯაფარიძის საშ. სკოლა	ტ. ჩიბუხაშვილი .	III	მათემატიკა	22	3	6	4	9	

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელწყაროს რაიონის ჩვენ მიერ შესწავლილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა უმრავლესობა დამაკმაყოფილებლად მუშაობს საკუთარი მეცნიერულ-თეორიული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, პასუხისმგებლობის გრძნობით ემზადება გაკვეთილისათვის და გარკვეულ დადებით შედეგებსაც აღწევს. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები ქ. წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლიდან — მაყვალა ლაპიაშვილი (1957 წ. აქვს დამთავრებული ქ. თბილისის უნივერსიტეტი), ზემო მაჩხაანის სკოლიდან — იზოლდა ფიროსმანიშვილი (ადრე დამთავრებული აქვს ქ. სიღნაღის პედაგოგიური სასწავლებელი, შემდეგ კი, 1962 წელს, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტი), მეგული ბოსტოღანაშვილი (1969 წ. დამთავრებული აქვს ქ. თელავის პედინსტიტუტი), გამარჯვების საშუალო სკოლიდან — რუსუდან გურგენიშვილი (დამთავრებული აქვს ქ. თელავის პედინსტიტუტი, შემდეგ კი დაუსწრებლად — ალ. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის ასპირანტურა) და სხვ.

ქ. წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ლაპიაშვილი მოხერხებულად იყენებს მწერლის ბიოგრაფიის სწავლებას საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნებისათვის. წინა მასალის — ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის გამოკითხვისას მან მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილა პოეტის ოჯახურ წრეზე, სწავლა-აღზრდაზე, სოლომონ დოდაშვილთან ურთიერთობაზე, 1832 წლის შეთქმულებასთან დამოკიდებულებაზე, თბილისის გიმნაზიის მოწინავე ახალგაზრდობის საქმიანობაზე, პირად წერილებში გადმოცემულ განწყობილებაზე, სამოქალაქო სამსახურში მოღვაწეობასა და ნ. ბარათაშვილის ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან მომენტებზე.

ახალი მასალა — ნ. ბარათაშვილის ლექსი „სული ობოლი“ მასწავლებელმა კარგად წაუკითხა მოსწავლეებს (თუმცა ჯობდა, ზეპირად გადაეცა იგი) და გარკვეული მუშაობის შემდეგ მოსწავლეთა ყურადღება მიაქცია ლექსის ენასა და პოეტიკის საკითხებს, ნართაანთ მრავლობითს, მარცვალთა რაოდენობას ლექსში, რითმას, მის სახეებსა და ეპითეტებს.

მიუხედავად ამისა, ჩვენის აზრით, გაკვეთილს ზოგიერ ნაკლოვ-ბა ჰქონდა, ასე მაგალითად, როცა ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიას გასწავლით, არ შეიძლება დავივიწყოთ მისი ნათესაური კავშირი ერეკლე მეორესთან, გრ. ორბელიანთან... როცა ვლაპარაკობთ 1832 წლის შეთქმულებაზე, მის მონაწილეთა დასახელებაც, თუ მეტი არაფერი, საჭიროა; თუმცა გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა სტილისტური და მეთოდიკური თვალსაზრისით კითხვების („ეწეოდა თუ არა ნ. ბარათაშვილი ქვეყნის კულტურულ საქმიანობას?") არასწორად დასმის, ენობრივი ხასიათის შეცდომების („ზოგიერთი მოხელეები") დაშვებისა და სხვა შემთხვევებს.

IV კლასში მეტყველების განვითარების გაკვეთილი ჩაატარა გამარჯვების საშუალო სკოლის მასწავლებელმა რ. გუგუნიშვილმა. მან ძოათხრობინა მოსწავლეებს თემა „ჩემი შთაბეჭდილება ლაშქრობის შესახებ". მოსწავლეთა მიერ დაწერილ შთაბეჭდილებებში, რომლებიც მეღორეობის ფერმების მუშაობას ასახავდა, მრავლად იყო რთული სიტყვები. მასწავლებელმა ბავშვებს ჯერ დაასახელებინა ისინი (ელექტროდენი, ელექტრონათურა, გაზქურა) შემდეგ ამ მასალის ირგვლივ დაუსვა კლასს კიდევ ორიოდე კითხვა, გადმოაცემინა მასალა და, სათანადო დასკვნის გაკეთების შემდეგ, დაიწყო შერჩეული სურათის აღწერა.

დაფაზე გაიკრა სურათი, რომელიც აღწერეს მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხებით; მაგალითად:

მასწავლებელი: ვინ არიან დახატული სურათზე?

მოსწავლე.: სურათზე დახატულია ბავშვები.

მასწავლებელი.: რა უჭირავთ ხელში ბავშვებს?

მოსწავლე.: ბავშვებს ხელში უჭირავთ ანკესები.

მასწავლებელი.: რაში ჩაუშვეს ბავშვებმა ანკესები?

მოსწავლე.: ბავშვებმა ანკესები ჩაუშვეს მდინარეში.

მასწავლებელი.: რა ამოყვა ანკესს?

მოსწავლე.: ანკესს ამოყვა თევზი.

მასწავლებელი.: რით აივსო ვედრო?

მოსწავლე.: ვედრო აივსო პატარა-პატარა თევზებით.

მასწავლებელი.: რისთვის გამოიყენებენ თევზებს?

მოსწავლე: სკოლაში, ცოცხალი კუთხისათვის.

მასწავლებელი.: რას ხედავთ მდინარის ნაპირას?

მოსწავლე.: მდინარის ნაპირას ვხედავთ ლამაზ ნავებს, რომლებიც ამშვენებენ მდინარის ნაპირს.

მასწავლებელი.: კიდევ რა ამშვენებს მდინარის ნაპირს?

მოსწავლე.: მის ნაპირს ამშვენებს დიდრონი ხეები, ბალახები, წითელ-ყვითელი, ჭრელ-ჭრელი, ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი ყვავილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი.: რას უწოდებთ ამ სურათს?

მოსწავლე.: ამ სურათს ვუწოდებთ „მდინარეზე თევზაობას".

ამგვარი მუშაობის შემდეგ ბავშვებმა გადმოსცეს სურათის შინაარსი.

მასწავლებელი კვლავ მიმართავს კლასს და ასახელებინებს სურათის აღწერისას გამოყენებულ ზედსართავ სახელებს (პატარა-პატარა, ცოცხალი, ლამაზი, დიდრონი, წითელ-ყვითელი, ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი);

შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს, რამდენი ბავშვია მდინარის პირას? პასუხად მიიღო, რომ არის 10, ე. ი. ბევრი. როგორი სახელებია 10, ბევრი? ბავშვებმა რომ ამ კითხვასაც გასცეს პასუხი, მერე მასწავლებელმა დაასახელებინა რიცხვითი სახელები შესწავლილი ლიტერატურული ტექსტებიდან.

მასწავლებელმა რ. გუგუშვილმა ბავშვებს მოაგონა ლიტერატურის თეორიიდან ეპითეტი, მეტაფორა, დაასახელებინა სათანადო მაგალითები ნ. ბარათაშვილის „მორბის არაგვი"-დან და სახლში დასაწერად მისცათ „თევზაობა მდინარეზე".

აღნიშნულმა მასწავლებელმა დამაკმაყოფილებლად ჩაატარა აგრეთვე ქართული ლიტერატურის გაკვეთილი IX კლასში. ბუნებრივია ,როგორც პირველ, ისე მეორე გაკვეთილს ჰქონდა ერთგვარი ხარვეზებიც, მაგრამ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია მათზე შეჩერება.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ზემო მაჩხაანის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ზ. ბოსტოღანაშვილიც. იგი ახალგაზრდა, საიმედო მასწავლებელია... ჯერ კიდევ აკლია პედაგოგიური დაოსტატება. თვითონაც ბევრი უნდა იმუშაოს საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური, მეცნიერულ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლებისათვის და სკოლის ხელმძღვანელობაც მეტს უნდა დაეხმაროს. თუ მაინც ვამბობთ „საიმედო მასწავლებელია -მეთქი", მხედველობაში გვაქვს არა მარტო მისი დღევანდელი მუშაობა, არამედ ხვალინდელიც, ზეგინდელიც, საერთოდ, მომავალი მუშაობაც, რადგანაც ახალგაზრდა მასწავლებლის შეფასებისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ არა მარტო იმით, რა არის იგი დღეს, არამედ იმითაც,

— და, უპირველეს ყოვლისა, იმათაც. თუ როგორი იქნება იგი მოქმედებაში

მაგრამ, მიუხედავად ზემოხსენებულისა, წითელწყაროს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში შეინიშნება მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა საერთოდ და, კერძოდ, ამ საგნების სწავლების წინაშე დასახული სადღეისო ამოცანების დაყენებას სკოლებამდე და მათ განსახორციელებლად მუშაობის გაწლას. საკმარისია ითქვას, რომ საკითხის შესწავლის დროისათვის შემოწმებულ სკოლებში განხილული არ იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი 1974/1975 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის ძირითად მიმართულებათა შესახებ (სადაც აგრეთვე მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაზედაც არის გამაზვილებული ყურადღება), განათლების მინისტრის მომდინარე წლის 2 ივლისის № 517 ბრძანება „რესპუბლიკის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები. სკოლებში არასაკმაო ყურადღება ექცევა სიახლეთა დანერგვას ენისა და ლიტერატურის სწავლებაში; თითქმის მივიწყებულია ტექნიკური საშუალებანი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ამ საგნების სწავლებაში და სხვა და ა. შ.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის X[1] კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ევგენია მამულაშვილის მუშაობა. წინა მასალა იყო „ირ. ევდოშვილის ბიოგრაფია“. გამოძახებული მოსწავლე მეტყველებს მოსაწყენად, მონოტონურად, არ იცის ირ. ევდოშვილის ოჯახური წრე, არ იცნობს ისტორიულ მასალებს პოეტის ეპოქის შესახებ, თითქმის არაფერს ამბობს პოეტის რევოლუციურ მოღვაწეობაზე, უჭირს პარალელების გავლება ჩვენი ხალხის ძველ რევოლუციამდელ და ახალ, საბჭოურ ყოფას შორის, რაც ამ მასალას უკარგავს არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობით მნიშვნელობასაც.

ახალ მასალაზე საუბარში მან ილაპარაკა ხელოვნების დანიშნულებაზე. მიმართა კლასს, ამ თემაზე რომელი ლექსები იცითო და დასახელეს მხოლოდ ილ. ჭავჭავაძის „პოეტი“. არც მასწავლებელს და მით უფრო არც მოსწავლეებს არ უხსენებიათ შ. რუსთაველის

„ვეფხისტყაოსანი“, თვით დიდი ილია „ჩემო კალამო“ ლაც რუნდ მოეცვდე“. წერეთლის „პოეტი“, „ჩანგური“, ვაჟა-ფშაველას „ბიტ-ყვა ეული“, „დამსეტყვე ცაო, დამსეტყვე“, და სხვ. ერთი სიტყვით, ეტყობა, მასწავლებელს არ სურს გასცდეს სახელმძღვანელოს „ტაკ-ცედ განსაზღვრულ ფარგლებს და იმ მასალების მოგონებაზედაც ხელს იღებს, რომლებიც მოსწავლეებს სხვა დროს უკვე შესწავლილი აქვთ.

გაკვეთილზე არასაკმაო ყურადღება მიექცა მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე მუშაობას.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება გამარჯვების საშუალო სკოლის მასწავლებლის ნაზი გოგილაშვილის (დამთავრებული აქვს ი. ს. გოგებაშვილის სახ. თელავის პედინსტიტუტის ქართ. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი — საღამოს დასწრებული) მუშაობა. იგი არასკმაოდ არის დაუფლებული საგანს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებისას არ იყენებს ტექნიკურ საშუალებებს, არ ამზადებს თვითნაკეთ თვალსაჩინო მასალებს და საგანს ზეპირსიტყვიერად, უინტერესოდ ასწავლის. გაკვეთილზე შეუმჩნეველი და გაუსწორებელი რჩება მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებული შეცდომები („გუშინ სკოლა გავაცდინე“, „ვით თანდებული დაერთვის მიცემითი ბრუნვის, „არის ესენი“ და სხვ.), ნაკლებ ყურადღებას აქცევს გაკვეთილზე მოსწავლეთა მთელი კოლექტივის ჩაბმას მუშაობაში, მასწავლებელი ხშირად მხოლოდ დაფასთან მდგომ მოსწავლესთან მუშაობს, სხვები კი დაუსაქმებელნი რჩებიან და სხვ.

შესწავლილ სკოლებში არასაკმაო მუშაობა ტარდება ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდიკურ მითითებათა შესასრულებლად: არაიშვიათად ვხვდებით წერითი მუშაობის ერთსა და იმავე სახეს, მოსწავლეთა ნამუშევრებში შეუმჩნევლად დატოვებულ შეცდომებს, შემჩნეულ შეცდომებზე მუშაობის უგულებელყოფასა და სხვა შემთხვევებს.

რუსული ენა და ლიტერატურა

რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შე-

ხახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 10 ივლისის დადგენილების შესასრულებლად წითელწყაროს რაიონში გარკვეული ღონისძიებანი ხორციელდება. მიღებულ გამოცდილებამ ... მების შედეგია, რომ მთელი რიგი სკოლების მასწავლებლები ... ვილად უკეთესად მუშაობენ. ასეთ მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნიან თინა პოლიკაშვილი (ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა), იზა გოგნაშვილი და ნეთალ ნადირაშვილი (ჯაფარიძის საშუალო სკოლა), ნათელა ნანობაშვილი, ერვანდ მერაბოვი და მაყვალა მთისაშვილი (წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლა), ისინი გაკვეთილებზე იყენებენ თვალსაჩინო მასალებ — ტაბულებს, სურათებს, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს — ფილმოსკოპს ფირსაკრავს, გრამფირფიტებს. საჭირო ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, გრამატიკულ წესებს განამტკიცებენ შესაბამისი მაგალითებით; ცდილობენ, მრავალფეროვანი და საინტერესო გახადონ მოსწავლეთა წრეების მეცადინეობა. მათ გაკვეთილებზე კარგი დისციპლინაა, გაკვეთილები მიდის ცოცხლად, მიმზიდველად, მოსწავლეები აქტიურობენ გაკვეთილის მთელ პროცესში. დიდი ყურადღება ექცევა საუბრებს ზეპირი მეტყველების განვითარების მიზნით.

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის II კლასის მასწავლებელმა თ. პოლიკაშვილმა გაკვეთილი დაიწყო საუბრით თემაზე: „ჩვენი კლასი". მოსწავლეები ცვლიან ერთმანეთს, იწყებს საუბარს ერთი: ეს ჩვენი კლასია. ჩვენი კლასი დიდი და ნათელია. მეორე მოსწავლე აგრძელებს: კლასში დგას მერხები, დაფა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, მესამე მოსწავლე: დღეს მე ვარ მორიგე. სასიამოვნოა ის, რომ გოგონა სწორად ამბობს: «Сегодня я дежурная». „Все в классе. Унас урок руского языка".

ეტყობა, მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ ასეთი საუბრის ჩვევა. მასწავლებელი მოითხოვს ჩამოთვალონ სიტყვები, რომლებშიც იქნება х (ხ) მოსწავლეები ამბობენ: Хурма, хлеб, ухо, тихо, хор, хорошо, плохо, хочу. მასწავლებელი მოითხოვს ამ სიტყვების სწორად წარმოთქმას, ეკითხება მათ მნიშვნელობას და ავალებს მოსწავლეს, დაწეროს ეს სიტყვა დაფაზე. მასწავლებელი კარგად ფლობს რუსულ ენას, დაწყებით კლასებში ამ საგნის სწავლების მეთოდიკას. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე მოსწავლეები ცოცხლად პასუხობენ. დასმული იყო ასეთი კითხვები: Как твое имя? Как твоя фамилия? В каком классе ты учишься?

Как сказать по-русски: „ეს კოლმეურნეობაა“. „ჩვენი კოლმეურნეობა კარგია და დიდი?“ მოსწავლენი პასუხობენ. ყველა დაშვებულ შეცდომას მასწავლებელი დროულად უსწორებს. მოსწავლეები ერკვევიან სქესის ფორმებში. მაგალითად: **Он ученик. Он мальчик. Это хороший ученик. Мой папа работает в колхозе. Моя мама не работает, она дома. Это девочка. Она ученица. Это хорошая ученица. Она много читает.**

მასწავლებელი გაკვეთილზე იყენებს თვალსაჩინოებას: სურათზე დახატულია ხოჭო (ახსნა ასო ж жук), იყენებს გაკვეთილზე მოძრავ ანბანს, მოსწავლეები შესწავლილი ასოებით ადგენენ სიტყვებს, პატარა წინადადებებს, ასე მაგალითად: «Это Важа», «Важа рад», «Это дом» და ა. შ. ყველა მოსწავლეს აქვს სახელმძღვანელო. ძველი და ახალი გაკვეთილების ტექსტები წაიკითხა ყველა მოსწავლემ. მასწავლებელი საჭირო ყურადღებას უთმობს კითხვის ტექნიკას. გაკვეთილის ბოლოს 10 წუთი დაეთმო საკლასო წერას. დაფა დახაზულია, მასწავლებლის მიერ გამოწერილი ნიმუშები ძალიან კარგია, იგი წერს სწორად და ლამაზად, შესაბამის სახელმძღვანელო მითითებათა მიხედვით.

მასწავლებელ თ. პოლიკაშვილს იმავე დღეს ჰქონდა გაკვეთილი IX კლასშიც. იმ დღეს კალენდარული განრიგით გათვალისწინებული იყო საკონტროლო წერა. მოსწავლეებმა წერეს თემა: Пушкин и декабристы (пересказ). წერის შედეგები ასეთია: „4“ მიიღო 2-მა მოსწავლემ, „3“-24-მა, „2“-7-მა. სულ წერდა 33 მოსწავლე. ამასთან, უნდა ითქვას, რომ სექტემბერში კლასში საკონტროლო წერა არ ჩატარებულა, რაც მიუტევებელია.

სოფ. ჯაფარიძის საშუალო სკოლას IX კლასში (მასწავლებელი იზა გონაშვილი) მოსწავლე ლ. მ-ლი მოუყვა კლასს ეპიზოდს „Беспокойство смотрителя“ მოთხრობიდან „Станционный смотритель». შემდეგ მოსწავლეებმა მისცეს მას დამატებით კითხვები ა. პუშკინის ბიოგრაფიიდან: В какой семье родился Пушкин? Где учился А. С. Пушкин? Какие произведения Пушкина ты знаешь? შემდეგ 6-მა მოსწავლემ მოუთხრო კლასს ამ მოთხრობის შინაარსი (რაც უსწავლია), სხვადასხვა ეპიზოდი იყო გადმოცემული კარგად, გამართული ენით: «Пушкин о судьбе станционного смотрителя», «Первый приезд Белкина», «Приезд Минского и похищение Дуни», «Беспокойство Вырина», «Поиски Дуни», «Возвращение ямщика». მოსწავლეთა მიერ დაშვებული არც ერთი შეცდომა არ გამორჩენია

მასწავლებელს, ის გულმოდგინედ ასწორებს შეცდომას და მოითხოვს, რომ მოსწავლემ სწორად ნათქვამი გაიმეოროს.

ახალი მასალა იყო ეპიზოდი „Вырин отправился в Петербург», დამაკმაყოფილებლად ჩატარდა სალექსიკონო მუშაობა, მასწავლებელმა ახსნა სიტყვების მნიშვნელობა: Притворная — но настоящая, а обманчивая. Занемог — заболел, შეუძლოდ გახდა. Опасаться — боятся, дальновидность — способность далеко выдат — შორსმჭვრეტელობა, მოსწავლეებმა ამ სიტყვებით შეადგინეს წინადადებები, მასალა იქნა წაკითხული მოსწავლეთა მიერ, შემდეგ განმტკიცებული კითხვა-პასუხის საშუალებით. კითხვები: Почему заболел станционный смотритель? О чем узнал старик во время болезни? Куда отправился Вырин? Что сказал ему ямщик по дороге? У кого остановился смотритель в Петербурге?

მოსწავლეებს დაევალათ, ისწავლონ ნაწყვეტი სიტყვებამდე: «Смотритель решился к нему явиться»

შემდეგ მასწავლებელმა ჩაატარა საუბარი თემაზე: «Впечатление от прочитанной книги». მოსწავლეებმა კარგად გადმოსცეს წაკითხული და აღნიშნეს რა მოეწონათ. ერთმა თქვა, რომ წაიკითხა ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, მეორემ — ა. პუშკინის „ბელკინის მოთხრობები“.

საუბარი ჩატარდა ცოცხლად და საინტერესოდ.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, ზემო მაჩხაანის, გამარჯვების, ჯაფარიძისა და მირზაანის საშუალო და რვაწლიანი სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის მთელ რიგ ნაკლოვანებებს: დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დონე; სისტემატურად არ სწორდება საკლასო-საშინაო ნაწერები, არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი წერითი მუშაობის სახეების შესახებ; ასე მაგალითად, ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელ ხვედელიძეს 23 სექტემბერს ჩატარებული აქვს საკონტროლო წერა № 1, Упражнение 20, Списать, подчеркнуть дополнение. საკონტროლო წერის ასეთი სახეები მეთოდიკური თვალსაზრისით გამართლებული არ არის.

მეტი მუშაობა სჭირდება გამარჯვების საშუალო სკოლის დამწყებ მასწავლებელს ლაურა იზაშვილს. იგი ზერელედ, დაუდევრად ეკი-

დება საქმეს, რეუულებზე წარწერებიც კი შეცდომებით აქვს გაკეთებული, ნაჩქარევად და დაუკვირებლადაა შეტანილი საკითხები წრის სამუშაო გეგმაში, ასე მაგალითად, План работы кружка по русскому языку (?) Выбор старости, выбор редколлегии, раздача тем? Вместо распределения. Выпуск газеты (?) Стихотворения «Кавказ», «Памятник», «Путешествие в Арзрум» და სხვა. არასწორად ტარდება შეცდომების გასწორება. მაგალითად წერია ასე: Исправление ошибок. Книга, книга, книга. Мальчик, мальчик, мальчик.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს მასწავლებელთა გაკვეთილის გეგმები. იგი ისეა შედგენილი, რომ ყველა კლასისა და ყველა დროისათვის გამოდგება.

არც ერთ სკოლაში არ აღმოჩნდა რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი. მასწავლებლებს ვურჩიე, რომ გულმოდგინედ იმუშაონ ასეთი კაბინეტის მოსაწყობად, საჭირო მასალებით მის შესავსებად.

არასწორად ტარდება ფაკულტატიური მეცადინეობა რუსულ ენაში, რადგანაც სკოლებს სათანადო პირობები არა აქვთ,

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებელთა მომზადების დონის ამაღლებას. ისინი არაიშვიათად თვითონ უშვებენ შეცდომებს რუსულ ენაზე მეტყველების დროს, ასე მაგალითად: «Как провел лето стрекоза?» Слово без окончания называется основой (?). (მასწ. ფოლადაშვილი). «Задано было урок», «Завтракаю». Пионеры должна бить всегда готовы в борьбе (მასწავლებელი ლობჟანიძე სოფ. მირზაანი) Покажи мне голова (მასწავლებელი. ხვედელიძე, ზემო მაჩხაანის სკოლა).

ძალზე ცუდად ასწავლის რუსულ ენას გამარჯვების საშუალო სკოლის მასწავლებელი ლეილა მოსულიშვილი. მას აქვს პედაგოგიური მუშაობის 18 წლის სტაჟი, დაუმთავრებია ქ. სიღნაღის პედაგოგიური სასწავლებელი იცის სწავლების მეთოდები და ხერხები, მაგრამ არ იცის რუსული ენა, რის გამოც მეტყველების დროს უშვებს უხეშ შეცდომებს, ასე მაგალითად: «Это вам правится? Не надо так написать». უსწორებს მოსწავლეებს: зубы, воротник, чистые, аккуратные. Напишите балшую букву. მასწავლებელი: А ты когда была дежурная? Что говорит один дежурный? Дети, ви должна бить чисти, аккуратные», «Обув и одежда». Кушаю, мою руки милом», аткрывай,

закрывай, „Полощи рот“ в бане быле (вместе „белье“). Побеседуемо о семе (вм. о семье),.. и мнего еще подобных ошибок в речи учительницы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული ენის მასწავლებლად ლ. მოსულიშვილის დანიშვნა უხეში შეცდომაა და უნდა გასწორდეს.

უცხოური (ინგლისური, გერმანული) ენები

შეინიშნება, რომ წითელწყაროს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს არასაკმაო მუშაობა აქვთ ჩატარებულ სწავლებაში ახალი მეთოდებისა და ხერხების გამოყენების მიზნით საჭირო პირობების შესაქმნელად. საკმარისია ითქვას, რომ რაიონის არც ერთ სკოლას, გარდა რაიონული ცენტრის რუსული სკოლისა, არა აქვს შექმნილი უცხოური ენის კაბინეტი, მაგრამ ამ სკოლის კაბინეტიც ისეა მოწყობილი, რომ არა აქვს სწავლების ტექნიკური საშუალებები, დაბნელება და სხვ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის ფილმოტეკას აქვს უცხოური ენების სწავლებისათვის მდიდარი თვალსაჩინოება (ფილმები, დიაფილმები, ფირფიტები და სხვ.), მაგრამ მასალებს მასწავლებლები არ იყენებენ.

რაიონის მთელ რიგ სკოლებში დარღვეულია უცხოური ენის სწავლების სისტემა — ერთსა და იმავე კლასში პარალელურად ორი ენის სწავლებაა შემოღებული.

ქ. წითელწყაროს 1-ელ საშუალო სკოლაში (დირექტორი ქ. ჯორკაშვილი) ისწავლება ინგლისური და გერმანული ენები.

ინგლისური ენის მასწავლებელი ც. მჭედლიშვილი ენას დამაკმაყოფილებლად ფლობს, სისტემატურად მუშაობს თავის თავზე, ეცნობა სწავლების ახალ მეთოდებს, გაკვეთილის მსვლელობისას იყენებს თვალსაჩინოებას, გაკვეთილს ძირითადად უცხოურ ენაზე ატარებს, ბევრს მუშაობს მოსწავლეებში სწორი გამოთქმის ჩვევების გამოსამუშავებლად. მასწავლებელი სისტემატურად ამოწმებს მოსწავლეთა საკლასო, საშინაო დავალებისა და სიტყვარების რვეულებს. მოსწავლეებს ესმით მასწავლებლის საუბარი, დამაკმაყოფილებელია მათი კითხვისა და წერის კულტურა.

ინგლისური ენის მეორე მასწავლებელი ლ. ბეგიაშვილი საკმაოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ იცნობს სწავლების ახალ ხერხებსა და მეთოდებს, ვერ აბამს მუშაობაში მასწავლებელს (X კლასი), რის შედეგადაც მოსწავლეთა მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია: მე-10 კლასის სუთმა მოსწავლემ კითხვაც კი არ იცის. შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს მას მე-5 კლასში, სადაც ის ანბანის სწავლებისას იყენებდა თვალსაჩინოებას, მაგრამ სწავლების თანამედროვე მეთოდიკის არცოდნა ამ დაწყებით ეტაპზეც ხელს უშლის.

მასწავლებელი ნ. ტოკლიკიშვილი აღნიშნულ სკოლაში გერმანულ ენას ასწავლის. ის არ მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, რის შედეგადაც მეტყველებისას უშვებს შეცდომებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას, გაკვეთილს ძირითადად ქართულ ენაზე ატარებს, არ ასწორებს საკლასო-სშინაო დავალების რვეულებს, რის შედეგადაც მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია: ისინი ვერ პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ მარტივ კითხვებზე, ვერ ერკვევიან გრამატიკის ელემენტებშიც კი.

ქ. წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ტერტეროვა) ინგლისური და გერმანული ენები ისწავლება.

გერმანულ ენას ორი მასწავლებელი ასწავლის — ვ. ლუშჩენკო და ა. ბოპოვა.

მასწავლებელი ვ. ლუშჩენკო კარგად ფლობს გერმანულ ენას, სისტემატურად ეცნობა სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს, გაკვეთილს საინტერესოდ და მთლიანად უცხოურ ენაზე ატარებს და მოსწავლეები დაუბრკოლებლად ასრულებენ მასწავლებლის ყველა მოთხოვნას, გამართულად პასუხობენ მის მიერ დასმულ კითხვებზე, საუბრობენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ თემებზე; ერკვევიან გერმანული ენის გრამატიკაში, დამაკმაყოფილებელია მათი კითხვისა და წერის კულტურა. მასწავლებელი ასწორებს მოსწავლეთა საკლასო-საშინაო დავალებისა და სიტყვარების რვეულებს. სკოლაში, მისი ინიციატივით, მოწყობილია უცხოური ენის კაბინეტი, სადაც სხვადასხვა თვალსაჩინოებასთან ერთად ბევრია თვითნაკეთიც. მოსწავლეები აწყობენ თემატურ სტენდებს და უშვებენ საიუბილეო კედლის გაზეთებს.

მასწავლებელი ე. პოპოვა დამაკმაყოფილებლად ფლობს გერმანულ ენას, მაგრამ გაკვეთილებისათვის სათანადოდ არ ემზადება, არ ცდილობს გაკვეთილი უცხოურ ენაზე ჩაატაროს, ის სისტემატიურად თარგმნის ყველა წინადადებას, რომელსაც გერმანულ ენაზე წარმოთქვამს, არ ასწორებს მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს, რის გამოც მათ არა აქვთ სათანადო ცოდნა, ის გაკვეთილებს გერმანული ენის კაბინეტში ატარებს, მაგრამ არ იყენებს მის ხელთ არსებულ თვალსაჩინოებას.

ინგლისური ენის მასწავლებელი ა. ბენაევა ცდილობს, გაკვეთილები უცხოურ ენაზე ჩაატაროს, მაგრამ იმის გამო, რომ არ იყენებს თვალსაჩინოებას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, მისი გაკვეთილები ნაკლებ ეფექტურია, ხოლო მასწავლებლები ლ. ბიკაშვილი და ლ. ჯაგაშვილი გაკვეთილებს ძველი-კითხვისა და თარგმნის მეთოდით ატარებენ, არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ზეპირმეტყველებაში, არ აჩვევენ მათ დამოუკიდებელ მუშაობას მიუხედავად იმისა, რომ ცდილობენ გაკვეთილების მსვლელობისას ყველა ჩაბმულ მუშაობაში. მოსწავლეთა მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია.

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ნ. ლეკიშვილი დამაკმაყოფილებლად ფლობს ამ საგანს, მაგრამ გაკვეთილებისათვის არ ემზადება, არ იყენებს თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს, გაკვეთილს ძირითადად მშობლიურ ენაზე ატარებს, რის შედეგადაც მოსწავლეთა მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია.

ამავე სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლები: ნ. გონაშვილი, თ. ზუბიაშვილი და ლ. ჯანაშვილი გაკვეთილებს ძირითადად ძველი მეთოდით — მხოლოდ კითხვითა და თარგმნით ატარებენ. გაკვეთილზე არ ხდება განვლილი მასალის განმტკიცება, მუშაობა ზეპირმეტყველების განვითარებისათვის, არ იყენებენ თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს, არ ამოწმებენ საკლასო-საშინაო რვეულებსა და სიტყვარებს. ყოველივე ამის გამო დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. მასწავლებელი ლ. ჯანაშვილი, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია, ინგლისურად მეტყველებისას უშვებს ენობრივი ხასიათის უხეშ შეცდომებს; რის გამოც ამ საგნის მასწავლებლად მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

სოფელ არბოშიკის საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავ-

ლებელი ლ. ფაშალიშვილი დამაკმაყოფილებლად ფლობს ინგლისურ ენას, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. ის გაკვეთილებს ძირითადად უცხოურ ენაზე ატარებს, მუშაობს მოსწავლეთა სიტყვათა მარაგის გამდიდრებასა და გამტკიცებაზე. ცდილობს მთელი კლასი ჩაბას მუშაობაში, იყენებს თვალსაჩინოებას, მოსწავლეები გამართულად პასუხობენ მასწავლებლის კითხვებზე და მოსწავლეთმ მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ამასთან მასწავლებელი არ ასწორებს საკლასო-საშინაო დავალებათა და სიტყვარების რვეულებს, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ავრეთვე ამავე სკოლის ინგლისური ენის მეორე მასწავლებელი ქ. ალადაშვილი.

რაიონის სკოლები იცავენ განათლების სამინისტროს მითითებებს უცხოურ ენაში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნამუშევართა გასწორებას, და შემჩნეულ შეცდომებზე მუშაობას.

მათემატიკა

წითელწყაროს რაიონის სკოლების მათემატიკის მასწავლებლებს: ნ. გ. ჯანაშვილს (ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა), მ. ი. ნატროშვილსა და ნ. ნ. სესიტაშვილს (წითელწყაროს პირველი საშუალო სკოლა) გარკვეული წარმატებები აქვთ მათემატიკის სწავლების საქმეში. სათანადოდ ემზადებიან გაკვეთილის ჩატარებისათვის. ჯეროვან ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა აქტივიზაციას, მათში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდას, განვლილი მასალის მიმდინარე გამეორებას, იცავენ საკონტროლო წერების სახეებს, რაოდენობასა და შეფასების ნორმებს. ფლობენ საგნის მეცნიერულ საფუძვლებს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს.

ამასთან, წითელწყაროს რაიონის საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა ერთ ნაწილს მათემატიკის სწავლების საქმეში აქვს ნაკლოვანებანი. მაჩხაანის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მასწავლებელი ს. გ. მესხიშვილი მეთოდურად არასწორად აწარმოებს საშინაო დავალების შესრულებას. მოსწავლეებმა მასწავლებლის

დახმარების გარეშე ვერ გასცეს პასუხი კითხვებზე: შეიძლება თუ არა უარყოფითი კუთხის სინუსი იქნეს დადებითი რიცხვი? sin 1° მეტია თუ sin 1? რა დამოკიდებულებაა cos 25° და sin 65° შორის?

მე-9 კლასში გეომეტრიის გაკვეთილზე მასწავლებელმა ზ. ა. აბულაშვილმა საშინაო დავალება „ზღვრების გამოყენება წრის ფართობის გამოსაანგარიშებლად" მხოლოდ ერთ მოსწავლეს გამოკითხა. გადასაცემი მასალა „სიმეტრიის ძირითადი თვისებები" მოსწავლეთა მონაწილეობის გარეშე იქნა ახსნილი.

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში მე-9 კლასში (მასწავლებელი რ. ო. ფაქიზაშვილი). გაკვეთილზე მხოლოდ ორი მოსწავლე აქტიურობს, დანარჩენებმა არ იციან წრფივი ფუნქცია და მისი გრაფიკი, წრფივ განტოლებათა სისტემების ამოხსნა შეკრებისა და ჩასმის ხერხით.

მე-8 კლასში, გეომეტრიის გაკვეთილზე, მასწავლებელმა მ. ლ. ნანდოშვილმა გადასაცემი მასალა „სამკუთხედების მსგავსების მეორე ნიშანი" ახსნა მაღალი აკადემიური წარმატების მქონე მოსწავლეთა მონაწილეობით. აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები მასწავლებელს უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული, რის გამოც ზოგიერთ მოსწავლეს მასწავლებლის ნაკარნახევის ჩაწერაც კი არ შეუძლია. ვერ ამჩნევენ წვეროსთან მდებარე ყველა კუთხეს, არ იციან ტოლგვერდა სამკუთხედის გარეკუთხის ბისექტრისის თვისება. თეორემების მტკიცებას მოსწავლეები საშინაო დავალების რვეულებში იწერენ.

ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება გამარჯვების საშუალო სკოლაშიც, ალგებრა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილზე მე-10 კლასის მასწავლებელი ზ. ი. ჯიყაშვილი არასწორი მეთოდით აწარმოებს საშინაო დავალებად „ორმაგი კუთხის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებზე" მოცემული მაგალითების დამოუკიდელლად ამოხსნის შემოწმებას, რასაც 25 წუთს უნდება. ივი, ზოგჯერ, დაფასთან გაძახებული მოსწავლის მიმართ იჩენს უყურადღებობას, რის გამოც მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა $\sin(45^\circ - \alpha) = \sin(90^\circ - 45^\circ + \alpha)$ მოგვიანებით იქნა გასწორებული. მოსწავლეებს უჭირთ მოქმედებათა შესრულება მარტივ მაგალითებზე.

მეხუთე კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან სხვადასხვა ნიშნიანი რიცხვების შეკრება, რიცხვის მოდული.

დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე მე-7 კლასში გეომეტრიაში (მასწავლებელი მ. გ. იაკობაშვილი), მოსწავლეებმა გამოსაკითხი

მასალა „პარალელოგრამის თვისებაზე“ სუსტად იცან, მათ უჭირთ მსჯელობა, ვერ გამოაქვთ დასკვნები. მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს პრაქტიკულ მუშაობას. მოსწავლეთა-ბავშვთა ნაწილმა ვერ შეძლო დაფის ფართობის გამოთვლა, არ იციან ფართობის საზომი ერთეულები, ვერ შეძლეს 13188 სმ² -ის კვადრატულ მეტრებში გადაყვანა. მე-9 კლასის მოსწავლეებმა სუსტად იცან რიცხვით უტოლობათა ძირითადი თვისებები, თეორემა საშუალო არითმეტიკულსა და საშუალო გეომეტრიულზე. რის გამოც ვერ შეძლეს მასწავლებლის მიერ მიცემული (a+b)(b+c)(c+a)>8abc უტოლობის დამტკიცება. გადასაცემი მასალა „წრფივი უტოლობანი“ მოსწავლეთა მონაწილეობის გარეშე იქნა ახსნილი.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა მარნეულის რვაწლიანი სკოლის VII კლასში (მასწავლებელი დ. გ. ყოჩიაშვილი). მოსწავლეებმა არ იციან სამკუთხედში სიმაღლეების დაშვება და სამკუთხედის წვეროს პირდაპირ მდებარე გვერდის აღნიშვნა.

კიდევ უფრო დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე მე-5 კლასში, რაც გამოვლინდა საკონტროლო წერის ჩატარების შემდეგ. კლასში, საკლასო ჟურნალის მიხედვით, ირიცხება 10 მოსწავლე, წერას ესწრებოდა—10, შეფასება „2“ მიიღო ათივე მოსწავლემ.

მე-4 კლასის მათემატიკის მასწავლებელი ლ. გ. ჩუთლაშვილი ერთფეროვან, მოსაწყენ გაკვეთილებს ატარებს. გაკვეთილის დრო უნაყოფოდ იხარჯება. გაკვეთილს დამთავრებას 12 წუთი აკლდა, რომ მოსწავლეებს მასალა ამოცანა დამოუკიდებლად სამუშაოდ დავალება მოსწავლეთა უმრავლესობამ ვერ შეასრულა.

მე-8 კლასში ალგებრის გაკვეთილზე მასწავლებელმა ვ. ი. თარაშვილმა გამოკითხა საშინაო დავალებად მიცემული მასალა — კვადრატული ფესვის ნიშნიდან თანამამრავლის გამოტანა და თანამამრავლის კვადრატულ ფესვქვეშ შეტანა. მოსწავლეებმა იციან წესები თანამამრავლიდან, წილადიდან და ხარისხიდან კვადრატული ფესვის ამოღების შესახებ, მაგრამ უჭირთ ამ წესების გამოყენება მაგალითების ამოხსნისას. მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომა $\sqrt{x^2} = x$ მოგვიანებით გ სწორდა.

არადამაკმაყოფილებელი შედეგები გამოვლინდა ჯაფარიძის საშუალო სკოლის მეათე კლასში (მასწავლებელი მ. ი. ჩუთლაშვილი). საწერად მიცემული საშუალო სიძნელის ამოცანა — „დახრილი პრიზმის ფუძეებს შორის მანძილები 37 სმ, 13 სმ და 40 სმ-ია. გავიგოთ მანძილი დიდ გვერდით წიბოებსა და მის მოპირ-

დაბერე გვერდით წიპოს შორის", 15 მოსწავლიდან მხოლოდ სამმა ამოხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი მ. ჩუთლაშვილი ნაკლებ ყურადღებას ანიჭებდა განვლილი მასალის განმეორებას, რის გამოც მოსწავლეებმა არ იციან წრეში ჩახაზული წვრილი სამკუთხედის, ოთხკუთხედისა და ექვსკუთხედის გვერდის გამოსაანგარიშებელი ფორმულები.

მე-4 კლასში მათემატიკის მასწავლებელ ნ. ზ. ალადაშვილს შეუმჩნეველი რჩება დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები, მოსწავლეებმა არასწორად განმარტეს „სხვი". ცარიელ სიმრავლეს წერენ ასე {∅}ξ მაშინ, როდესაც ეს აღნიშნავს სიმრავლეს, რომლის ერთადერთი ელემენტია ცალკეული სიმრავლე. არ იციან y-ის როგორი ბინომიალობისათვისაა ტოლობა 7y+2y+=5y.

მე-8 კლასში გეომეტრიაში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით იქნა ახსნილი „სამკუთხედების მსგავსების მეორე ნიშანი" (მასწავლებელი ე. ზ. რობიტაშვილი), თუმცა არც ერთმა მოსწავლემ არ იცის ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზული წრის ცენტრის მდგომარეობა. თეორემიდან უპირველ მოცემულობისა და დასამტკიცებლობის გამოყოფა, მოსწავლეებს უპირველ ლოგიკური მსჯელობა.

დაბალი მომზადება გამოავლინეს წითელწყაროს პირველი საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა მათემატიკაში (მასწავლებელი მ. ნ. ისაიაშვილი). საკონტროლო წერისას 25 მოსწავლიდან „2" მიიღო 17-მა, („3" — ხუთმა და „5" — სამმა).

მე-10² კლასის ალგებრა და ელემენტარული ფუნქციების მასწავლებელმა ბ. ს. ასანიშვილმა მაგალითები — ტრიგონომეტრიული ფუნქციების ნამრავლის ჯამად გარდაქმნაზე ფორნტალური წესით შეამოწმა, გამოკითხა წესები: რას უდრის ერთი კუთხის სინუსის მეორე კუთხის კოსინუსზე ნამრავლი, ორი კუთხის კოსინუსებისა და ორი კუთხის სინუსების ნამრავლები.

მასწავლებელი დაფასთან ერთდროულად ორ მოსწავლეს იძახებს და აძლევს ამოსახსნელად მაგალითებს, რის გამოც მოსწავლეებს ერთდროულად უხდებათ ორ მაგალითზე მუშაობა, ამიტომ დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს დროულად ვერ აბჩნევენ ვერც მოსწავლეები და ვერც მასწავლებელი.

მეთოდიკური თვალსაჩინოებით გამართლებული წესის მიხედვით არ ხდება მიმდინარე განმეორება. გასამეორებლად მიცემული

მასალა—„არითმეტიკული პროგრამები“ არავითარ კავშირში არ იმ-
ყოფებოდა ასახსნელ მასალასთან გაკვეთილზე მხოლოდ ერთი მოს-
წავლე აქტიურობდა.

მეხუთე კლასის მათემატიკის მასწავლებელი დ. ა. მატიაშვილი
არასაკმაო ყურადღებას აქცევს განვლილი მასალის განმეორებას,
რის გამოც მოსწავლეებს გაუჭირდათ დასმულ კითხვებზე პასუხის
გაცემა — რომელი მეტია 60-ის 40% თუ 40-ის 60%. შეიძლება თუ
არა (a+b)-ს მნიშვნელობა ნაკლები იყოს, ვიდრე a . 20 რამდენი
პროცენტით ნაკლებია 40-ზე? 40 რამდენი პროცენტით მეტია 20
პროცენტზე?

შესწავლილი სკოლების მათემატიკის მასწავლებლები არ ას-
წორებენ საკონტროლო წერის რვეულებში დაშვებულ შეცდო-
მებს, ზოგჯერ კი შეუმჩნეველიც რჩება მოსწავლეთა შეცდომები.

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის მასწავლებლები რ. ო. ფა-
ქიზაშვილი, ნ. გ. ჯანაშვილი მოსწავლეთა ნამუშევრებში აწარმოებენ
ჩასწორებებს, ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი
მ. ლ. ნანდოშვილი არაობიექტურად აფასებს მოსწავლეთა ნამუშევ-
რებს. ასე მაგალითად, VII კლასის მოსწავლე მ. ნ.-ს 27 ოქტომბრის
ნამუშევარში ერთი მაგალითი სრულებით არა აქვს ამოხსნილი, და-
ნარჩენებში აქვს შეცდომები, ნამუშევარი შეფასებულია „4“-ზე.

გამარჯვების საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეთა საკონ-
ტროლო წერით ნამუშევრებში იშვიათად შეხვდებით მაღალ ნიშან-
ზე შეფასებულ ნაშრომს (მასწავლებელი ზ. ი. ჯიყაშვილი). ამავე
სკოლის VII კლასში საკონტროლო წერები მიჯრით ტარდება (მას-
წავლებელი მ. ი. იაკობაშვილი).

ფ ი ზ ი კ ა

რაიონში გარკვეული ყურადღება ექცევა ფიზიკის სწავლების
დონის ამაღლებას. მასწავლებელთა ერთი ნაწილი დამაკმაყოფილებ-
ლად მუშაობს ამ საგნის, მისი სწავლების მეთოდებისა და ხერხების
დასაუფლებლად შესაძლო ზომებს იღებს კაბინეტ-ლაბორატორიების
აღჭურვისათვის და სხვ.
ლაბორატორიების აღჭურვისათვის და სხვ.

წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი შოწ-
ყობილია, აკლია მხოლოდ წყალი. კლას-ლაბორატორია 50 მ²-ია სა-
პრეპარატო კი 10 მ².

კაბინეტს შეუძლია ჩაატაროს: 1. დემონსტრაციების 70%, ლა-
ბორატორიული სამუშაოების 80%, პრაქტიკული სამუშაოების 50%.

კაბინეტში აქვთ ხელსაწყოთა სია და ჩატარებული სამუშაოების აღრიცხვა. კაბინეტს პერსპექტიული გეგმა არა აქვს.

ლაბორანტი ყოველთვის კაბინეტშია, გაკვეთილებს [illegible] და ზოგიერთი ცდის ჩატარებაში ეხმარება მასწავლებელს.

დაზიანებული ხელსაწყოების შეკეთება ხდება დაზიანებისთანავე.

ამ სკოლის VIII კლასის ფიზიკის მასწავლებელს მაყვალა ჭიღიტაშვილს (1956 წელს დამთავრებული აქვს ქ. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი) შემოღებული აქვს 50-ფურცლიანი უკრედებიანი რვეული საკლასო-საშინაო წერილობათვის. საშინაო დავალებად მიცემული ჰქონდა ცვლადი მოძრაობის საშუალო სიჩქარე. მასწავლებელი აკონტროლებს, თუ რამდენად ესმით მოსწავლეებს გამოთქმული აზრის ფიზიკური არსი. ყოველ შეცდომას ან არაზუსტ გამოთქმას იგი მსჯელობის საგნად ხდის—ჯერ მოსწავლეთაგან მოითხოვს პასუხს და მერე თვითონვე უპასუხებს. ხშირია პრობლემური მეთოდის გამოყენება. ყველა ბავშვი ჩაბმულია სწავლებაში. ამოხსნა ამოცანა, რომელშიც მოსაძებნი იყო აჩქარება მოცემული დროისა და დროის ტოლშუალედებში გავლილი გზების სხვაობის ცოდნით. გამოიყენა ფორმულა

$$a = \frac{e_2 - e_1}{t^2}$$

და მოამზადა კლასი აჩქარების გაზომვისათვის. ჩაატარა ცდა მწვეთარით, გააზომინა მომდევნო დროის ტოლშუალედებში გავლილი მანძილები, გაზომა ეს შუალედი და გამოყვანილი ფორმულით გაიგო მწვეთარას მოძრაობის აჩქარება. ანათვლები მოსწავლეებმა აიღეს. ისინი მუშაობდნენ თავიანთ რვეულებში. მასწავლებელმა აღწერა ტრობოსკოპული მეთოდიც. ბავშვებს გაამეორებინა აჩქარების გაზომვისათვის გამოყენებული ორივე მეთოდი. სამი მოსწავლის ცოდნის შეფასების ნიშნები ჩაწერა ჟურნალში, მისცა საშინაო დავალება და გაკვეთილიც დაამთავრა.

დავალება ერთნაირი იყო მთელი კლასისათვის.

X კლასში, ასტრონომიის გაკვეთილზე, იმავე მასწავლებელმა ე. ჭიღიტაშვილმა გამოკითხვისათვის სამი მოსწავლე გამოიყვანა დაფასთან და მისცა თითო საკითხი. პასუხისათვის მათ ნახაზის აგება ასქერდებოდ. ვიდრე ნახაზს აგებდნენ, მასწავლებელი კლასს უსმენდა, გამართეს საუბარი: მან გამოარკვია კლასის ცოდნა- და ახლა მენდა, გამართეს საუბარი; მან გამოარკვია კლასის ცოდნა და ახლა დაფასთან მომუშავეებს მიუბრუნდა. გამოკითხვა აქ ისეთივე იყო, როგორც VIII კლასში. ჯერ მოსწავლე პასუხობს, ბოლოს კი — მასწავლებელი. მოსწავლეებმა ასტრონომიის საკითხების (ჰორიზონ-

ტული კოორდინატები, ეკვატორული კორდინატები, ადგილის გეოგრ. პლუსის სიმაღლის ტოლია) კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს. ახ-ახსნილ იქმა „დროის აღრიცხვა". ყველაფერი კარგი [illegible] ითახში ცა და გარემო არ გამოუყენებია, ე. ი. პრაქტიკასთან დაკავშირება არც გაკვეთილზე ჩანდა და არც საშინაო დავალების შინაარსში. აქაც საშინაო დავალება ერთიანი იყო მთელი კლასისათვის.

იმავე სკოლის IX კლასის ფიზიკის მასწავლებელს, მარინე მეხ-როშვილს (დამთავრებული აქვს ქ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი) მიცემული ჰქონდა ამოცანის ამოხსნა გაზებ-ზე. კლასს ჰქითხა: შეასრულეთ დავალება? კი, — იყო პასუხი. ჩამო-უარა მოსწავლეებს, გასინჯა ნაწერები და მისცა ამოცანა ამოსახსნე-ლად. თვითონ თვალს ადევნებდა მოსწავლეთა მუშაობას. შენიშნა ერთი მოსწავლე, რომელმაც დაამთავრა მიცემული ამოცანის ამოხ-სნა. მას გადასცა ფურცელი, რომელზეც სხვა ამოცანა ეწერა და უთხრა: „აბა, ამ ამოცანას თუ ამოხსნი?" შენიშნა მეორე, შემდეგ მესამე და სხვა მოსწავლეები, რომელთაც ამოეხსნათ მიცემული ამოცანა და მათაც სხვა ამოცანა მისცა.

ამოცანები დაწერილი ჰქონდა ფურცლებზე და სათითაოდ ურიგებდა მოსწავლეებს საჭიროების მიხედვით. რამდენიმე მოსწავლემ 3 ამოცანა ამოხსნა, ბევრმა — 2 და ცოტამ — 1.

ეს იყო მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის საუკეთესო ნიმუში. მასწავლებელს და მოსწავლეებს ხმამაღლა არ ულაპარაკია-ათ. მოსწავლეები თავჩაღუნულნი მუშაობდნენ თავიანთ რვეულებ-ში, მასწავლებელი კი დადიოდა მათ შორის და შეცდომებზე უხმოდ ან ჩურჩულით უთითებდა. მასწავლებელს დავალებისათვის მომზა-დებული ამოცანების ტექსტების მთელი სერია ჰქონდა. ყველა მოს-წავლე ცდილობდა თავისთვის ემუშავა, შეჯიბრებოდა კლასს. მას-წავლებლის მიზანი იყო კლასის საკონტროლო წერისათვის მომზა-დება. საშინაო სამუშაოდაც გაატანა (კერძულიდან დაუსახელა) ამო-ცანები.

მ. მესხიშვილი დამწყები მასწავლებელია, სულ ერთი თვეა, რაც ასწავლის.

დამაკმაყოფილებლად ასწავლის საგანს ამავე სკოლის მეორე ფიზიკის მასწავლებელი ნელი სესიტაშვილი.

დამაკმაყოფილებლად ასწავლის საგანს აგრეთვე ქ. წითელწყა-როს რუსული სშუალო სკოლის მასწავლებელი იდა გოლუბკინა.

მან IX კლასში საშინაო დავალების შესრულების შესამოწმებლად ორი მოსწავლე გამოიძახა დაფასთან და ერთა ერთი ამოკანა ამოხსნა მოსთხოვა, მეორეს — მეორე ამოკანაა, თვითონ ... რუნდა კლასს და კითხვა-პასუხის გზით გამოკითხა თერმოდინამიკის პირველი კანონი. გამოკითხვა სრული იყო. ყველა პროცესი (იზოთერმული, იზობარული, იზოქორული) გამოკითხა, გრაფიკები ააგებინა, მოიგონეს ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა. ამის შემდეგ მიუბრუნდა დაფასთან მყოფ მოსწავლეებს. მოსწავლემ, რომელსაც ჰქონდა ამოსახსნელად ამოცანა № 4, ვერ ამოხსნა ის. არც სხვა მოსწავლეებს ჰქონდათ ამოხსნილი. მასწავლებელი ჩაერია და მეთოდურად, ყველას გასაგებად, ამოხსნა ეს რთული ამოკანა. ჯერ ზოგადი სახით ამოხსნეს. ამას დიდი დრო დასჭირდა. აქ თავი იჩინა მათემატიკის არასაკმაო ცოდნამ და მასწავლებელს მნიშვნელოვანი დრო დაეხარჯა.

მასწავლებელი მეტყველებს გამართულად, ავლენს პედაგოგიური კულტურის მაღალ დონეს, რაციონალურად იყენებს გაკვეთილის დროის ბიუჯეტს. მეორე ამოკანის ამოხსნაც შეამოწმა და ორივე ზოგადი სახით ამოხსნილი დაუტოვა კლასს შინ გამოსაანგარიშებლად.

უნდოდა ახალი მასალის „სითბური ძრავების" ახსნა, დაიწყო, მაგრამ ვერ დაამთავრა, ზარმა მოუსწრო. სასწრაფოდ მისცა საშინაო დავალება: § 21, 22 და ერთი ამოკანა მუშაობის გამოთვლაზე. გაკვეთილი სათანადო დონეზე ჩატარდა, ოღონდ არც აქ იყო სრულად გაშლილი მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა. მასწავლებელი არ მიმართავს კლასის მოსწავლეთა დიფერენციაციას მათთან ინდივიდუალური მუშაობის გასაშლელად.

მაგრამ, ყველან ასეა, როდესაც ფიზიკის სწავლება გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება არხილოსკალის სშ. სკოლაში (დირექტორი იაშა კიკაბიძე, ფიზიკის მასწავლებელი ავთანდილ ივანიძე).

არადამაკმაყოფილებელია სასწავლო-მატერიალური ბაზა. მარტო კლას-ლაბორატორია აქვთ. მაშინ მოთავსებულია კარადები ხელსაწყოებით, დაბნელება, კინოაპარატი, ეკრანი, „ლეტტ", ეპიდიასკოპი, ფილმოსკოპი; მოწყობილია კედლებზე 4 საშტეფსელო როზეტი; აქვს რადიომიმღები, ტელევიზორი, სმის ჩამწერი აპარატი, ღენის გამანაწილებელი ფარი. კაბინეტში დგას მასწავლებლის მაგიდა, ნაცვლად სადემონსტრაციო მაგიდისა.

კაბინეტში შეეძლიათ ჩაატარონ: სადემონსტრაციო ცდების 80% ლაბორატორიული სამუშაოები VII კლასში — 9, VIII კლასში — 3, IX კლასში — 2, X კლასში — 7, სულ — 12, ნაცვლად 10-სა. VI კლასში არც ერთი ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარების საშუალება არ არის.

არა აქვთ არეომეტრი, მენზურა, ელექტროქურა, უთო, ელექტროსარჩილავი, დასაშლელი ელექტრომაგნიტი, სადემონსტრაციო გალვანომეტრი, ბერკეტი, წამომზომი, პასკალის ბირთვი და სხვ.

აქვთ მხოლოდ ბაკუშინსკის დინამომეტრი,, სპირტქურა, კალორიმეტრი და სხვ. მრავალი სამუშაო ამ ხელსაწყოების გარეშე ვერ ჩატარდება, საერთოდ ბევრი ხელსაწყო ზედმეტია. მაგალითად, აქვთ 5 ელექტრომეტრი, ბრაუნის მოდელი და სხვა.

ლაბორანტის მიერ აღნიშნულია 163 დასახელების ხელსაწყო, რომელთა საერთო ღირებულება 1925 მანეთია.

მიმდინარე სასწავლო წელს ფიზიკაში ჩატარებული სამუშაოები არ არის აღრიცხული.

კაბინეტის მოწყობის პერსპექტიული გეგმა სკოლას არა აქვს.

ცალკე არ აქვთ გადაწყობილი შესაკეთებელი ხელსაწყოები.

ხელსაწყოები უწესრიგოდ აწყვია, არეულია ერთიმანეთში მექანიკა და ელექტროობა. არა აქვთ მინიმალური მეთოდური ლიტერატურა.

კაბინეტში არა აქვთ უკანასკნელად დამტკიცებული ხელსაწყოების ნუსხა. სკოლის დირექციას არ შეუსწავლია ფიზიკის სწავლების მდგომარეობა.

ამ სკოლის IX კლასში მასწავლებელ ა. ივანიძის (დამთავრებული აქვს ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახ. პედინსტიტუტი 1969 წელს) გაკვეთილზე გამოსაკითხი მასალა იყო ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა. მოსწავლეებმა ვერ თქვეს, რას ეწოდება ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა. განაცხადეს: „c-ს ეწოდება ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა". გაუჭირდათ „კალორიის" განმარტებაც და მისი ერთეულის დასახელებაც. „ნივთიერებას ეწოდება ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა — თქვა მოსწავლემ და მასწავლებელმა არ გაუსწორა. ასევე გაუსწორებელი დარჩა მოსწავლის ნათქვამი — „კალორია ნივთიერების რაოდენობაა". მოსწავლე ძლივს წერს ასოებს. ეს მასალა მე-7 კლასში აქვთ ნასწავლი და მეცხრეშიც არ აციან.

მასწავლებელი ა. ივანიძე დაბეჯითებით ასწავლის, რომ არის 1. ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა და 2. ნივთიერების (ან ერთოდ) სითბოტევადობა. ასეთი სწავლება მოდის 1968 წლიდან და გრძელდება დღემდე. სინამდვილეში არსებობს 1. ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა და 2. სხეულის სითბოტევადობა; პირველი აღინიშნება c ასოთი, ხოლო მეორე — ნამრავლით mc, რაც უდრის

$$\frac{Q}{t_2 - t_1}\text{-ს.}$$

მასწავლებელი ბევრს მუშაობს ე. წ. „წესების" სწავლებაზე და ცოტას — წესების ფიზიკური არსის სწავლებაზე. მუშაობის შედეგიც მისი შესაბამისია.

მასწავლებელმა ახსნა „სხეულის შინაგანი ენერგია". მისცა განმარტება, დაწერა ფორმულა და მიიღო თერმოდინამიკის პირველი კანონი. არ უხსენებია, რომ სითბო შინაგანი ენერგიის ცვლილებაა, არ განუმარტა სისტემა რომლის ენერგიაზეც ლაპარაკობდა, არ აღუნიშნავს, რომ სხეულს, როგორც მთლიანს, აქვს კინეტიკური და პოტენციური ენერგია, რომ მას თავისი შინაგანი ენერგია აქვს მოლეკულების მოძრაობისა და მოლეკულების ურთიერთქმედების გამო, რომ პირველი თუ ნულია, მეორე არ არის ნული (აბსოლუტური ნულის ზევით); არც ის უხსენებია, რომ ატომში, ატომთა ჯგუფში ელექტრონების მოძრაობა და ნაწილაკების ურთიერთქმედება ქმნის ენერგიას, რაც ზრდის სხეულის შინაგან ენერგიას, აგრეთვე ელექტრონული და მაგნიტური ველების ენერგია, თუ ეს ველები სისტემის შიგნით არსებობს, შინაგან ენერგიას მიეკუთვნება. § 17-ში შეტანილ შესწორებებს (უნდა წაიშალოს Δ ნიშანი A-სა და Q-ს წინ) მასწავლებელმა ყურადღება არ მიაქცია.

საერთოდ, წითელწყაროს რაიონში პროგრამული მასალის დამუშავებაში ჩამორჩენაა. მე-9 კლასში არც ცდა, არც ხარისხობრივი ამოცანა, არც ამოცანა გამოანგარიშებაზე არ ყოფილა გაკვეთილზე. ძნელია იმის გაგება, თუ რა გაიგეს მოსწავლეებმა. საჭირო კია ყოველმა მოსწავლემ ყოველი გაკვეთილის შემდეგ განსაზღვროს, რა ისწავლა ახალი. საშინაო დავალებად მისცა პარაგრაფის შინაარსის დასწავლა.

მე-10 კლასში გაძახებულმა მოსწავლემ თქვა და დაწერა:

$$W_0^1 = \sqrt{\frac{k}{m}}\sqrt{A_0^2} = \sqrt{\frac{1}{a}}$$ ვერც მასწავლებელმა და ვერც

მოსწავლეებმა ვერ შენიშნეს შეცდომა. გაკვეთილზე იყო უმოქმედო შუალედები, დუმილი. სხვა მოსწავლე წარმოადგენ-

დენის პერიოდი $T = \frac{2\pi}{M_0} = 2\pi\sqrt{\frac{1}{L_1 C}}$, მაგრამ არავინ ეხ-

ლორებს მ.ს.

მასწავლებელმა მიმართა კლასს ჰკითხეთ დაფასთან მდგომ მოსწავლესო, ბავშვებმა დაუწყეს კითხვების მიცემა სულ სხვა განყოფილებიდან. მასწავლებელმა მოითხოვა კითხვების დასმა გამოსაკითხი პარაგრაფის თემის შინაარსიდან. დაისვა კითხვები: რას ეწოდება რხევა, რეზონანსი? თავისუფალი რხევა? იძულებითი რხევა? ამ კითხვებზე პასუხები გასცეს.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაშიც შეცდომები აქვს მასწავლებელ ა. ივანიძეს. მოსწავლე ნ. ბ.-ს, რომელსაც შეცდომები ჰქონდა და არ გაუსწორა, „4“ დაუწერა.

გაკვეთილი—„თავისუფალი ელექტრომაგნიტური რხევების პერიოდი“ (§ 18) სამჯერ გამეორებინა მოსწავლეებს. მესამედ მოსწავლე გაიყვანა დაფასთან და მან დაწერა $W' = \sqrt{\frac{k}{m}}$,

$W_0 = \sqrt{\frac{1}{LC}}$, $\varepsilon = \chi(R_1 + R_2)$, $\Gamma = \frac{2\pi}{M\omega} = 2\pi LC$ სათანადო

ახსნა-განმარტებითა; ამ პარაგრაფის შინაარსი ამით მაინც ვერ ამოიწურა. ამის შემდეგ განმეორება დაიწყო, თუმცა, რა თქმა უნდა, სჯობდა მიცემული პარაგრაფის შინაარსის შეფასებაზე მუშაობის გაგრძელება, რადგან იგი ძნელი აღმოჩნდა მოსწავლეთათვის.

მასწავლებელმა ამოხსნა „ცვლადი დენი“ (§ 19). ერთი ფორმულისა დაწერა და ულაზათო ნახაზების აგება მოასწრო. ცვლადი დენის გენერატორის მოდელზე აჩვენა ცვლადი დენის მიღების პრინციპი

და ზარიც დაირეკა. დაფაზე დარჩა $\phi = B\cos\alpha$, $li = \frac{A\phi}{\Delta t} =$

$= -\beta \sin\cos(wt + \pi_2) = \epsilon_0 \sin wt$.

გაკვეთილზე არა ჩანს დამოუკიდებელი მუშაობა, მოსწავლეთადმი დიფერენცირებული მიდგომა, შეცდომები არ სწორდება. განმეორებას მეტი დრო ეთმობა, ახალ საკითხზე მუშაობას — ნაკლები. მუშაობა წარმოების პარაგრაფების შინაარსის დასწავლაზე.

წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის VII კლასში შემოწმებისას (მასწავლებელი ხარლამპი კანიდი) გამოსაკითხი მასალა იყო:

სითბოს რაოდენობა. მოსწავლეების თხრობას მასწავლებელი გულდასმით უსმენს და შეცდომებზე მთელი კლასის ყურადღებას ამახვილებს, ამეორებინებს კალორიის, კილოკალორიისა და ჯოულ მორის რაოდენობრივ თანაფარდობას, აგრეთვე თვითეული მათგანის განსაზღვრას. გამორკვა, რომ ბევრმა ეს საკითხები არ იცოდა. ჯობდა გამოეკითხა ამოცანების ამოხსნით. მოსწავლეები კარგად კანმარტავენ კუთრ სითბოტევადობას, მაგრამ მისი გამოყენება ბევრს არ შეუძლია.

მასწავლებელმა მისცა ამოცანა სითბოს რაოდენობის გამოანგარიშებაზე და მასწავლებლის გარეშე ამოხსნა ვერ შეძლო კლასმა. გაკვეთილზე ბევრი დრო შთანთქა კითხვა-პასუხმა. შეიძლებოდა რამდენიმე ამოცანის ამოხსნა, დამოუკიდებელი მუშაობის ჩატარება, დიფერენცირებული დავალებების მიცემა, მაგრამ ეს პრაქტიკა ჯერ არა აქვს მასწავლებელს.

საშინაო დავალებაც ერთიანი მისცა, თუმცა კლასში აშკარად სუნდნენ მოწინავე და ჩამორჩენილი მოსწავლეები.

სხვა კლასში მასწავლებელმა მოსწავლეთაგან მოითხოვა ცვლადი დენის გრაფიკის აგება. მოსწავლეებმა ეს ვერ შეძლეს. მათ მხედველობაში აღქმის რაღაც უჩვენეს დაფაზე, მაგრამ ვერ უჩვენეს კოორდინატთა ღერძებზე გადაზომილი სიდიდეები. მოსწავლემ ვერ ააგო სინუსოიდა. მასწავლებელი შეეცადა, ესარგებლა ანალოგიით და უთხრა გამოძახებულ მოსწავლეს: როგორ ააგებ $y=kx$ ფუნქციის გრაფიკს, თუ $k=1$-ს ეს აგება შესრულდა, მაგრამ კლასმა მაინც ვერ აჩვენა ფუნქციონალური დამოკიდებულების გრაფიკულად გამოსახვის ცოდნა. არასრული და ბუნდოვანი იყო მოსწავლეთა ცოდნა ცვლადი დენის სიდიდის, ტევადობისა და ინდუქციის შემცველი წრედის სრული წინაღობის ფორმულებისა. მასწავლებელმა ბევრი დიდი დრო დაკარგა ამ საკითხების განმარტებისათვის, მაგრამ მოსწავლეთა უმრავლესობა კვლავ გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩა. საკითხი რთულია, მაგრამ სიცხადის შეტანა მის შინარსში შეიძლებოდა, თუ იგი გაითვალისწინებდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 21 სექტემბრის თარიღით დაგზავნილ ცირკულარულ წერილს.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ზემო მაჩხაანის ფიზიკის მასწავლებლის ბაბულია ბიკაშვილის (დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მუშაობათ

VI კლასში მასწავლებელს უნდა აეხსნა „სხეულთა ურთიერთქმედება“ (§ 22) და „სხეულის მასა“ (§ 23). ჯერ საშინაო დავალება მისცა და შემდეგ დაიწყო ახსნა. საკითხი კარგად იყო დასმული. მოსწავლეთა წინაშე: მათ გაიგეს, რომ უნდა უპასუხონ კითხვას: რა იწვევს სხეულის სიჩქარის შეცვლას? მაგრამ მისი ახსნა ცდის გარეშე მოხდა. „წარმოვიდგინოთ პატარა ურიკა“, — თქვა მასწავლებელმა, — და დაიწყო წიგნში დაწერილი ტექსტის მიხედვით საუბარი, კითხვა-პასუხი.

მოსწავლეთა პასუხები მასწავლებლის კითხვებზე ისევე გონივრული იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო ცდის ჩატარების შედეგად. ბავშვები საკუთარ გამოცდილებას, ცხოვრებაში მიღებულს, ეყრდნობოდნენ და ამიტომ უტყუარ პასუხებს აძლევდნენ. ახსნილი რომ კარგად ვაიგეს, ამოცანის ამოხსნის დროს გამომჟღავნდა. ამით დაკმაყოფილდა მასწავლებელი და დაიწყო წინა გაკვეთილებზე შესწავლილი მასალის განმეორება.

მასწავლებელ ბიკაშვილის გაკვეთილებზე უნდა გაძლიერდეს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, ყველა მოსწავლეს ერთ-ამოცანა არ უნდა მიეცეს, საჭიროა მათდამი ინდივიდუალური მიდგომა, დავალებათა დიფერენციაცია. საჭიროა, ყოველ მოსწავლეს ვადევნოთ თვალი და არა რამოდენიმეს, საჭიროა, ჩამორჩენილი მოსწავლე მასთან მუშაობის გზით გავხადოთ მოწინავე.

მასწავლებელს VII[3] კლასში ჰქონდა ლაბორატორიული სამუშაო № 1 სითბოს რაოდენობათა შედარება წყლის შერევის დროს. ხელსაწყოები არ ყოფნის: თერმომეტრი აქვთ, მენზურა — 2, ცხელი წყალი ვედროთი შემოიტანა, დაახაზვინა დაკვირვებათა ცხრილი, გამოიყვანა ერთი მოსწავლე და ჩაატარებინა სამუშაო. გაზომა ცივი წყლის მასა და ტემპერატურა,ნარევის ტემპერატურა და მასწავლებელმა დაავალა კლასს, ეანგარიშათ ცივი წყლის მიერ მიღებული და ცხელი წყლის მიერ გაცემული სითბოს რაოდენობანი.

ასევე გააზომვინა ტემპერატურა კიდევ ორ მოსწავლეს და თითქოს ეს იყო „ლაბორატორიული სამუშაო“. მასწავლებელი იწყებს წინა მასალის გამეორებას: რა არის კალორია? კილოკალორია? ჯოული? სათბობის წვის სითბო? და ა. შ. სითბოს რაოდენობასა და განმეორებულ მასალაზე ზეპირი ლაპარაკის ნაცვლად სჯობდა დამოუკიდებელი მუშაობა ჩაეტარებინა მოსწავლეებთან. კლასში

26 მოსწავლიდან მუშაობდა მხოლოდ 4, დანარჩენები კი მხოლოდ იწერდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიმია

წითელწყაროს რაიონის ზემოაღნიშნულ სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება ქიმიის სწავლების დონის ასამაღლებლად.

ამ საგნის სწავლების საქმეში ერთგვარი დადებითი შედეგები აქვს მოპოვებული წითელწყაროს პირველ საშუალო სკოლას (კაბინეტის გამგე ქ. ნაცვლიშვილი). აქ სათანადო ყურადღება ექცევა ქიმიის კაბინეტის შევსებასა და მოწყობას. ქიმიის კაბინეტს დათმობილი აქვს ორი ოთახი ხელსაწყოებისა და რეაქტივების შესანახად, გაკვეთილებისა და პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად; ხელსაწყოები, რეაქტივები და ჭურჭლეულობა კარადებში ცალ-ცალკეა დალაგებული; კაბინეტი მდიდარია მოწყობილობით, ჭურჭლეულობით, რეაქტივებითა და სავსებით უზრუნველყოფს ქიმიის პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას; კაბინეტს აქვს ამწოვი კარადა, ანალიზური სასწორი, ელდენის გამმართველი, გაზის აპარატი და სხვა; თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათაგან კაბინეტს აქვს კოდოსკოპი, კინოაპარატი „შკოლნიკი“, ეპიდიასკოპი და სხვა. მოწყობილია ხელოვნური დაბნელება. კაბინეტში არსებული თვალსაჩინოება მაქსიმალურად არის გამოყენებული სწავლებაში. მოსწავლეები იცნობენ კაბინეტში მუშაობის წესებს. კაბინეტში დაცულია ჭურჭლეულობის, ხელსაწყოებისა და რეაქტივების მოვლა-შენახვისა და დალაგების წესები. ასევე სათანადო ყურადღება ექცევა კაბინეტის შევსებასა და დაზიანებული ხელსაწყოებისა და ნახმარი რეაქტივების ჩამოწერას.

ქიმიის კაბინეტს ლაბორანტი არა ჰყავს, რაც გარკვეულად ართულებს კაბინეტის გამგის მუშაობას.

შედარებით ღარიბია, ქიმიის კაბინეტები წითელწყაროს რუსულ (დირექტორი ნ. ტერტეროვა, კაბინეტის გამგე ნ. ნერსესოვა), არხილოსკალოს (დირექტორი დ. კიკაბიძე, კაბინეტის გამგე მ. თ.ბუჩუკური), ზემო მაჩხაანის (დირექტორი ვლ. ჯამასპიშვილი, კაბინეტის გამგე ზ. სპანდერაშვილი) და გამარჯვების (დირექტორი ხ. ალუღიშვილი, კაბინეტის გამგე ც. ბოსტოღანაშვილი) საშუალო და მირზაანის (დირექტორი ი. თარაშვილი, კაბინეტის გამგე ზ. ფიროსმანაშვილი) რვაწლიან სკოლებში. მათ არა აქვთ ამწოვი კარადები,

კინოაპარატები, ფილმოსკოპები, კაბინეტის დასაბნელებელი მოწყობილობა, ჭურჭელი, რეაქტივები და სხვ.

ქ. წითელწყაროს -1ელ საშუალო სკოლაში ქიმიას ასწავლიდა ქრისტინე ნატროშვილი (დამთავრებული აქვს ქ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის 1951 წელს) იგი კარგად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. ფართოდ იყენებს გაკვეთილებზე თვალსაჩინოებას, ატარებს თითქმის ყველა სადემონსტრაციო ცდას და პრაქტიკულ მეცადინეობას.

დადებითი შთაბეჭდილება დატოვა მის მიერ ახსნილმა გაკვეთილმა VII კლასში. ახალი მასალის თემა იყო: „ამფოტერული ჰიდროჟანგები". მან გაკვეთილის ახსნის პროცესში ჩაატარა სადემონსტრაციო ცდები, რომელთა საფუძველზეც მოსწავლეებისათვის ნათელი გახადა, რომ არსებობს ისეთი ჰიდროჟანგები, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ როგორც მჟავებთან, ასევე ფუძეებთან $Zn(OH)_2$ — თუთიას ჰიდროჟანგი — ფუძე; H_2ZnO_2 თუთიას ჰიდროჟანგი — მჟავა; $Al(OH)_3$ ალუმინის ჰიდროჟანგი — ფუძე; H_3AlO_3 — ალუმინის ჰიდროჟანგი — მჟავა).

მასწავლებელმა ნათელი გახადა მოსწავლეებისათვის, რომ ორმაგი ბუნების ანუ ამფოტერული ჰიდროჟანგების მსგავსად, არსებობს ამფოტერული ჟანგეულებიც, მაგ Al_2O_3; ZnO; Cr_2O_3 და ა. შ.

ქიმიის სწავლების წინაშე დასმული ამოცანების დონეზე ჩაატარა გაკვეთილი ქ. ნატროშვილმა VII კლასშიც. მოსწავლეთა მომზადების დონე ორივე კლასში დამაკმაყოფილებელია.

არხილოსკალოს საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლის, მარიამ ბუწუკურის (დამთავრებული აქვს ალ. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი 1951 წელს) მუშაობა გარკვეული ნაკლოვანებით ხასიათდება, თუმცა იგი ფლობს საგანს და საგნის სწავლების მეთოდებს. მან დამაკმაყოფილებლად ჩაატარა გაკვეთილი VII კლასში, X კლასში კი მისი გაკვეთილი უფერული აღმოჩნდა. მასალა იყო: „ნაჯერი ნახშირწყალბადის (პარაფინების) ჰომოლოგიური რიგი". იმდენად, რამდენადაც ამ გაკვეთილზე მასწავლებელმა ანგარიში არ გაუწია დროის ფაქტორს და დაარღვია გაკვეთილის ორგანიზაციული მხარე, მოსწავლეებთან ვერ ისაუბრა და მიზანსაც ვერ მიაღწია.

X კლასის მოსწავლეთა ცოდნა დაბალია, მათ გაუჭირდათ ნაერთებში გოგირდის ვალენტობის განსაზღვრა; არ ჰქონდათ ნათე-

ლი წარმოდგენა იზომერიაზე, კერძოდ, მათ ვერ ახსნეს, თუ რისგამ არ გაჩნია პროპანს იზომერი, ვერ დაწერეს პროპანის წვის რეაქციის ტოლობა. მართალია, მათ იცოდნენ, რომ მეთანის [illegible] გამოიყოფა CO_2H_2O. სითბო და რეაქციის ტოლობაც სწორად დაწერეს, მაგრამ პროპანის წვის რეაქციის ტოლობის დაწერა ვერ შეძლეს და არც ის იცოდნენ, რომ ამ დროს ანალოგიური პროდუქტების გამოყოფას ექნებოდა ადგილი.

მასწავლებელი ნაკლებ დროს ანდომებს ამოცანებზე ვარჯიშს. აღსანიშნავია, რომ სკოლაში VII კლასისათვის გამოყოფილია ფაკულტატიური მეცადინეობის საათები, თუმცა სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა არ იძლევა ამის საშუალებას და არც მასწავლებელს გააჩნია ფაკულტატიური მეცადინეობის ჩასატარებლად სათანადო პროგრამა. ამგვარად, ფუჭად იკარგება ფაკულტატიური მეცადინეობისათვის გამოყოფილი სასწავლო დრო.

წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელინელი ნერსესოვა (დამთავრებული აქვს მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის კვების პროდუქტების ქიმიური გადამუშავების ფაკულტეტი) კლასში მუშაობს მხოლოდ ძლიერ მოსწავლეებთან, კლასის II ნაწილი კი რჩება ყურადღების გარეშე. ეტყობა, მასწავლებელს ხელს უშლის ის გარემოება, რომ მას არა აქვს პედაგოგიური განათლება. მართალია, კლასში მოსწავლეებს ამოცანებს ახსნევინებს, მაგრამ ამ სამუშაოს ძირითადად თვითონვე ასრულებს და შემდგომი ამოცანის ამოხსნას კარნახობს მოსწავლეებს.

მასწავლებელი მოითხოვს მოსწავლეებისაგან, გაკვეთილის ახსნის პროცესში გააკეთონ ჩანაწერები საშინაო დავალების რვეულებში, რაც აგრეთვე გაუმართლებელია პედაგოგიურ-მეთოდიკური თვალსაზრისით.

VII კლასში ახალ მასალის თემა იყო „ქიმიური ელემენტები". მასალა მასწავლებელმა ახსნა დამაკმაყოფილებლად. ახსნის დროს ჩატარა რიგი სადემონსტრაციო ცდები; ასე მაგალითად, გაახურა სპილენძის ფირფიტა და მიაქცია მოსწავლეთა ყურადღება ამ დროს წარმოქმნილ სპილენძის ჟანგზე. აქვე დაუსვა მოსწავლეებს შეკითხვები: არის თუ არა სპილენძის ატომები სპილენძის ჟანგში? შემდეგ გახსნა სპილენძის ჟანგი გაცხელებულ მარილმჟავაში და მიიღო სპილენძის ქლორიდის ხსნარი. უჩვენა მოსწავლეებს მზა სპილენძის ქლორიდის ხსნარი და სპილენძის ქლორიდის კრისტალები. მოსწა-

ელებს დაუსვა კითხვა: შენარჩუნდა თუ არა სპილენძის ატომები სპილენძის ქლორიდში?

ყოველივე ამის შემდეგ სპილენძის ქლორიდის ხსნარში ჩაშვებ სუფთა დანა და ა. შ.

VIII კლასში ჩატარებული გაკვეთილი უფრო მკრთალი აღმოჩნდა, რადგანაც თემაზე—„გამოთანგარიშებანი ფორმულებისა და ტოლობების მიხედვით“ მუშაობისას. მასწავლებელმა მთელი ტვირთი თვითონ იკისრა. იგი ძირითადად მუშაობდა მხოლოდ რამდენიმე მოსწავლესთან, მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი კი პასიურად იყო განწყობილი გაკვეთილისადმი და მხოლოდ რვეულებში იწერდა იმას, რაც დაფაზე ეწერა, და კიდევ იმას, რასაც მათ მასწავლებელი კარნახობდა.

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელ ზაირა სპანდერაშვილის (დამთავრებული აქვს ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1968 წელს) მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი. იგი კონტროლს არ უწევს საშინაო დავალების შესრულებას, მოსწავლეებს სისტემატურად არ ავარჯიშებს ამოცანების ამოხსნაზე. შემოწმების დროს X კლასში დავალება შესრულებული ჰქონდა მხოლოდ ორ მოსწავლეს

IX კლასში გაკვეთილის თემა იყო: პრაქტიკული სამუშაო № 1. ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნა თემაზე: „ელექტროლიტური დისოციაციის თეორია“. მაგიდებზე გაწყობილი იყო სათანადო რეაქტივები და ყველაფერი რაც საჭირო იყო პრაქტიკული მეცადინეობისათვის. ყოველ მაგიდაზე მუშაობდა ორი მოსწავლე, მაგრამ ისინი ფაქტიურად მზად არ იყვნენ აღნიშნული პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად. მათ არ იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ და როგორ უნდა ჩაეტარებინათ ცდები. რეაქციის ტოლობებს წერდნენ შეცდომით; ასე მაგალითად, $H_2CO_3 \uparrow HCO_3 \uparrow$ CO_2^{+7}; $2H_2^{+2}$; Cl^{-2} და ა. შ. მათ ვერ ახსნეს, რომ თუთიის ნაჭერზე მარილმჟავას მოქმედებით გამოიყოფა წყალბადი; არ იცოდნენ, როგორ უნდა დაედასტურებინათ, რომ ამ დროს გამოყოფილი გაზი წყალბადი იყო და ა. შ. ფაქტიურად ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობისათვის დახარჯული დრო ფუჭად დაკარგული აღმოჩნდა.

X კლასში ჩატარებული გაკვეთილიც თემაზე — „ცნება მაღალ მოლეკულური ნაერთების შესახებ“ ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა. აქ მასწავლებელმა არ გაუწია ანგარიში დროის ფაქტორს და ახლად ახსნილი მასალის კითხვებით განმტკიცება ვერ მოასწრო.

გამარჯვების საშუალო სკოლის მასწავლებელს (ციალა ბოლოლანაშვილს (დამთავრებული აქვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1972 წელს) არა აქვს პედაგოგიური [illegible] და, გარდა ამისა, იგი სისტემატურად არ მუშაობს საგნის სწავლების მეთოდიკის დასაუფლებლად.

მასწავლებელი ზერელედ, მერხებს შორის ჩამოვლით თვალის ერთი გადავლებით ამოწმებს საშინაო დავალების შესრულებას; ასე მაგალითად, IX კლასში მოსწავლეებს საშინაო დავალებად მიცემული ამოცანა ყველას, ვისაც კი ჰქონდა შესრულებული, ერთნაირად ჰქონდა ამოხსნილი. ჩანდა, მათ ერთი მოსწავლისაგან ჰქონდათ გადაწერილი.

IX კლასში ახალი მასალა — „იონური მიმოცვლის რეაქციები“ ახსნა ქაოტურად და დაუშვა მთელი რიგი შეცდომები; ასე მაგალითად:

$$BaCl_2 + 2AgNO_3 \rightleftarrows Ba(NO_3)_2 + 2AgCl \downarrow$$
$$Ba^{+2} + 2Cl^- + 2Ag^{++} + 2NO_3^- \rightleftarrows Ba^{+2} + 2NO_3^- + 2AgCl \downarrow$$
$$Cl + 2Ag^+ \rightarrow 2AgCl$$
$$Cl^- + Ag + AgCl \downarrow$$
$$BaCl_2 + NO_2SO_4 \rightleftarrows BaSO_4 \downarrow + 2NaCl$$
$$Ba^{++} + Cl^-_2 + 2Na^+ + SO_4^{--} \rightleftarrows BnSO_4 \downarrow + 2NnCl$$
$$Ba^{++} + SO_4^{--} \rightarrow BnSO_4.$$

ბუნებრივია, ასეთი მუშაობის პირდაპირი შედეგია ქიმიაში მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე: მოსწავლეებს გაუჭირდათ, ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის საფუძველზე განესაზღვრათ ცნებები: „ძაცა“, „ფუძე“, „მარილი“, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ დისოციაციის ხარისხზე, ვერ შეძლეს დაესახელებინათ ძლიერი და სუსტი ელექტროლიტები და სხვა.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა აღნიშნული მასწავლებლის მიერ X კლასში ჩატარებული გაკვეთილიც, რომლის თემა იყო: „ციკლოპარაფინები“. დროის უქონლობის გამო, არ მომხდარა ახსნილი გაკვეთილის კითხვების დასმით განმტკიცება.

დაბალი იყო მოსწავლეთა ცოდნის დონე X კლასშიც. ისინი პასუხს ვერ სცემდნენ შემდეგ კითხვებზე: რომელ ნაწილაკებს ეწოდება თავისუფალი რადიკალები? რატომ არ შეუძლიათ მათ თავისუფალ მდგომარეობაში ხანგრძლივად არსებობა? რას ეწოდება ჰომოლოგები? რას ეწოდება იზომერია? და სხვა.

მირზაანის 8-წლიან სკოლაში მეორე წელია ქიმიას ასწავლის მასწავლებელი რ. ფიროსმანიშვილი. ამ სკოლის VII—VIII კლასებში დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. მე-8 კლასის მოსწავლეებმა არ იციან ჟანგეულები, ვალენტობა, მასის მუდმივობის კანონი და სხვა. მასწავლებელი არ ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანის ამოხსნაზე არ აძლევს მოსწავლეებს საშინაო დავალებას და ამიტომ იყო, რომ არც ერთ გაკვეთილზე საშინაო დავალება არ შეუმოწმებია, არ ამოუხსნია ამოცანა და არც ამოცანის ამოხსნა მიუცია საშინაო დავალებად.

VII კლასში ახალი მასალის — „ქიმიური ელემენტების ნიშნების“ ახსნისას, დაფაზე დახაზა ცხრილა, რომელსაც დიდი დრო მოანდომა, გაკვლილი მასალა არ ჰკითხა მოსწავლეებს, არ ჩაბა მათ მუშაობაში, შეფასების ნიშანი არ დაუწერა მოსწავლეებს და სხვა.

ბიოლოგია

სკოლების ერთ ნაწილში საჭირო ყურადღება ექცევა ბიოლოგიის სწავლებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას; ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტში ხელსაწყოები დალაგებულია სახეების მიხედვით; კაბინეტი ისეა მოწყობილი, რომ იგი იძლევა როგორც ცდების, ისე პროგრამით გათვალისწინებული თემების ლაბორატორიული წესით ლამუშავების საშუალებას; კაბინეტს აქვს მიკროსკოპები, საპროექციო ფანარი, სკალპელების, პინცეტებისა და საპრეპარატო ნემსების რამდენიმე კომპლექტი, ადამიანისა და სხვადასხვა ცხოველის ჩონჩხი, ბოტანიკური წნეხები, ცოცხალი კუ და სხვა, რომელთაც იყენებენ ამ საგნის სწავლებისას.

წითელწყაროს პირველ საშუალო სკოლას დამაკმაყოფილებლად აქვს მოწყობილი ბიოლოგიის კაბინეტი მას დათმობილი აქვს ცალკე ოთახები — გაკვეთილების ჩასატარებლად და ხელსაწყოების შესანახად, მაგრამ კაბინეტი მოითხოვს შევსებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში უკანასკნელი წლების მანძილზე შეიცვალა რამდენიმე ბიოლოგიის მასწავლებელი და კაბინეტის ქონების აღრიცხვის, მოუგვარებლობის, გადაბარება-ჩაბარების აქტების სათანადოდ წარმოების საკითხის მოუგვარებლობის გამო, ისეთ ძვირადღირებულ ხელსაწყოს, როგორიც არის კინო აპარატი „შკოლნიკი“. დაეკარგა გამაძლიერებელი, რის გამოც აპარატი დღემდე დადუმებულია და უმოქმედოდ არის.

წითელწყაროს რუსული და არხილოსკალოს საშუალო სკოლების ბიოლოგიის კაბინეტებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია იმისათვის, რომ თავისი მოვალეობანი შეასრულონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელწყაროს რაიონის ჩვენ მიერ შესწავლილ სკოლებში გარკვეული დადებითი მუშაობა ტარდება ბიოლოგიის სწავლების დონის ასამაღლებლად.

წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი, პედკაბინეტის მეთოდისტი სვეტლანა შალვაშვილი (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედინსტიტუტი 1965 წელს) კარგად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. ფართოდ იყენებს გაკვეთილებზე თვალსაჩინოებას და ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკუმებსაც.

დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვა მის მიერ ახსნილმა გაკვეთილმა VIII კლასში. ახალი მასალის თემა იყო: „კუნთები და მისი ფუნქციები". მის შესწავლას მასწავლებელმა საფუძვლად დაუდო დამოუკიდებელი მუშაობა ტაბულების გამოყენებით და მოსწავლეთა თვითდაკვირვება საკუთარი სხეულის კუნთების მუშაობაზე. გაკვეთილი ატარებდა თავისებურად კვლევით ხასიათსაც, რადგანაც მოსწავლეები თვითონვე იძიებდნენ ზოგ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის კუნთების მუშაობასთან, განვითარებასა და განლაგებასთან.

მოსწავლეთა ცოდნა ანატომიაში დამაკმაყოფილებელია. ისინი დამაჯერებელ პასუხს იძლევიან კითხვებზე: რა მნიშვნელობა აქვს გავის მალების შეზრდას და შენჯის ძვლების სიმსხოს? რა მნიშვნელობა აქვს ხერხემლის მოქნილობას? რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის ქვედა ყბის მოძრავად შენაწევრებას საფეთქლის ძვლებთან?

ასევე მუშაობს ამ სკოლის მეორე ბიოლოგი, თამარ თეიმურაზის ასული თარაშვილი (დამთავრებული აქვს პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 1970 წელს).

დამაკმაყოფლებელი შთაბეჭდილება დატოვა მის მიერ ჩატარებულმა გაკვეთილმა IX კლასში. ამ კლასში ახალი მასალის თემა იყო: დარვინის მოძღვრების წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები". მასწავლებელმა, ახალი მასალის ახსნის დროს, მოსწავლეებს უჩვენა დარვინის ძირითადი წიგნები და გააცნო მისი შრომების სია. მან მოსწავლეებს მოკლედ მოუთხრო „სახეობათა წარმოშობის" ზო-

გადი იდეების შესახებ. იგი განსაკუთრებით შეჩერდა სოციალურ-ეკონომიურ წინამძღვრებზე და არა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე, რადგან კაპიტალისტურ საზოგადოებაში მხოლოდ იმ დროს შექმნილ განსაკუთრებულ პირობებში გახდა შესაძლებელი დარვინის თეორიის წარმოშობა და მისი წარმატება. ეს თეორია კი, როგორც ცნობილია, თავისი ეპოქის იდეებს გამოხატავდა.

ასევე დამაკმაყოფილებელია IX კლასის მოსწავლეთა მომზადება. ისინი მოფიქრებულ პასუხებს იძლეოდნენ კითხვებზე: რა საერთო შეიძლება აღინიშნოს რულიეს შეხედულებებს შორის? რით განსხვავდება სახეობათა წარმოშობის ახსნა რულიეს მიხედვით„ რაში მდგომარეობს ლენიეს შრომების მნიშვნელობა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.

აღნიშნულ მასწავლებელთა მოსწავლეებს აქვთ ბიოლოგიის რვეულები, რომლებშიაც იწერენ მნიშვნელოვან დებულებებს და იხატავენ სქემატურ სურათებს. ისინი, ბიოლოგიის რვეულებში ჩანახატების გაკეთებისას, მოსწავლეებისაგან მოითხოვენ არა დეტალურად შესრულებულ სურათს, არამედ ობიექტის ძირითად მომენტებს, ბევრ შემთხვევაში სქემატურად მოცემულს.

ამ საგნის სწავლებაში ასევე დადებით შედეგებს აღწევს წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი ნელი ბეგიაშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს სმოლენსკის პედაგოგიური ინსტიტუტი 1972 წელს.

მაგრამ ეს არ ითქმის იმავე სკოლის მეორე მასწავლებლის, მიხეილ კულიაკოვის (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი) შესახებ. VII კლასში მასწავლებელმა, გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, ანგარიში არ გაუწია დროის ფაქტორს, რის გამოც, მართალია, მოასწრო გაკვეთილის ახსნა, მაგრამ ვეღარ მოახერხა ახსნილი მასალის განმტკიცება, რადგან უკვე ზარმა მოუსწრო. ეს მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბიოლოგიაში რვეულების წარმოებას და, გარდა ამისა, გაკვეთილებს ატარებს არა ბიოლოგიის კაბინეტში, არამედ საკლასო ოთახში. ასეთი მდგომარეობა მან ახსნა გაკვეთილების ცხრილში ბიოლოგიის გაკვეთილების ერთმანეთზე დამთხვევით. სამწუხაროდ ცხრილს მართლაც აღმოაჩნდა ეს ნაკლი. სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარ-

გში ანა ბოიკოს სკოლის შესაძლებლობა ცხრილის შედგენისას არ გაუთვალისწინებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხილოსკალოს საშუალო სკოლის მასწ. ნინო ჩოხოშვილი (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტი 1968 წელს) მიერ VII კლასში ჩატარებული გაკვეთილის თემა იყო „ჯვრიანი ობობა". მასწავლებელმა გაკვეთილის ახსნის პროცესში გამოიყენა ჯვრიანი ობობასა და სხვა ობობასნაირების სველი პრეპარატები, სპეციალური ტაბულები ჯვრიანი ობობასა და სხვა ობობასნაირთა გამოსახულებებით, მან ჯვრიანი ობობას მაგალითზე შეადარა ობობასნაირებისა და კიბოსნაირების კლასები.

განსაკუთრებით საინტერესო იყო გაკვეთილის ის მომენტი, როდესაც მასწავლებელმა აუხსნა მოსწავლეებს, რომ დაუშვებელია ობობის ქსელის გამოყენება ჭრილობების დაფარვის მიზნით. მასწავლებელმა ხაზგასმით მიუთითა იმ ცრურწმენის უსაფუძვლობაზე, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ ადამიანს ჰგონია. რომ ობობას მოკვლისათვის მას მიეტევება ორმოცი ცოდვა. ამ საკითხისათვის ხაზგასმით მასწავლებელმა ორგანულად დაუკავშირა გაკვეთილის მასალა ათეისტურ აღზრდას.

მოსწავლეების ცოდნა ზოოლოგიაში დამაკმაყოფილებელი იყო; ისინი მოფიქრებულ პასუხებს იძლეოდნენ კითხვებზე: აგებულების რა დამახასიათებელი თავისებურება გააჩნია კიბოსნაირთა კლასს? რატომ მიეკუთვნება კიბოსნაირთა კლასი ფეხსახსრიანთა ტიპს?

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლები ნადია მახარობლიშვილი და ნორა რობიტაშვილი, რომელთაც დამთავრებული აქვთ პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედინსტიტუტი—პირველს 1959 წელს, მეორეს — 1965 წელს.

ფიზიკური კულტურის სწავლებისა და ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

ქ. წითელწყაროს I და ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება ფიზიკური კულტურის სწავლებისა და ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დასაყენებლად. ამ სკოლებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები და კლასგარეშე სექტორების მუშაობა.

საკითხის შესწავლის დღეს წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის IV კლასში მასწავლებელმა შოთა ტოკლიკიშვილმა (უმაღლესი სპეციალური განათლებით) გაკვეთილი დაიწყო ორგანიზებულად, მიეცა ადგილზე ბრუნები, სიარული; სიარულში — სამწყობრო ვარჯიშები, ბრუნები სხვადასხვა მიმართულებით აჩქარებული სიარული, სირბილი. კლასი მოაწყო ოთხ რიგად საერთო განმავითარებელი ვარჯიშისათვის, მოსამზადებელ ნაწილში მიეცა ნორმალური დატვირთვა. ამ ვარჯიშებს მოსწავლეები ასრულებდნენ სწორად, ყურადღებას აქცევდნენ ვარჯიშების შესრულების სისწორეს.

ორგანიზებულად მოხდა ძირითად ნაწილში გადასვლა. კლასი გაიყო ორ ჯგუფად. მოსწავლეთა უმრავლესობა დამაკმაყოფილებლად ფლობს ბირთვის ტყორცნისა და მოკლე მანძილზე რბენის ტექნიკის ელემენტებს, იციან დაბალ საწყისზე დგომა, საწყისიდან გასვლა, ფლობენ მოკლე მანძილზე რბენის ტექნიკის ელემენტებს. ჩატარდა შეჯიბრება 60 მეტრზე რბენაში, სადაც ფიქსირებული იყო თითოეული მოსწავლის შედეგი. მასწავლებელმა გამოუცხადა კლასს შეჯიბრების შედეგები.

გაკვეთილს თან ახლდა ხარვეზებიც: მოსწავლეთა ნაწილი ფინიშის ხაზთან ანელებდა სისწრაფეს; გარდა ამისა, საწყისთან მოსვლა სათანადო წესის დაცვით არ ხდებოდა.

ამავე სკოლის IVბ კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი გ. იაკობაშვილი, უმაღლესი განათლებით) გაკვეთილზე გამოცხადდნენ ერთიანი სპორტული ფორმით. მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად ფლობს სიგრძეზე ხტომისა და 100 მეტრზე რბენის მარტივ ტექნიკურ ელემენტებს.

გაკვეთილზე დამშვებულ იქნა ზოგი შეცდომა. მოსწავლეთა ნაწილი საარეკნო ხაზთან მიახლოების დროს აგრძელებდა ნაბიჯებს, უყურებდა, საარეენო ფეხი არ ხვდებოდა ასეთივე ხაზს და ფრენის ტრაექტორიაც დაბალი იყო.

ქ. წითელწყაროს 1-ელ საშუალო სკოლას (დირექტორი ქ. ჯორკოშვილი) აქვს დამაკმაყოფილებელი სპორტული ბაზა. სკოლას ჩატარებული აქვს სხვადასხვა სახის (შეჯიბრება ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში...) სპორტული ღონისძიებანი.

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის IX კლასში მასწავლებელმა დიმიტრი გონაშვილმა (დამთავრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი) გაკვეთილი დაიწყო ორგანიზებულად, მოსწავლეებს მიეცა ადგილზე ბრუნები, სიარული,

სიარულში—საამწყობრო ვარჯიშები, აჩქარებული სიარული, სირბილი. საერთო განმავითარებელი ვარჯიშებისათვის კლასი გაყო ორ რიგად. ვარჯიში მიეცა თანმიმდევრულად. ასევე მიეცა სპეციალური ტიპის ვარჯიშები ძირითადი ნაწილისათვის გათვალისწინებით. კლასის დატვირთვა ნორმალური იყო. ორგანიზებულად მოხდა ძირითად ნაწილში გადასვლა.

მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ საამწყობრო მოძრაობებს, ზუსტად სრულდებოდა მასწავლებლის მიერ გაცემული ძახილები; მონდომებით, სრულყოფილად ასრულებდნენ როგორც საერთო განმავითარებელ, ისე სპეციალური ტიპის ვარჯიშებს, მასწავლებელი ვარჯიშის შესრულების დროს ასწორებდა შეცდომებს, უჩვენებდა ვარჯიშის სწორ შესრულებას.

ძირითადი ნაწილისათვის მასწავლებელმა დ. გონაშვილმა გაყო კლასი მოკლე მანძილზე რბენისა და სიგრძეზე ხტომისათვის, მოკლე მანძილზე რბენისას ჯერ თითოეულს მიეცა 3-4 აჩქარება, შემდეგ—მოკლე მანძილზე რბენა 60 მეტრზე. მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ საწყისთან მისვლას, საწყისიდან გასვლასა და რბენის ტექნიკას. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებდა საწყისიდან გასვლის ტექნიკის სწორად შესრულებაზე, ხელების შეთანხმებულ მოძრაობაზე, შეთანხმებულ სუნთქვაზე. ჩატარდა შეჯიბრება 60 მეტრზე რბენაში.

სიგრძეზე ხტომის დროს მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ საპირო ტექნიკის ელემენტებს, გამორბენს, არეკვს, ფრენსა და დახტომს. სანამ მთლიანი გამორბენით ხტომას შეასრულებდნენ, მანამ მისცა ადგილიდან ხტომები და მოკლე გამორბენით რვა ნარბენი ნაბიჯიანი ხტომა.

მოკლე მანძილზე რბენის დროს მოსწავლეებს ემჩნეოდათ დაძაბულობა. საწყისიდან გასვლის დროს ადრე იმართებოდნენ.

სიგრძეზე ხტომის დროს, არეკვის წინ, უყურებდნენ საარეკვო ადგილს, აგრძელებდნენ ნაბიჯებს. საარეკვო ფეხი არ ხვდებოდა საარეკვო ხაზთან, რის გამოც ფრენის ტრაექტორია დაბალი იყო.

მესამე ნაწილში კლასს მიეცა დამამშვიდებელი ვარჯიშები.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე ამავე სკოლის ფიზკულტურის სხვა მასწავლებელი, შოთა ტოკლიკიშვილი (დამთავრებული აქვს საქართველოს სახ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი).

შემოწმების დღეს ზემო მაჩხაანის სკოლის III კლასის მასწავლებელ სალომე ლომიძე და მისი მოსწავლეები გაკვეთილზე გამოცხადდნენ სპორტული ფორმის გარეშე. კალსს მიეცა ადგილზე ვარჯიშები, სიარული. მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ასრულებდა ადგილზე შრუნვებს, სამწყობრო მოძრაობებს, საერთო განმავითარებელი ვარჯიშების ჩვენების დროს მასწავლებელს ადგილი სწორად არ ჰქონდა შერჩეული — ბავშვები წრეზე მოაწყო, თვითონ წრის ცენტრში იდგა, რის გამოც ვარჯიშებით შესრულებისას მოსწავლეთა უმრავლესობას კონტროლს ვერ უწევდა. როგორც ძახილებში, ასევე ვარჯიშების დასახელებისას დაშვებული იყო ზოგი შეცდომა: გაკვეთილის ძირითად ნაწილზე გადასვლისას (გაკვეთილის თემა იყო სიგრძეზე ხტომა) უნდა გაეცა შრძანება: „სახტომი ბილიკისაკენ ნაბიჯით ირ", მაგრამ ეს დაივიწყა მასწავლებელმა. გაკვეთილია ძირითადი ნაწილი ჩატარდა არადამაკმაყოფილებლად.

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლას (დირექტორი ვ. ჯამასპიშვილი) აქვს საჭირო სპორტული ბაზა დარბაზი, საჭირო ტანვარჯიშული იარაღებით, კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის კეთილმოწყობილი მოედნები. სკოლაში შექმნილია ფიზიკულტურული კოლექტივის საბჭო, კალსგარეშე მუშაობის მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთისა და ჭადრაკის სექციები. 1973-1974 სასწავლო წელს მოამზადა: II თანრიგზე—8 მოსწავლე, III-ზე —32 მოსწავლე მოზარდთა თანრიგზე—61 მოსწავლე, ინსტრუქტორად—23 სპორტის მსაჯად—23 მოსწავლე.

მშთ-ს ნიშანზე მომზადდა:

1. I საფეხურზე — ა) ოქროს ნიშანზე — 22 მოსწავლე;
   ბ) ვერცხლის ნიშანზე — 32 მოსწავლე;
2. II საფეხურზე: ა) ოქროს ნიშანზე — 16 მოსწავლე;
   ბ) ვერცხლის ნიშანზე — 21 მოსწავლე;
3. III საფეხურზე ა) ოქროს ნიშანზე — 10 მოსწავლე;
   ბ) ვერცხლის ნიშანზე — 20 მოსწავლე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასეთი მდგომარეობა არ არის: ქ. წითელწყაროს რუსულ საშ. სკოლაში (დირექტორი ნ. ტერტეროვა) დაბალ დონეზე დგას როგორც ფიზკულტურის სწავლება, ისე ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საგნის მასწავლებლებს ვახტანგ ყარყარაშვილს, ფრიდონ იაკობაშვილს და გიორგი ყოფიაშვილს (ეს უკანასკნელი რაიონის ფიზიკუ-

რი აღზრდისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეცაა) უმაღლესი სპეციალური განათლება აქვთ.

ამ სკოლის VII კლასში მასწავლებელმა ფრ. იაკობაშვილმა მეცადინეობა ჩაატარა სკოლის ეზოში, სადაც საკმაო ფართობია მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მოსაწყობად. მიუხედავად არსებული შესაძლებლობისა, ეზო მოუვლელი და დანაგვიანებულია მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი მეცადინეობს სპორტული ფორმის გარეშე. გაკვეთილის ამოცანა იყო ჩოგბურთის ბურთის ტყორცნა. მოსამზადებელ ნაწილში მიცემული ვარჯიშები სრულდებოდა არასრულყოფილად. დიდი იყო ძირითად ნაწილში გაცდენილი დრო. ვარჯიში ბოლოს გამოძახებულმა შეასრულა 12 წუთის შემდეგ. მოსწავლეთა ნაწილი ტყორცნის დროს სწორად არ მოძრაობდა. იმის გამო, რომ გაკვეთილის დრო რაციონალურად არ იყო განაწილებული, მესამე ნაწილის ჩატარება ვეღარ მოესწრო.

VIII კლასში მასწავლებელმა ფ. იაკობაშვილმა გაკვეთილი დაიწყო ხუთი წუთის დაგვიანებით. მოსწავლეთა ნაწილი გაკვეთილს ესწრებოდა სპორტული ფორმის გარეშე. კლასს დაეკალა ადგილზე ბრუნები, სიარული, აჩქარებული სიარული და სირბილი. კლასი სამ მწკრივად გაიყო საერთო განმავითარებელი ვარჯიშებისათვის. ამ გაკვეთილზედაც მოსწავლეთა ნაწილი სრულყოფილად არ ასრულებდა დასახელებულ ვარჯიშებს. მასწავლებელმა მისცა სიგრძეზე ხტომა, მოსწავლეთა ნაწილი, განსაკუთრებით გოგონები ვერ ასრულებდნენ სიგრძეზე გამორბენით ხტომის მარტივ ტექნიკურ ელემენტებსაც კი.

მეორე ვარჯიში—ყუმბარის ტყორცნა მოსწავლეთა უმრავლესობას არ შეუსრულებია იმის გამო, რომ ზარმა მოუსწრო და გაკვეთილიც დამთავრდა.

X კლასში 21 მოსწავლიდან ესწრებოდა 11. ამ გაკვეთილზედაც ანალოგიური შეცდომები იყო განმეორებული. გაკვეთილის ამოცანა იყო ყუმბარის ტყორცნა. გაკვეთილების ჩატარების დროს მოედანზე იმყოფებოდნენ ბავშვები და სხვა უცხო შემოსული პირები. მეორე ცვლის მოსწავლეების საერთო სიმრავლეს დაეპატნენ გაცდენილი ფიზკულტურის გაკვეთილებიდან შემოსული მოსწავლეები (ამ დღეს გაცდა ფიზკულტურის გაკვეთილები V, VI, VII კლასებში).

მოედანზე არსებულმა მდგომარეობამ, რაღა თქმა უნდა, უარყოფითი გავლენა იქონია გაკვეთილის ნორმალურ მსვლელობაზე.

აღნიშნულ პირობებს დაემატა ისიც, რომ მოედანზე თავისუფლად მოძრაობდნენ ავტომანქანები, რაც საფრთხეს უქმნიდა ორგორც აღნიშნული, ისე მოედანზე მყოფ სხვადასხვა კლასების მოსწავლეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილის ცხრილში ადგილი აქვს ფიზკულტურის გაკვეთილების დამთხვევებს, კერძოდ, ორშაბათს შე-4 გაკვეთილზე სამი — III, IV და VIII კლასების მეცადინეობა არის გათვალისწინებული ერთდროულად, სამშაბათს კი — II, VI და VII კლასებისა, სხვა დღეებში — ორ-ორი კლასია.

სკოლაში შექმნილია ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო, კლასგარეშე სპორტული სექციები, მაგრამ მათი მუშაობა, რაც მთავარია, მასობრივ ხასიათს არ ატარებს და მასწავლებელთა ვიწრო წრით შემოიფარგლება: საკმარისია ითქვას, რომ სკოლის IV—X კლასების 621 მოსწავლიდან კლასგარეშე სპორტულ მუშაობაში ჩაბმულია მხოლოდ 77, ე. ი. მათი საერთო რაოდენობის 12,4%.

წითელწყაროს რაიონის საღამოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ზოგი საკითხის შემოწმების შედეგების შესახებ

წითელწყაროს რაიონის საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში გარკვეული ღონისძიებანი ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

სკოლებში ძირითადად სწორადაა შერჩეული პედაგოგიური კადრები. მათი ერთი ნაწილი გულმოდგინედ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად.

სკოლებს დროულად დაუზუსტებიათ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე 16-29 წლის ასაკის სათანადო განათლების არამქონე მომუშავე ახალგაზრდების რაოდენობა, გაუშლიათ მათთან საჭირო მუშაობა, რის შედეგადაც კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა გადაჭარბებითა შესრულებული. სახალხო მეურნეობის გეგმით სწავლებაში უნდა ჩაბმული იყო 455 მოსწავლე, ფაქტიურად ჩაება—428.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წითელწყაროს რაიონის საღამოს საშუალო სკოლების მუშაობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

გარკვეული ხარვეზებია სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში: წითელწყაროსა და არხილოსკალოს საღამოს საშუალო სკოლები (დირექტორები ა. ი. დათუკიშვილი, ა. ა. ივანიძე) სკოლის წლიური სამუშაო გეგმა ზოგადი, ტარფარეტული ხასიათისაა, მას არ ეტყობა, რომ მთელი პედაგოგიური კოლექტივის (განსჯის, ძიების გზითაა შექმნილი. ქ. წითელწყაროს საღამოს საშუალო სკოლის წლიური სამუშაო გეგმა ოთხი განყოფილებისაგან შედგება. მეოთხე განყოფილებად შეტანილია „პედაგოგიური საბჭოს გეგმა". გეგმებში შეტანილი არ არის ისეთი აუცილებელი საკითხები, როგორიცაა მეშაობა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისათვის, დამწყებ მასწავლებლებთან მუშაობის საკითხები და სხვა. კლასის ხელმძღვანელთა გეგმები არა ჩანს კლასის წინაშე მდგომი ამოცანები, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებით, სკოლისა და წარმოების ურთიერთობით ნაკარნახევი ღონისძიებანი, ზოგჯერ არ არის გათვალისწინებული კლასში მოსწავლეთა შემადგენლობის სპეციფიკა, მასთან მუშაობის პირობები, რის გამოც სხვადასხვა კლასის ხელმძღვანელთა გეგმები თითქმის ერთმანეთის ასლია.

ნაკლოვანებებთ ხასიათდება პედაგოგიური საბჭოების მუშაობა წითელწყაროს რაიონის საღამოს საშუალო სკოლებში. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე საკითხები ფორმალურადაა განხილული და მიღებულია არაფრისმთქმელი დადგენილებები. წითელწყაროს საღამოს საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განუხილავთ განათლების სამინისტროს „მითითებანი 1974—1975 სასწავლო წლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის ძირითად მიმართულებათა შესახებ" და „მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმათა შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში". ორივე საკითხზე მიღებულია ასეთი გადაწყვეტილება — სახელმძღვანელოდ იქნეს მიღებული აღნიშნული დადგენილებები. არხილოსკალოს საღამოს საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე „სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგებზე" ასეთი დადგენილებაა მიღებული: „გაფრთხილებულ იქნან სკოლის მასწავლებლები, რათა არ დაუშვან უმიზეზოდ მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანება. დაწესდეს კონტროლი იმ მოსწავლეებზე, რომლებიც ხშირად აცდენენ, არ სწავლობენ და არღვევენ დისციპლინას.

წითელწყაროს საღამოს საშუალო სკოლაში გაუცემელია 4 ცალი საშუალო განათლების ატესტატი. შესწავლილ სკოლებში წეს-

რიგში არ არის მოყვანილი მოსწავლეთა პირადი საქმეები. ზოგიერთ მოსწავლეს არ აქვს დაბადების მოწმობა, 8 კლასის დამთავრების მოწმობა და ცნობა სამუშაო ადგილიდან. .

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილის გეგმები ზოგჯერ მოუფიქრებლად, ნაუცბათევად იწერება, მათში გარკვეულად არ ჩანს გაკვეთილის ძირითადი მომენტები, ზოგჯერ ენობრივი და ლოგიკური თვალსაზრისით არასწორად არის დასმული კითხვები. აღნიშნული არ არის მეთოდები, ხერხები, თვალსაჩინოება, რომელიც გამოიყენება გაკვეთილზე.

წითელწყაროს საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს, ც. ს. ბოსტოღანაშვილს მოსმენილი აქვს 17 გაკვეთილი. დირექტორ ა. ი. დათუკიშვილს — 15, არხილოსკალოს საღამოს სკოლის დირექტორს — 10. ანალიზები ისეთი დაბალი ხარისხისაა, რომ არ შეუძლია რაიმე პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს. წითელწყაროს საღამოს სკოლის დირექტორი ა. ი. დათუკიშვილი დასწრებია გეომეტრიის გაკვეთილს მე-10 კლასში, სადაც გადასაცემი მასალა ყოფილა „წრფისა და სიბრტყის პარალელობა". დირექტორს მიუცია ასეთი მითითება: „მოსწავლეებმა კარგად არ იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნული საკითხის შესწავლას სახალხო მეურნეობისათვის".

რაიონში მოუგვარებელია საღამოს სკოლების მიერ დღის სკოლების, სასწავლო კაბინეტების გამოყენების საკითხი.

სკოლებს სათანადო საქმიანი კავშირი არა აქვთ დამყარებული თავიანთ მიკრორაიონებში განლაგებულ საწარმოო — დაწესებულებებთან, მათ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სკოლების მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები, რის გამოც სკოლებში ხშირია მეცადინეობაზე მოსწავლეთა დაგვიანებით გამოცხადების ან სრულიად გამოუცხადებლობის შემთხვევები.

შემოწმების დღეს წითელწყაროს საღამოს საშუალო სკოლაში 236 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა 163. არხილოსკალოს საღამოს სკოლაში 93 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა — 53.

დიდია სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობა. გასული სასწავლო წლის განმავლობაში წითელწყაროს საღამოს საშუალო სკოლიდან გასულია 41 მოსწავლე, მათ შორის 19—არასაპატიო მიზეზით არხილოსკალოს საღამოს სკოლიდან გასულია 15 მოსწავლე. აქედან არასაპატიო მიზეზით — 5.

სერიოზული საკლოვანებანი შეინიშნება ცალკეული საგნების სწავლების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სოფ. ჯაფარიძის (ცვლის) სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ მჭედლიშვილი (1960 წელს დაუსწრებლად აქვს დამთავრებული ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი).

IX კლასში, გაკვეთილის დაწყებისას, მასწავლებელმა მიმართა კლასს კითხვით — რა გვაქვს გაკვეთილი? მოსწავლისაგან მიიღო არასრული პასუხი—გრ. ორბელიანის „წარსულის გმირები". მოსწავლეებმა და, როგორც ჩანს, თვით მასწავლებელმაც არ იცის პოემის შემოქმედებითი ისტორია: განაცხადა, რომ ეს ნაწარმოები (ლაპარაკია გრ. ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოზე") დაიწერა 1827 წელს, როცა რუსეთი აწარმოებდა ბრძოლას სპარსელებთანო და ასეთი პასუხი მასწავლებელმა არ გაასწორა. არ იციან თვით პოემის სურული სახელწოდება... არ იციან, თუ ეანრობრივად როგორი პოემაა „სადღეგრძელო". ამასთან, მოსწავლეებს არ მოაგონა არც პოემის განსაზღვრება.

მოსწავლეებმა ცუდად იცოდნენ წინა გაკვეთილის მასალა, ამიტომ მასწავლებელმა კლასს მიმართა რამდენიმე, მათ შორის პედაგოგიურ-მეთოდური თვალსაზრისით არასწორად ფორმულირებული კითხვით:

ყოფილან თუ არა ღირსი ხსენების?

ვინ არის პატარა კახი? სად დაიბადა? ვისთან იზრდებოდა? და ა. შ.

მასწავლებელმა ვერ გამოიყენა ეს შესანიშნავი მასალა მოსწავლეებში პატრიოტული, მამულიშვილური გრძნობის აღსაზრდელად. საკმარისია ითქვას, რომ გაკვეთილზე წარსულის გმირთა შორის არ დაუსახელებიათ ქეთევან დედოფალი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ერისთავები, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ვახტანგ გორგასალი, დავით სარდალი, ლევან ბატონიშვილი და სხვ.

ახალი მასალის — პოემის შემდეგი ნაწილის ახსნა ისე მოულოდნელად დაიწყო მასწავლებელმა, რომ არ იგრძნობოდა. ერთგვარი ზღვარი წინა და ახალ მასალას შორის. ტექსტის კითხვისას კლასში

არ იყო მობილიზებული მოსწავლეთა ყურადღება: ზოგი იცქირებოდა წიგნში, ზოგი კი უსაქმოდ იჯდა. ტექსტის კითხვისას მოსწავლეები და მასწავლებელიც კი არა სწორად კითხულობენ პოემის ზოგ ადგილს; ასე მაგალითად: „ვინ გახსენებს, რომ მის გული“... „ფუჭია მისი სიცოცხლე, ვერა რას არგებს მამულს“ და ა. შ.

გაკვეთილზე არასაკმაო ყურადღება მიექცა პოემის ტექსტზე მუშაობას, რის გამოც განმარტების გარეშე დარჩა ზოგი ადგილი და სიტყვა. ამ გარემოებებმა ერთგვარად განაპირობა გაკვეთილის მიზნის მიუღწევლობაც.

მასწავლებელმა თ. მჭედლიშვილმა კიდევ უფრო უარესი გაკვეთილი ჩაატარა VIII კლასში ქართულ ენაში. აქ ვერ გაარკვევდით, გაკვეთილის თემა რთული თანწყობილი წინადადება იყო თუ შერწყმული წინადადება. მასწავლებელი ხან ერთი სახის წინადადებაზე მუშაობდა და ხან მეორეზე, თანაც საილუსტრაციო მაგალითები ცუდად იყო შერჩეული. მოსწავლეები განმარტავდნენ, რომ შერწყმული წინადადება ერთგვარწევრებიანია, მაგრამ არ იცოდნენ, რას ნიშნავს ეს. ეტყობა, თვითონ მასწავლებელმაც არ იცის წინადადების სახეები აგებულების (სტრუქტურის) მიხედვით. ის ეკითხება კლასს: „შერწყმული წინადადება რთული წინადადების რა ნაწილია?“ ამასთან, განმარტავს“: შერწყმული წინადადების წარმოებით მივიღოთ რთული თანწყობილი წინადადება“ და სხვ.

ახალი მასალა იყო „უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება“, ამასთან, ეს მასალა ისე მიეცა კლასს, რომ არ ჩანდა, მანამდე შეისწავლეს თუ არა მაჯგუფებელ-კავშირიანი, მაცალკავებელ-კავშირიანი და მაპირისპირებელ-კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადებები.

ახალი მასალის ასახსნელად მასწავლებელმა გამოიყენა ინდუქციის გზა, რაც ასეთი დაბალი მომზადების კლასთან გამართლებული არ არის. მასწავლებელს არ გაუმახვილებია ყურადღება უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების არსზე, ამ სახის წინადადებების ხმარების შემთხვევებზე და ამ მიზნით საკარჯიშოდ შერჩეულ წინადადებებზე. ამის გამო ახალი მასალა მოსწავლეთათვის ფაქტიურად გაუგებარი დარჩა, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მასწავლებლისათვის, მიეძართა მოსწავლეებისათვის სამინაო დავალებად გექნებათ „რებუსივით შეადგინოთ მთავარი წინადადებები“(?!).

მასწავლებელი თ. მჭედლიშვილი არ ასრულებს განათლების სამინისტროს მითითებებს ქართულ ენასა და ლიტერატურში "წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების" სახებ". მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებში მასწავლებელი ვერ ამჩნევს შეცდომებს და დაუმსახურებლად აფასებს მათ დადებითი ნიშნებით; ასე მაგალითად, IX კლ. მოსწავლე გ. ბ. წერს: „ერთად ერთი ის, რაც პოეტმა საფლავში ჩაიტანა ეს იყო საქართველოს ბედ-იღბალი..." იმავე კლასის მეორე მოსწავლის გ. ბ. ნაწერში იკითხება: „ქართული რომენტიზმის პირველი დიდი (ნაწარმოება) წარმომადგენელი, „ტკბილი პოეტი" ტკბილად მომღერალი მამულიშვილმა, ალ. ჭავჭავაძემ ახალ ქართულ ლიტერატურაში ერთმა პირველთაგანმა ჩაუყარა საფუძველი პატრიოტულ ლირიკას..." და სხვა და ა. შ.

ამ ნაწერებში მასწავლებლის მიერ არც ერთი შეცდომა არ არის შენიშნული. ეს რომ ერთეულ შემთხვევად ჩანდეს, არაფერს ვიტყოდით, მაგრამ ასე როდია. ჩვენ მრავალთაგან მხოლოდ ორი მაგალითი მოვიტანეთ საილუსტრაციოდ.

კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია!..

სოფელ ჯაფარიძის საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლაში ირღვევა უცხოური ენის სწავლების საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი: საქმე ის არის, VIII კლასამდე მოსწავლეთა ნახევარს უსწავლია გერმანული ენა, ნახევარს კი ინგლისური. ინგლისური ენის მასწავლებელი ც. ბოსტოღანაშვილი ახალგაზრდა, დამწყები პედაგოგია და მას სრულიად არანორმალურ პირობებში უხდება მუშაობა მოსწავლეთა უცოდინარობის გამო ის იძულებულია IV კლასში, ანბანი ასწავლოს.

წითელწყაროს რაიონის საღამოს საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი. ქ. წითელწყაროს ქართული საღამოს საშუალო სკოლის მე-10 კლასში ალგებრა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილებზე მასწავლებელმა ი. ა. ყოჩიაშვილმა მოსწავლეებს ამოახსნევინა რამდენიმე მაგალითი. მოსწავლეებს გაუჭირდათ. მასწავლებლის დახმარების გარეშე ჩამოეყალიბებინათ, რას უდრის ორი კუთხის ჯამისა და სხვაობის სინუსი, კოსინუსი და ტანგენსი; ვერ დახაზეს ერთეულოვანი წრე, არ იცოდნენ სინუსისა და ტანგენსის ხაზები. მაგალითების ამოხსნის დროს უშვებენ უხეშ შეცდომებს.

ასევე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე მე-9 კლასში. მოსწავლეებმა არ იციან პირველი ხარისხის ორუცნობიანი ორი განტოლების სისტემა როდისაა ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი, როდისაა მეორე რიგის დეტერმინანტი ნულის ტოლი. როდისაა განტოლებათა სისტემა თავსებადი. მოსწავლეებს არ ეძლევათ საშინაო დავალება.

მე-8 კლასის მოსწავლეებმა გეომეტრიაში საშინაო დავალებად მიცემული მასალა „წრფეების რამდენიმე პარალელური წრფით გადაკვეთისას მიღებული მონაკვეთების პროპორციულობა“ არ იცოდნენ მიუხედავად ამისა, მასწავლებელმა ახსნა ახალი მასალა „სამკუთხედების მსგავსება“. მოსწავლეებმა ახსნილი მასალა ვერ გაიგეს. ისინი ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან. „სხვის“, „მონაკვეთს“ გეს. ისინი ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან „სხვის“, „მონაკვეთს“ შიაკ. მოსწავლეებს უჭირთ არა მარტო დავალებად მიცემული მასალის მოყოლა, არამედ მასწავლებლის მიერ ჩამოყალიბებული წინადადებების განმეორებაც კი. არ იციან, როდის აქვს ერთი ფესვი პირველი ხარისხის ერთუცნობიან განტოლებას, როდის არა აქვს ფესვი და როდის აქვს ფესვთა უსასრულო სიმრუდე. მასწავლებელს რამდენიმე თვის მუშაობის გამოცდილება აქვს და თან დაუსწრებლად სწავლობს თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-5 კურსზე. მას ძალიან ბევრი მუშაობა დასჭირდება თავის თავზე, რომ დაეუფლოს მათემატიკის მეცნიერულ საფუძვლებსა და მათი სწავლების მეთოდებს.

არხილოსკალოს საღამოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ც. გ. გოგილაშვილმა მეათე კლასში გეომეტრიის გაკვეთილზე გამოიკითხა დავალებად მიცემული მასალა — „წრფისა და სიბრტყის პარალელობა“. მოსწავლეებმა შეძლეს მასწავლებლის დახმარებით დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა. გადასაცემი მასალა — „სიბრტყეების პარალელობა“ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით იქნა ახსნილი.

მეშვიდე კლასი მიმდინარე სასწავლო წლიდან მუშაობს ახალი პროგრამებით, მასწავლებელი კი ძველი პროგრამით მუშაობდა, რადგან ახალი პროგრამა დაგვიანებით მიუღია.

ც. გოგილაშვილს დამთავრებული აქვს ქ. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი და ერთი თვეა, რაც სკოლაში მუშაობს, ამიტომ მას ძალიან ბევრი აკლია მეთოდური დახელოვნების თვალსაზრისით, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავინ ეხმარება.

დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება არხილოს-კალოსა და ჯაფარიძის საღამოს სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არხილოსკალოს საღამოს სკოლის მასწავლებელი ც. ი. გურასპაული არ ცდილობს, რომ მოსწავლეებს ელემენტარული ცოდნა მაინც მისცეს ქიმიაში. იგი არ ემზადება გაკვეთილებისათვის და წინასწარი მომზადების გარეშე, საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით ატარებს გაკვეთილებს.

მოსმენილ იქნა მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები VII და VIII კლასებში VII კლასის ჟურნალის ჩანაწერებიდან ჩანს შემდეგი 3/X-ს აუხსნა; „ქიმიის საგანი, ნითიერება", 10/IX-ს—„სუფთა ნივთიერება და ნარევები"; 17/IX-ს—„ნარევების დაყოფა"; 24/IX-ს ფიზიკური და ქიმიური მოვლენები; 1/X-ს—„იტომები"; 8/X-ს „ატომური წონა". ჩვენ მიერ მასწავლებლის გაკვეთილზე დასწრების დღეს, 15/X-ს მასწავლებელმა მოსწავლეებს გამოკითხა 24/IX-ს მიცემული მასალა: „ფიზიკური და ქიმიური მოვლენები", ხოლო ახსნა „ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის პირობები".

ასეთი შეუსაბამობის მიზეზის ახსნა მასწავლებელს ძლიერ გაუჭირდა დაახლოებით ანალოგიურ შემთხვევასთან გვქონდა საქმე VIII კლასშიც. ამ კლასის ჟურნალში შემდეგი ჩანაწერებია: 3/IX-ს „ჟანგეულების ქიმიური თვისებები"; 6/IX-ს „ჟანგეულების კლასიფიკაცია"; 10/IX-ს „ჟანგეულების სახელწოდებები", 13/IX-ს „მჟავეების კლასიფიკაცია"; 17/IX-ს „მჟავეების ქიმიური თვისებები"; 20/IX-ს „ფუძეების სახელწოდება და ქიმიური თვისებები"; 24/IX-ს „ამფოტერული ჟანგეულები და ჰიდროჟანგების მიღების ხერხები"; 4/X-ს „მარილების კლასიფიკაცია"; 8/X-ს „გენეტიკური კავშირი არაორგანიზებულ ნაერთთა კლასებს შორის"; 11/X-ს „სავარჯიშოების ამოხსნა" გაკვეთილზე დასწრების დღეს, 15/X-ს მასწავლებელმა 25/IX-ს ახსნილი მასალა — „ამფოტერული ჟანგეულები და ჰიდროჟანგები" გამოიკითხა, ხოლო აუხსნა „მარილების შედგენილობა და სახელწოდებები". მასწავლებელმა ვერც ამ შეუსაბამობის მიზეზის ახსნა შეძლო. ბუნებრივია, ასეთი მუშაობის შედეგია, რომ მოსწავლეების ცოდნა ქიმიაში ელემენტარულ კრიტიკას, ვერ უძლებს. ორივე კლასის მოსწავლეებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საგანზე და გაკვეთილზე დასწრებით მხოლოდ ერთგვარ ოფიციალურ მოვალეობას იხდიან.

ასეთ ვითარებაში მასწავლებელს არ ყოფნის მეთოდური დახელოვნება და არც დიდი სურვილი აქვს იმისა, რომ მოსწავლეებში აღძრას ერთგვარი ინტერესი საგნის შესწავლისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახლოებით ანალოგიურად ისწავლება ქიმია ჯაფარიძის საღამოს სკოლაშიც (მასწ. მ. ს. ნაცვლიშვილი). მასწავლებლის მიერ IX და XI კლასებში ჩატარებულმა გაკვეთილებმა ვერ დატოვეს რამდენადმე მოსათმენი შთაბეჭდილება. მოსწავლეთა ცოდნის დონე კი ძალზე დაბალია. IX—XI კლასების მოსწავლეებს ქიმიური ფორმულების წერაც კი უჭირთ.

ასე რომ, რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ და საღამოს სკოლების დირექტორებმა მკვეთრად უნდა გარდაქმნან მუშაობა ამ ტიპის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის დონის ასამაღლებლად.

სასკოლო მუშაობის დაგეგმვის ზოგი საკითხის შესახებ

წითელწყაროს რაიონის ჩვენ მიერ შესწავლილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ სასკოლო მუშაობის დაგეგმვას და სათანადო მუშაობასაც ატარებენ ამ მხრივ: სკოლის, პედაგოგიური საბჭოს, კლასის ხელმძღვანელთა სააღმზრდელო, მშობელთა კომიტეტის, გაკვეთილის ყოველდღიური და სხვა სახის გეგმები დროზე და საერთოდ ცნობილი დებულებებისა თუ ინსტრუქციების გათვალისწინებით არის შედგენილი.

მაგრამ, ეს დიდმნიშვნელოვანი სასკოლო დოკუმენტების მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება: სკოლის ბევრ მუშაკს აკლია ახლის გრძნობა, მინდობილი საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი, ვერ ითვალისწინებს სკოლის ცხოვრებაში უკანასკნელ ხანებში მომხდარ ცვლილებებს და მათი გათვალისწინებით ვერ გეგმავს თავის მუშაობას.

საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, სკოლების წლიური სამუშაო გეგმები ისეა შედგენილი, რომ მათში გვერდი აქვს ავლილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებს 1974—1975 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის ძირითად მიმართულებათა შესახებ, ღონისძიებებს ცალკეული

სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობისა და მის შემდგომ გასაუმჯობესებლად მასწავლებელთა მუშაობაზე შინასაკოლო კონტროლის განხორციელებისა და სხვა საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი გამოკვლევების საშუალო სკოლის (დირექტორი ხვთისო ალუღიშვილი, 1957 წ. აქვს დამთავრებული ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტი) წლიური სამუშაო გეგმა: შესასრულებელი საკითხები ისეა დასახელებული, რომ გაუგებარია, ვინ, როდის და რა უნდა გააკეთოს (მაგალითად, „მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთდამოკიდებულება, როგორც სწავლის ფაქტორი"), გეგმაშია დასახელებული ზოგი იმ მასწავლებელთა გვარები, რომელთა გაკვეთილი იქნება მოსმენილი (მაგალითად, „მოსმენილი იქნება ნ. პოპიაშვილის, ლ. ყაჭაშვილის, რ. გუგენიშვილის, ც. ფოლადაშვილის, რ. მაჩაბლიშვილის გაკვეთილები, თუ როგორ აწარმოებენ ამღზრდელობით მუშაობას (სპროგრამო მასალის შესაბამისად) გაკვეთილებზე" და ა. შ.

გეგმაში სხვაგანაც გვხვდება უხეში ენობრივი შეცდომები; ასე მაგალითად, „კონტიგენტი", „გამოცდა მიცემული", შრომითი მექანიზაციის სწავლებისათვის პირობების მომზადება", „მეთოდ კომისიები", „ექსკურსიები", „სასწავლო-აღმზრდელობითი", „გათვალისწინებული საკითხების", „ანხორციელებს", „ესთეტიკური", „შინაგანაწესები" და სხვ.

ანალოგიურ და სხვა ხასიათის ნაკლოვანებებს მეტნაკლებად ვხვდებით აგრეთვე ზოგ სხვა შესწავლილ სკოლაშიც.

უფერულად მუშაობს ზოგი შესწავლილი სკოლის პედაგოგიური საბჭო. მათი სამუშაო გეგმები ერთგვაროვანი, ტრაფარეტულია, საკითხები კი ზერელედ, წინასწარ გულმოდგინედ მომზადების გარეშეა განხილული.

მირზაანის რვაწლიანი სკოლის (დირექტორი ვ. თარაშვილი, მათემატიკოსი) პედსაბჭოს პირველ სხდომაზე, პირდაპირი მოვალეობის მოხდის მიზნით, ზოგადად არის დასმული საკითხი „სადირექტივო ორგანოების ბრძანებებისა და ინსტრუქციების განხილვა" ოქმში კონკრეტულად არაფერზე არ არის ლაპარაკი, არ ჩანს, კერძოდ, რა „ბრძანებები და ინსტრუქციები" გახდა პედსაბჭოს მსჯელობის საგანი. ბუნებრივია, დადგენილებაც ზოგადი, არაფრისმთქმელია მიღებული: სადირექტივო ორგანოების ბრძანებები და ინსტრუქციები მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ.

ამავე წესით არის განხილული საკითხი წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ქ. ჯორკოშვილი) პედსაბჭოს სხდომაზეც, სადაც ასევე საკითხი დასმული: „ზემდგომი ორგანიზაციის გასული ბრძანებულების განხილვა (განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციათა კრებული № 7—8)“.

გასული სასწავლო წლის IV მეოთხედის შედეგების განხილვისას სკოლის დირექტორი ვ. თარაშვილი, რომელიც მომხსენებელი იყო, მხოლოდ შემდეგი განცხადებით დაკმაყოფილდა: „1973—1974 სასწავლო წელს სკოლა უზრუნველყოფილი იყო კადრებით, ყველა საჭირო ნივთითა და ხელსაწყოთი ზამთრის პერიოდში სკოლა უზრუნველყოფილი იყო სათბობით, გატარებული იყო საყოველთაო—სავალდებულო სწავლების კანონი. სასწავლო-აღმზდელობითი მუშაობას სათავეში ედგა სკოლის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული, პიონერული, მშობელთა კომიტეტი, ალკკ ორგანიზაცია (?!)... ამ ჩანაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ გაუქმებულია სკოლის ხელმძღვანელობის ერთმმართველობის პრინციპი და მასში მთელ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ხელმძღვანელობს ყველა — პიონერული ორგანიზაციიდან დაწყებული და მშობელთა კომიტეტით დამთავრებული.

შესწავლილი სკოლების ერთ ნაწილში არადამაკმაყოფილებლად დგება აგრეთვე კლასის ხელმძღვანელთა, პიონერხელმძღვანელთა, მშობელთა კომიტეტის, ცალკეული გაკვეთილებისა და სხვა სახის გეგმები: მათში არა ჩანს საქმისადმი ავტორთა პროფესიული ინტერესი, არსებული რეალური მდგომარეობის შეფასებისა და მის საფუძველზე ქმედით, მიზანსწრაფულ ღონისძიებათა განსაზღვრისა და მათი გატარების უნარი.

მასწავლებელთა შორის მეთოდიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ

ნაკლოვანებანი, რომელთაც წითელწყაროს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცალკეული საგნების მასწავლებელთა მუშაობაში აქვს ადგილი, მნიშვნელოვანწილად იმითაც არის შეპირობებული, რომ არასაკმაო ყურადღება ექცევა მათ პედაგოგიურ-მეთოდურ დახელოვნებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სკოლებში შექმნილი ცალკეული საგნების მეთოდგაერთიანებანი.

არასაკმაო ყურადღება ექცეცა მეთოდგაერთიანებათა მუშაობის რაციონალურად დაგეგმვას. არაიშვიათად ისინი ფორმალურია, სტემატური და როგორც ასეთი, საგნის სწავლების წინაშე დასმული საადღეისო ამოცანების განხორციელებას ხელს არ უწყობს. გამარჯვების საშ. სკოლის დაწყებითი კლასების მეთოდგაერთიანების სხდომაზე თითქოს მოსმენილია მასწავლებელ ლ. ყაჭაშვილის მოხსენება „თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ქართული ენის გაკვეთილებზე", მაგრამ თვითონ ეს მასწავლებელი არც თვალსაჩინოებას იყენებს და არც ტექნიკურ საშუალებებს. ასეთი მდგომარეობაა უცხოური ენის სწავლებაშიც: წაკითხულ მოხსენებებში თითქოს ყველაფერი რიგზეა, პრაქტიკულად კი სკოლაში მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დასანერგავად თითქმის არაფერი კეთდება.

ქ. წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდგაერთიანების (ხელმძღვანელი მ. ლაპიაშვილი) სამუშაო გეგმებში წერია: „ზეთ „სახალხო განათლებაში" სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის ნომრებში მოთავსებული მეთოდური წერილების მიმოხილვა". მაგრამ წინასწარ კაცმა არ იცის, რა მეთოდური წერილების გამოქვეყნებაა მოსალოდნელი. შესაძლოა, სრულიადაც არაფერი გამოქვეყნდეს და, ამრიგად, გათვალისწინებული საკითხიც შეუსრულებელი დარჩეს (და ეს მართლაც ასე მოხდა).

მეთოდგაერთიანების მასალებში ვხვდებით სხვადასხვაგვარი ხასიათის შეცდომას; ასე მაგალითად, ერთ დოკუმენტში იკითხება: „ქალის სახე მშვენივრად მოჩანს სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში („ქაცვია მწყემსი")"...

როგორც ცნობილია, გასულ სასწავლო წელს სკოლების სამმართველომ ცალ-ცალკე შეისწავლა რესპუბლიკის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენის, მათემატიკისა და ფიზიკის სწავლების მდგომარეობა, დაიშვა მინისტრის ბრძანებები, დაეგზავნათ ადგილებს, მაგრამ ისინი, გარდა რუსული ენის სწავლების შესახებ ბრძანებისა, განხილული არ არის ქ. წითელწყაროს 1-ლი (დირექტორი ქ. ჯორკოშვილი), ზემო მაჩხაანის (დირექტორი ვლ. ჯამასპიშვილი), გამარჯვების (დირექტორი ხ. ალუღიშვილი) მირზაანისა (დირექტორი ე. თარაშვილი) და სხვა სკოლების პედსაბჭოებისა და შესაბამისი საგნების მეთოდგაერთიანებათა მიერ.

ცალკეული საგნების მეთოდგაერთიანებათა გეგმებში ვერ ვხვდებით ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობის, ფაკულტატიური მეცადინეობის, სწავლებაში ტექნიკური საშუალებების, კაბინეტ-ლაბორატორიების, სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყენებისა და პედაგოგიკურ-მეთოდიკური და მეცნიერული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მდგომარეობაც, რომ მასწავლებელთა დახელოვნების მიზნით დღემდე სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული ღია გაკვეთილები.

ხარვეზები მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის საქმეში ერთგვარად გამოწვეულია მისდამი სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების მხრივ არაოპერატიული, არაკვალიფიციური ხელმძღვანელობით.

წრეობრივი მუშაობა

წითელწყაროს რაიონის ზემოთ ხსენებულ შესწავლილ სკოლებში მუშაობენ მოსწავლეთა სხვადასხვა სახის საგნობრივი წრეები. მათ ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს ბავშვთა ნაირგვარი ინტერესები. ეს წრეები გარკვეულ დადებით როლს ასრულებენ ბავშვთა ყოველმხრივი განვითარების ამოცანის გადაწყვეტაში. წრეობრივი მუშაობის ფორმებიდან და მეთოდებიდან გამოყენებულია მხატვრული კითხვა, საუბრები, ექსკურსიები, ცდა-დაკვირვებები, პრაქტიკული ლაბორატორიული მუშაობა, მოხსენებებისა და რეფერატების მომზადება, გაზეთზე, წიგნზე მუშაობა, ალბომების შედგენა და სხვა და ა. შ. ჯაფარიძის სამ. სკოლის IV—VIII კლ. მათემატიკის წრეს (ხელმძღვანელი ე. რობიტაშვილი) გასულ წელს გამოუშვია გაზეთი „ნორჩი მათემატიკოსი“, შეუდგენია ალბომი „გამოჩენილი მათემატიკოსები“, კულტურის სახლში ჩაუტარებია მათემატიკის საღამო.

წრეობრივ მუშაობაში შეინიშნება ზოგი არსებითი ხასიათის ნაკლი:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სკოლებში ძირითადად შექმნილი აქვთ გამომეტყველებითი კითხვისა და მხატვრული თხრობის და ლიტერატურული შემოქმედებითი სახის წრეები. თითქმის არსად არ არის მშობლიური ენის შემსწავლელი და დრამატული წრეები; წრეებში კლასგარეშე მუშაობის სხვადასხვა

სახე გვხვდება, მაგრამ მავიწყებულია ამ საქმიანობის მოსწავლეთა თვის იაეთი საინტერესო სახე, როგორიცაა დისპუტების მოწყობა; წრეები იშვიათად ან სრულიად არ აგროვებენ ფოლკლორულ მასალებს, არ ამზადებენ ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალს და სხვ.

უცხოური ენების შესასწავლად სკოლებში კლასგარეშე მუშაობის მხოლოდ ერთი სახეა გამოყენებული — ზეპირმეტყველების წრე, მაგრამ ისიც არ არის სათანადოდ გაგებული. მის სამუშაო გეგმაში შეტანილია თარგმანის წრის საკითხებიც. გარდა ამისა, წრეები არასწორად არის დაკომპლექტებული: მათში გაერთიანებული არიან I—X კლასების მოსწავლეები, რაც ფორმალურ ხასიათს აძლევს წრის არსებობას.

ფიზიკისა და ქიმიის საგნობრივი წრეები არასაკმაო ყურადღებას აქცევენ თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღებით კაბინეტების შევსებას და საწარმოო ხასიათის ექსკურსიების მოწყობას.

უფერულად მუშაობენ ნორჩ ნატურალისტთა წრეები. მათი მუშაობა მხოლოდ თეორიული ხასიათის თემების დამუშავებით იფარგლება და გვერდს უვლიან ისეთ საინტერესო საქმიანობას, როგორიცაა ადგილობრივ მცენარეთა ჯიშების შეკრება და კულტურულ მცენარეთა მოვლა; წრის წევრები არ აქტიურობენ „ტყის დღის", „ფრინველის დღის" ჩატარებაში, ბუნების დაცვისათვის ბრძოლაში, სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში და სხვ.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხაზით სხვადასხვა სახის წრეები მუშაობენ, მაგრამ მათი ძირითადი ნაკლი არამასობრიობაში მდგომარეობს.

შინასასკოლო კონტროლის — სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სახელმწიფოებრივი კონტროლის პირველადი ფორმის შესახებ

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მიმდინარეობის შემოწმება, მასზე სისტემატური, ქმედითი კონტროლის განხორციელება სკოლის ხელმძღვანელობის ძირითადი ფუნქციაა. მაგრამ კონტროლიც არის და კოსტროლიც... შემოწმებაც არის და შემოწმებაც... როცა შინასასკოლო კონტროლი ისეა ორგანიზებული, რომ იგი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სკოლის მუშაკთა შემოქმედებითი საქმიანობის გაშლას, მათი იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიკურ-მეთოდი-

კური, მეცნიერული დონისა და მინდობილი საქმისადმი მუშაკთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლას, მაშინ და მხოლოდ მაშინ ასრულებს იგი თავის დანიშნულებას: ეხმარება იმასაც, ვინც კონტროლის, შემოწმების ობიექტია და იმასაც, ვინც ამ ღონისძიებას ახორციელებს, ე. ი. შესამოწმებელსაც და შემმოწმებელსაც.

ამგვარი თვალსაზრისით რომ ვიხილავთ წითელწყაროს რაიონის შესწავლილ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შინასასკოლო კონტროლის მდგომარეობას, მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

შინასასკოლო კონტროლის განსახორციელებლად სკოლების დირექტორები და სასწავლო-აღმზრდელობითი დარგში მათი მოადგილეები წინასწარ არ ემზადებიან: გაკვეთილებს ისმენენ წინა და ახალი მასალის ცოდნის, გაკვეთილის მიზნის, მისი გეგმის გაუცნობლად, ამასთან, გაკვეთილის მოსმენა არაიშვიათად შემთხვევით ხდება და იგი არ ატარებს გეგმიან, მიზანდასახულ და სისტემატურ ხასიათს; ზოგჯერ გათვალისწინებული არ არის სკოლის ხელმძღვანელთა სპეციალობანი, მათი რეალური შესაძლებლობანი, არასწორად ნაწილდება მათ შორის ფუნქციები, რის გამოც ადგილი აქვს გაკვეთილების არაკვალიფიციური ანალიზების შემთხვევებს; შინასასკოლო კონტროლის შინაარსი მთელ რიგ სკოლებში ვიწროდ არის გაგებული — იგი ითქმის მხოლოდ გაკვეთილების მოსმენაში გამოიხატება და ნაკლები ყურადღება ექცევა კონტროლს ისეთ სასახვებს, როგორიცაა მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობა, მოსწავლეთა საკლასო კრებები და მეთოდგაერთიანებების, პიონერთულა ორგანიზაციების, საგნობრივი და სასწავლო-ტექნიკური წრეების მუშაობა, წერითი ნამუშევრების, სასკოლო დოკუმენტების შესწავლა-შემოწმება და სხვ.

გარდა ამისა, სკოლების დირექტორებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათი მოადგილეების გაკვეთილების ანალიზები რაოდენობით მცირეა, შინაარსით კი — ღარიბი. უფრო ხშირად ეს ანალიზები თავიანთ სახელწოდებას ვერ ამართლებენ, რადგან მათ უფრო სიტყვა „აღწერა“ შეეფერებათ, ვიდრე „ანალიზი“. ამიტომ არის, რომ არაიშვიათად ისინი არც იმას აძლევენ რამეს, ვისთვისაც დაიწერა და არც იმას, ვინც დაწერა. ერთი სიტყვით, პირდაპირ სიზიფეს შრომის მსგავსი რაღაც გამოდის.

მირზაანის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ვ. თარაშვილი მათემატიკოსია, მისი მოადგილე ი. ლობჟანიძე კი — ისტორიკოსი. მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ იმის აღწერაა, რაც გაკვეთილზე გაკეთდა, უარეს შემთხვევაში კი აღწერაც ვერ ხერხდება. დირექტორის მოადგილეს მათემატიკის გაკვეთილი მოუსმენია, მაგრამ, ეტყობა, მისი მნიშვნელოვანი მხარე ვერ დაუნახავს და ჩანაწერში ასეთ რამეზე გაუმახვილებია ყურადღება: „ამოცანა მდინარეების სიგრძეს შეეხებოდა“ და მასწავლებელმა გეოგრაფიული მიმოხილვა გაუკეთა ამ საკითხს და თურმე „ყველაფერმა ზემოთ ნაჩვენებმა ბავშვებს წარმოდგენა მისცა მდინარეებზე, რომლებსაც ნაკლებად იცნობენ...“

მთელი რიგი სკოლების ხელმძღვანელების გაკვეთილების ანალიზებში არ ჩანს, როგორ მუშაობენ მასწავლებლები ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, როგორ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩინოებას სწავლებაში და ა. შ.

ზოგი რამ განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ

წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება და მისი მეთოდური კაბინეტი ძირითადად სწორად შერჩეული კადრებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ ნაკლი აქაც შეინიშნება: საქმე ის არის, რომ რვა მუშაკიდან სამი (განყოფილების გამგე, მეთოდისტი და ბიბლიოთეკარი) ფილოლოგია. ამასთან, არა ჰყავთ დაწყებითი განათლებისა და ქიმიის სპეციალისტები.

განყოფილებას შედგენილი აქვს წლიური სამუშაო გეგმა, რომელიც სახალხო განათლების საკითხების ფართო წრეს მოიცავს: მასში არის საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელების, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების, ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის, სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობის, სასწავლო წლის მეოთხედების შედეგების განხილვისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სამუშაო გეგმის შესახებ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა:

1. გეგმაში გარკვეულად არა ჩანს — სასწავლო წლის მიხედვით არის იგი შედგენილი თუ სამეურნეო წლის მიხედვით; გეგმით გათვალისწინებული დრო — 1974 წლის სექტემბრიდან 1975 წლის დეკემბრამდე (ჩათვლით) არც ერთია და არც მეორე;

2. გეგმიდან არა ჩანს, სად განიხილება შესწავლილი საკითხი.

3. გეგმაში არ არის შესასწავლად და განსახილველად მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომელთაც საგანგებო ყურადღება დაუთმო განათლების სამინისტრომ; ასეთია, მაგალითად, სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა, მითითებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის ძირითად მიმართულებათა შესახებ 1974—1975 სასწავლო წელს, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ფიზიკის სწავლების მდგომარეობის შესწავლა (ცალ-ცალკე) და სხვ.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი აქვს გათვალისწინებული სამუშაო გეგმაში რაიონის მეთოდურ კაბინეტს. ასე რომ, განათლების განყოფილების სამუშაო გეგმა და მეთოდკაბინეტის გეგმა რამდენადმე მაინც ავსებს ერთმანეთს.

რაიონში, როგორც ზემოთაც ითქვა, ყველაფერი რიგზე არ არის სკოლების ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმეში: მეცნიერებისა და ტექნიკის, ცხოვრების განვითარების თანამედროვე დონის ვითარებაში უკვე აღარ შეიძლება სკოლის ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთი არ იყოს მათემატიკური თუ საბუნებისმეტყველო ციკლის რომელიმე საგნის სპეციალისტი. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ზოგ სკოლაში: წითელწყაროს 1-ელ, გამარჯვების, ოზაანის, დიდი შირაქის საშუალო, კასპის წყლის რვაწლიან და სხვა სკოლებში დირექტორები და მათი მოადგილეები ყველა ჰუმანიტარული საგნების სპეციალისტები არიან.

განათლების განყოფილება, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და ფართო საზოგადოებრიობის დახმარებითა და მხარდაჭერით, საჭირო ღონისძიებებს ახორციელებს სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური საშუალებებით სკოლების უზრუნველსაყოფად. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი:

რაიონის განათლების განყოფილების ფილმოტეკას (ხელმძღვანელობს ნათელა ნათელაძე, სპეციალობით ფიზიკოსი). ჯერჯერობით არა აქვს გამოყოფილი ცალკე ოთახი, სადაც შესაძლებელი იქნება ახლად შექმნილი ფილმების დამუშავება და სხვა საფილნოტებო მუშაობის ჩატარება, ღარიბია ფილნოტეკის ტექნიკური აღჭურვილობა აქვთ კინოაპარატი „შკოლნიკი" მაგნიტოფონი (გაფუჭებული და შწყობრიდან გამოსული), ტელევიზორი და ეპი-

დიასკოპი ფილმოტეკაში მოიპოვება 468 დასახელების კინოფილმი. აქედან: ქიმიაში—18, ბიოლოგიაში—74, ფიზიკაში—48, მათემატიკაში—30 და ა. შ. ფილმოტეკას მცირე რაოდენობით მოპოვებული თითოეული კინოფილმის დუბლიკატი (სულ 2 ან 3), რაც ძალზე ართულებს სკოლების მიერ კინოფილმების დროულად გამოყენებას. ფილმოტეკას არა აქვს სკოლებისათვის პრაქტიკული დასმარების შესაძლებლობა, კერძოდ, დაზიანებული კინოაპარატების, ეპიდიასკოპების, ტელევიზორების შეკეთება.

ფილმოტეკის გამგე ნაკლებ დაინტერესებას იჩენს ისეთი საკითხების შესწავლისადმი, როგორიც არის ფილმოტეკიდან გატანილ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ადგილებზე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ წითელწყაროს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები განიცდიან თვალსაჩინო მასალების, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და ხელსაწყო-იარაღების ნაკლებობას კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღები არარაციონალურად არის განაწილებული, ზოგ სკოლაში თავმოყრილია ისეთი მასალები, რომლებიც მას ან საერთოდ არ ესაჭიროება, ან ზედმეტი რაოდენობითა აქვს, სამაგიეროდ სხვა სკოლებს ისინი ან აკლიათ, ან სრულიად არა აქვთ. ასე რომ, ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიექცეს.

ზოგი სკოლის სასკოლო შენობა და სასკოლო მიწის ნაკვეთები მოუვლელია, საკმაო ყურადღება არ ეთმობა პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებით მოსწავლეთა შესაიარაღებლად, მათ მიერ თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღების დამზადებით დაინტერესებას და სხვ.

ამ თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ზოკი სკოლის ცალკეული საგნების მეთოდგაერთიანებანი და მოსწავლეთა საგნობრივი წრეები. ამ მდგომარეობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები.

განყოფილებისა და მისი მეთოდური კაბინეტის მუშაობაში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხთაგანია სკოლასთან, მასწავლებელთან მუშაობა. როგორც ადგილზე არსებული სკოლების მუშაობის შესწავლის საინსპექტორო ჩანაწერებით დასტურდება, გარკვეული მუშაობა ტარდება ცალკეული სასწავლო დისციპლინების თანამედროვეობის მოთხოვნათა მიხედვით სწავლების დონის ასამაღლებლად, მაგრამ ეს საქმიანობა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს და

პედაგოგიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე დადგეს.

აუცილებლად საჭიროა, რომ განათლების განყოფილებამ და მისმა მეთოდურმა კაბინეტმა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადონ ღონისძიებანი სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

წითელწყაროს რაიონში განათლების სამინისტროს ბრიგადის მუშაობის შედეგები გაეცნო რაიონის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორსა და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათ მოადგილეებს, ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა კი — ამ საგნების მასწავლებელთა რაიონულ თათბირებს.

დასასრულ, სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები ვრცლად გაეცნო საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივანს ამხ. გ. ლოლაძეს.

დასკვნა

საკითხი სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წითელწყაროს რაიონში საჭიროდ ვთვლით, განიხილოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადის შემადგენლობა:

ლ. გიგინეიშვილი, ნ. გიორგობიანი, ს. დვალი, (ხელმძღვანელი), მ. მანდარია, დ. მახარაძე, თ. მელქაძე, ა. სუხიაშვილი, ა. ტერეპოვი, ტ. ფაჩუაშვილი, თ. ხურცილავა, რ. ჯაფიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1975 წ. 10 იანვრის ბრძანება № 23

მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1974 წლი 24 აპრილის № 334 ბრძანების შესრულების შედეგების შესახებ თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონებში

აღვნიშნავ, რომ თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებებს (გამგეები — ს. გაბრიეიძე, დ. კვირიკაძე) გარკვეული ღონისძიებები-აქვთ გატარებული საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1974წლის 24 აპრილის № 334 ბრძანების შესასრულებლად. აღნიშნული ბრძანება განხილულია საღამოს სკოლების დირექტორებისა და მასწავლებელთა რაიონულ თათბირებზე, განმეორებითაა ჩატარებული წარმოებაში დასაქმებული 16-29 წლის ახალგაზრდების აღრიცხვა, მუდრო კავშირია დამყარებული წარმოება-დაწესებულებებსა და საღამოს სკოლებს შორის; თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილებას შეუსწავლია ხსენებული ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები განსახილველად წარმოდგენილია რაიაღმასკომის სხდომაზე.

ორგანიზებულად მუშაობენ თერჯოლის რაიონის ჩხარის საღამოს სამუალო სკოლის ხელმძღვანელები (დირექტორი ნ. დეკანოიძე). პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განხილულია ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების მდგომარეობა. განხილულია აგრთვე მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება და მის შესასრულებლად გატარებულია სათანადო ღონისძიება. ასევე კარგად დგას ამ სკოლაში სასკოლო მუშაობის დაგეგმვა. კარგად ატარებენ გაკვეთილებს თერჯოლის საღამოს სკოლის მათემატიკის მას-

წავლებელი კ. ბეჟიკაშვილი და მაიაკოვსკის საღამოს საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი დ. შალამბერიძე.

მიუხედავად ამისა, შემოწმებულ რაიონებში სერიოზული ხარ-სიათის ნაკლოვანებებია: შეუსრულებელია მოსწავლეთა კონტინ-გენტის გეგმა, თერჯოლის რაიონის სკოლებში, გეგმით გათვალისწი-ნებული 320 მოსწავლის ნაცვლად, ჩაბმულია 266, მაიაკოვსკის რაიონში — 548 მოსწავლის ნაცვლად 501.

საღამოს სკოლებში კვლავ ხშირია მოსწავლეთა მიერ გაკვე-თილების გაცდენის შემთხვევები; შემოწმების დღეს თერჯოლის საღამოს სკოლაში (დირექტორი ნ. ჩიტიძე) 90 მოსწავლიდან გაკ-ვეთილებს მხოლოდ 38 ესწრებოდა, მაიაკოვსკის საღამოს სა-შუალო სკოლის (დირექტორი დ. შალამბერიძე) 102 მოსწავლი-დან — 45, წითელხევის საღამოს საშუალო სკოლის (დირექტო-რი დ. ღიბრაძე) 111 მოსწავლიდან — 60, ხოლო ვარციხის საღამოს საშუალო სკოლის (დირექტორი ა. რევიშვილი) დასწრებული კლა-სების 51 მოსწავლიდან — 17.

სკოლების ხელმძღვანელთა და პედაგოგიურ კოლექტივთა ერ-თი ნაწილი სუსტად იბრძვიან მოსწავლეთა კონტინგენტის შესა-ნარჩუნებლად; თერჯოლის რაიონის აჯამეთის საღამოს სკოლაში (დირექტორი ბ. ლევიძე) მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ჩა-მოშორდა 18 მოსწავლე,, 4 მოსწავლის სკოლიდან გასვლის შესა-ხებ საბუთები სკოლას არ მოეპოვება, ასევე უმიზეზოდაა გასული ვარციხის საღამოს საშუალო სკოლიდან 7 მოსწავლე, მაიაკოვსკის საღამოს საშუალო სკოლიდან — 2 და სხვ.

ზოგ სკოლაში დარღვეულია მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი: თერჯოლის საღამოს სკოლის ინ-10 კლასში უკანონოდ, მისაღები გამოცდებითაა ჩარიცხული 6 მოსწავლე, ბევრ სკოლაში მოუგვა-რებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები;ცნობა სამუშაო ადგილი-დან არ აღმოაჩნდა მაიაკოვსკის საღამოს სკოლაში 7 მოსწავლეს, ვარციხის სკოლაში — 9, თერჯოლის რაიონის აჯამეთის საღამოს სკო-ლაში—5 მოსწავლეთა ნაწილს არა აქვს დაბადების მოწმობები და სხვ.

თერჯოლისა და აჯამეთის საღამოს საშუალო სკოლების წლიური სამუშაო გეგმები უხარისხოდაა შედგენილი, გეგმები ზოგადი და ერთფეროვანია, მათში არაა ძირითადი საკითხები, რომლის მიხედ-ვითაც სკოლები უნდა მუშაობდნენ. ასევე უხარისხოდაა შედგენილი კლასის სააღმზრდელო გეგმებიც, ისინი ერთმანეთის ანალოგიურია

და მათში გათვალისწინებული არ არის მუშა-მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებანი, პატრიოტული, ათეისტური და ესთეტიკური აღზრდის საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელია პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. ხშირად სხდომებზე საკითხებს ფორმალურად იხილავენ, ასე მაგალითად, მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საღამოს საშუალო სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე განხილულია „ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენება ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა გაკვეთილებზე“ ღონისძიებაც მიღებულია, მაგრამ, ფაქტიურად, სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენება საერთოდ არ ხდება. თერჯოლისა და აჯამეთის საღამოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა შორის არ წარმოებს მეთოდური მუშაობა. შემოწმებულ რაიონებში არაა შემოღებული სასკოლათაშორისო და საარაიონო მეთოდგაერთიანებები.

დარღვეულია ცხრილის შედგენის პედაგოგიური პრინციპები, ხშირად ერთ დღესაა გათვალისწინებული ძნელად ასათვისებელი საგნები: მაიაკოვსკის საღამოს სკოლის მე-9 კლასში ერთ დღეს ისწავლება ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები და გეომეტრია ხოლო X კლასის ხუთშაბათის ცხრილში სხვა საგნებთან ერთად — მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია; მსგავსი მდგომარეობაა ვარციხისა და წითელხევის საღამოს სკოლებში.

ჯერ კიდევ არაა მიღწეული მტკიცე ურთიერთკავშირი სკოლებსა და შესაბამის წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელთა შორის. ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი არ ინტერესდება მუშა ახალგაზრდების სკოლებში ჩაბმით და მოსწავლეებს არ აძლევს მთავრობის მიერ დაწესებულ შეღავათებს, რის გამო ხშირია გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანებანი. თერჯოლის საღამოს სკოლას ნაკლებ დახმარებას უწევს რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ფილიალის თერჯოლის განყოფილება, თერჯოლის ავტოსატრანსპორტო კანტორა, მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საღამოს სკოლას — ვარციხის ავტოსაწარმოო კოლონა.

თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონების საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს პედაგოგიური და მეცნიერული დონის ამაღლებისათვის, არ მუშაობენ საგნის, მისი სწავლების მეთოდებისა

და ხერხების დაუფლებაზე; არ ითვალისწინებენ საღამოს სკოლების სპეციფიკას.

ეროვნული

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა თერჯოლის რაიონის აჯამეთის საღამოს სკოლაში (მასწავლებელი ზ. დოლონაძე). მასწავლებელი სუსტად ფლობს საღამოს სკოლაში მუშაობის მეთოდებს, იგი დამწყები პედაგოგია, მაგრამ სკოლის დირექცია და რაიონის განათლების განყოფილება ნაკლებ დახმარებას უწევენ მას.

სუსტად მუშაობს აგრეთვე ჩხარის საღამოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ჯ. გეწაძე: მოსწავლეებმა არ იციან განვლილი მასალა, VIII კლასის მოსწავლეებმა ვერ დაასახელეს პირველი წერილობითი ძეგლები, რას ნიშნავს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები და სხვ. მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს სალექსიკონო მუშაობას და ლიტერატურის თეორიის საკითხებს.

მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საღამოს საშუალო სკოლის მე-9 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლ. ცირეკიძე გაკვეთილებს მოუმზადებლად, არაორგანიზებულად ატარებს. მოსწავლეებმა ვერ გამოავლინეს შესწავლილი მასალის ოდნავი ცოდნაც კი. მასწავლებელი გაკვეთილებზე უშვებს შეცდომებს, მან „ქართლის ჭირის“ ავტორად გრ. ორბელიანი დასახელა. ასევე უხარისხოდ ატარებს გაკვეთილებს ვარციხის საღამოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. შარიქაძე. მას გაკვეთილებზე არც მოსწავლეთა ცოდნა შეუმოწმებია და არც ახალი მასალის ათვისებით დაინტერესებულა.

დაბალია რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების დონე მაიაკოვსკისა და თერჯოლის რაიონების საღამოს სკოლებში. მასწავლებლების ერთი ნაწილი სუსტად ამუშავებს მოსწავლეებს საგნის ენობრივ მხარეზე. მოსწავლეებში დაბალია წერის კულტურა, საუბრისას მასწავლებლებიც უშვებენ ენობრივი ხასიათის შეცდომებს.

წითელხევის საღამოს სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა გრიგოლ ფაიქიძემ გამოამჟღავნა მასალის თეორიული ცოდნა, მაგრამ იგი ვერ იყენებს მას პრაქტიკულად და საუბრისას უშვებს ენობრივი ხასიათის შეცდომებს. მსგავსი მდგომარეობაა ვარციხის საღამოს სკოლაშიც, მასწავლებელი თ. გუბელაძე რუსული ლიტერატურის გაკვეთილზე დიდ დროს ანდომებს გრამატიკის საკითხებს, რის გამო ვერ ასწრებს გეგმით გათვალის-

წინებულ მასალის ანალიზს, არ აწარმოებს ლექსიკურ მუშაობას; მოსწავლეების ცოდნის დონე დაბალია. არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა აგრეთვე თერჯოლის რაიონის აჯამეთის საღამოს საშუალო სკოლაშია (ხასწ. ი. გვეხეტაძე).

შემოწმებულ სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა წერითი მეტყველების კულტურას; მოსწავლეები სკოლაში არ ატარებენ რვეულებსა და კალმისტრებს, არ წერენ კლასში. არ სრულდება საკონტროლო წერები დაწესებული ნორმებისა და სახეების მიხედვით, მოსწავლეთა ნაშრომებს მასწავლებლები დაგვიანებით ასწორებენ.

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებელია მათემატიკის სწავლება. აჯამეთის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ბარდაველიძე გაკვეთილებს ისე ატარებს, რომ მოსწავლეებს არ აბამს მუშაობაში, მან მე-10 კლასის გეომეტრიის - გაკვეთილზე ისე ამოხსნა ორი ამოცანა, რომ მოსწავლეები სასწავლო პროცესში არ ჰყავდა ჩაბმული, ისინი მხოლოდ მასწავლებელის მიერ დაფაზე დაწერილი ამოცანების ამოხსნის მიმდინარეობას აწერდნენ რვეულებში. მოსწავლეთა ცოდნის დონე მათემატიკაში ძალზე დაბალია. ჩარხის საღამოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ი. კოზირიძე მუშაობაში არ ითვალისწინებს საღამოს სკოლების სპეციფიკას, მან მე-9 კლასში ალგებრისა და ელემენტალური ფუნქციების გაკვეთილზე ლექციური მეთოდით ახსნა მეორე ხარისხის უტოლობა. ის ერთ გაკვეთილზე იხილავს უტოლობათა ამოხსნის ყველა შემთხვევას. სუსტად ისწავლება მათემატიკა აგრეთვე მაიაკოვსკის საღამოს საშუალო სკოლაშიც. მასწავლებელი ნ. ნატრიაშვილი გაკვეთილებს დაბალ დონეზე ატარება, მან მე-10 კლასში გეომეტრიის გაკვეთილზე განიხილა აგების ისეთი ამოცანა, რომელიც მოითხოვდა ორი სიბრტყის პარალელობის ცოდნას. ეს ხაკითხი მოსწავლეებს იმ დროს გავლილი არ ჰქონდათ. ხშირად მასწავლებელს, საკონტროლო ნამუშევრების გასწორებისას, შეუმჩნეველი რჩება დაშვებული შეცდომები. დიმის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მასწავლებელმა ლ. ჯოჯუამ მე-8 კლასის გეომეტრიის გაკვეთილზე ისე ახსნა „სამკუთხედების მსგავსება", რომ შესწავლილი არ იყო „მონაკვეთების შეფარდება და პროპორციულობა"; ახალი მასალის ახსნისას იგი უშვებდა შეცდომებს —

მართკუთხედსა და კვადრატს „მსგავსი“ უწოდა. მასწავლებელი გულდასმით არ ასწორებს საკონტროლო ნამუშევრებს ასევე უნარისხოდ ატარებენ გაკვეთილებს და უყურადღებოდ ასწორებენ საკონტროლო წერით ნამუშევრებს ამავე სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მასწავლებელი ნ. ლილუაშვილი და ვარციხის საღამოს სკოლის მასწავლებელი გ. ფახურიძე.

არადამაკმაყოფილებელია ისტორიის სწავლება ვარციხის საღამოს სკოლაში. მასწავლებელი დ. ვარდანიძე გაკვეთილზე არ ახდენს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას, მოსწავლეებმა დავალებად მიცემული მასალის „ბრძოლა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის საქართველოში“ რუსულის უცოდინარობა გამოავლინეს. მასწავლებელმა ახალი მასალა „პირველი ხუთწლედის შედეგები და სოციალიზმის ეკონომიური ფუნდამენტის შექმნა“ არადამაკმაყოფილებლად ახსნა, ის ისეთ საკითხებზე საუბრობდა, რომელიც თემას არ შეეხებოდა.

მოუმზადებლად ცხადდებიან ქიმიის გაკვეთილებზე თერჯოლის საღამოს საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ზ. კავაძე), მათ არ იციან შესწავლილ ნივთიერებათა ფორმულები, ქიმიური აღნაგობის გამოსახვა, სუსტად ერკვევიან ფუნქციონალურ ჯგუფში. ქიმიის სწავლებისას ნაკლები ყურადღება ექცევა მასალის დაკავშირებას პრაქტიკასთან; მასწავლებელი სუსტად იყენებს დღის სკოლის ქიმიის სასწავლო კაბინეტს. ზეპირსიტყვიერად ისწავლება ქიმია აგრეთვე აჯამეთის საღამოს სკოლაში, სკოლას არ აქვს ქიმიის კაბინეტი; მასწავლებელი ბ. დევიძე ყურადღებას არ ამახვილებს პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე.

თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონების საღამოს (ცვლის) სკოლებში არსებული ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში სუსტად უწევენ კონტროლსა და ხელმძღვანელობას მასწავლებლებს იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებზე; მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი არ იძლევა ნათელ სურათს გაკვეთილის ავკარგიანობის შესახებ; კერძოდ, უშინაარსოა ვარციხის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორისა და სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის გაკვეთილების ანალიზი. თავის მხრივ თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილე-

ბები საჭირო დახმარებასა და ხელმძღვანელობას ვერ უწევენ საღამოს სკოლების მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვბრძანებ:

1. თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა(ს. გაბრიჭიძე, დ. კვირიკაძე) ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1974 წლის 24 აპრილის № 334 ბრძანების შესასრულებლად, რისთვისაც:

ა)მიაღწიონ იმას, რომ საღამოს სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის საგეგმო დავალებანი უკლებლივ და დროულად იქნეს შესრულებული;

ბ) მტკიცე კავშირი დაამყარონ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და საბჭოთა მეურნეობებთან იმ მიზნით, რათა ყველა მოსწავლე სარგებლობდეს მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით;

გ) გაუმჯობესონ საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, პერიოდულად შეისწავლონ მათი მუშაობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) იზრუნონ საღამოს (ცვლის) დაუსწრებელი სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, შექმნან ისეთი პირობები, რომ საღამოს ყველა სკოლას ჰქონდეს სასწავლო კაბინეტებით ფართოდ სარგებლობის საშუალება;

ე) ეს ბრძანება, სათანადო ღონისძიების გასატარებლად. განიხილონ განათლების საბჭოების სხდომებზე.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, პერიოდულად შეისწავლონ ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლთა გამოსასწორებლად;

ბ) მეტი ყურადღება მიაქციონ სასკოლო მუშაობის დაგეგმვას. სკოლის წლიური მუშაობის გეგმები ისე შეადგინონ, რომ იგი ასახავდეს სკოლის საქმიანობის ძირითად საკითხებს;

გ) გაუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. საბჭოების სხდომებზე ღრმად გააანალიზონ ცალკეული სასწავლო საგნების

სწავლების მდგომარეობა, მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება; სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო დოკუმენტაცია, შეადგინონ მეთოდურად გამართული გაკვეთილების ცხრილი;

დ) უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარონ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელობასთან, აამოქმედონ ისინი მოსწავლეთა მეცადინეობაზე დაგვიანებისა და გაცდენების სალიკვიდაციოდ;

ე) მოსწავლეთა მიღებისას მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1974 წლის 15 მაისს დამტკიცებული მოსწავლეთა მიღების წესები;

ვ) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებით მიაღწიონ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას, მინიმუმამდე დაიყვანონ მათ მიერ გაკვეთილებზე გაცდენა-დაგვიანების შემთხვევები;

3. თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებებმა და პედაგოგიურმა კაბინეტებმა გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი საღამოს სკოლების მასწავლებელთა მეთოდურ მუშაობაზე. პრაქტიკაში შემოიღონ ამ ტიპის სკოლების მასწავლებელთათვის სასკოლათაშორისო და რაიონული მეთოდგაერთიანების შექმნა.

4. საგნის სწავლების სუსტად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის მაიაკოვსკის საღამოს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლ. ცირეკიძეს და ვარციხის საღამოს სკოლის ისტორიის მასწავლებელს დ. ვარდანიძეს გამოეცხადოთ საყვედური.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა საფუძვლიანად შეისწავლონ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა და მათ შორის ისინი, ვინც ვერ უზრუნველყოფს საგნის ნორმალურად სწავლებას, სათანადო წესის დაცვით, სასწავლო წლის ბოლოს გაათავისუფლონ სამუშაოდან.

6. სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საღამოს სკოლის დირექტორს ა. რევიშვილს და თერჯოლის საღამოს სკოლის დირექტორს ნ. ჩიტიძეს გამოეცხადოთ საყვედური.

7. საღამოს სკოლების მუშაობისადმი სუსტი კონტროლისა და დახმარებისათვის გაფრთხილებულ იქნენ თერჯოლისა და მაია-

ქოვსკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები ს. გაბ-
რიჭიძე და დ. კვირიკაძე;

8. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვავალებ საქართველოს
და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს.

ეროვნული

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტ-
როს კოლეგიის 1974 წლის 27 დეკემბრის
დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1975 წ. 13 იანვრის ბრძანება № 24

რესპუბლიკის საღამოს საშუალო სკოლებში პირველადი სტატისტიკური ანგარიშებისა და საანგარიშო მონაცემების სისწორის მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ რესპუბლიკის რიგ საღამოს სკოლებში მოუწესრიგებელია საანბანო და ბრძანების წიგნები, საკლასო ჟურნალები და მოსწავლეთა პირადი საქმეები, რის შედეგად სტატისტიკურ ანგარიშებს, რომელთაც ფორმა № ოშ-4/3-11-ის მიხედვით ადგენენ და აგზავნიან განათლების განყოფილებები ივსება უზუსტოდ, უხეში შეცდომებით. ქ. თბილისის 6 შემოწმებულ საღამოს სკოლიდან 5 სკოლაში აღმოჩნდა სხვადასხვა სახის დარღვევები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შემოწმებული ორი სკოლიდან დარღვევები აღმოჩნდა ორივეში, აფხაზეთის ასსრ 5 სკოლიდან—ერთში, აჭარის ასსრ 2 სკოლიდან—ერთში, წულუკიძის პირველი საღამოს საშუალო სკოლის მიერ წარდგენილ სტატისტიკურ ანგარიშში VIII კლასების მოსწავლეთა რაოდენობა ნაჩვენებია 40, ფაქტიურად კი სკოლაში 37 მოსწავლეა.

საანბანო წიგნი არ გააჩნია ქ. ჭიათურის მე-2, აბაშის მე-2, წულუკიძის 1-ელ, სიღნაღის რაიონის ხირსისა და საჩხერის რაიონის საერკის სკოლებს. აღნიშნულ წიგნს არასწორად აწარმოებენ ქ. თბილისის ლენინის რაიონის 1-ელ და მე-18, ცხინვალის 1-ელ და მე-2, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის, ყვარლის რაიონის ენისელისა და გორის რაიონის კარალეთის სკოლები.

ბრძანების წიგნს არ აწარმოებენ ცხინვალის 1-ელ და მე-2, ქ. თბილისის 21-ე, ჭიათურის მე-4, ოჩამჩირის რაიონის კვიტოულის საღამოს სკოლები. ლაგოდეხის საღამოს საშუალო სკოლაში 20 მოსწავლეზე სრულყოფილად არაა შედგენილი პირადი საქმეები,

ასევე მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები ჩხოროწყუს რაიონულ დაუსწრებელ და ამავე რაიონის სოფელ ლესიჭირეს საღამოს სკოლებში. დასახელებული სკოლების მოსწავლეთა პირად საქმეებში არ აღმოჩნდა დაბადების მოწმობები, ცნობები სამუშაო ადგილიდან და სხვა საჭირო საბუთები, ვისაც მუშაობის შესახებ ცნობა გაჩნია—მოძველებული და ძალადაკარგული.

რესპუბლიკის 50 შემოწმებულ საღამოს საშუალო სკოლიდან სტატისტიკური ანგარიშები შეცდომითაა შევსებული: მოსწავლეთა სკოლაში მიღებაზე 14 სკოლაში, მოსწავლეთა საერთო რაოდენობაზე 8 სკოლაში, განთესვაზე 18 სკოლაში, კლასიდან კლასში გადაყვანაზე 16 სკოლაში და მეორეწლიან მოსწავლეებზე 18 სკოლაში. შემოწმებული სკოლების 33 პროცენტში მე-9 კლასის მოსწავლეებს არ აქვთ წარმოდგენილი ცნობები სამუშაო ადგილიდან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკის საღამოს სკოლების ერთი ნაწილი სტატისტიკურ ანგარიშს ფორმა № ოშ-4/3-11-ს ადგენს წინასწარ, პირველადი სასკოლო აღრიცხვის დოკუმენტების მოწესრიგების გარეშე, სათანადოდ არ აფორმებს დოკუმენტებს სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის, კლასიდან კლასში გადაყვანის, მათ მიერ სკოლის დამთავრების შესახებ და ა. შ.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებს სრულ წესრიგში მოაყვანინონ მოსწავლეთა პირადი აღრიცხვის მასალები და მხოლოდ ამის შემდეგ დართონ ნება მათი გამოყენებისა ანგარიშების შესადგენად;

ბ) მტკიცე კონტროლი დააწესონ ანგარიშების სწორად შევსებაზე — სასწავლო წლის მონაცემების გასული წლის მონაცემებთან შედარების გზით; საღამოს სკოლების დირექტორებს ჩაუტარონ ინსტრუქტაჟი ანგარიშების სწორად შევსებისა და დროულად წარმოდგენის საკითხებზე. მიიღონ ზომები იმ სკოლების დირექტორების მიმართ, სადაც არ არის მოწესრიგებული სასკოლო დოკუმენტაცია და საანგარიშო მონაცემები.

2. განათლების სამინისტროს სტატისტიკურმა განყოფილებამ (ამხ. ი. უგულავამ):

ა)1975 წლის პირველ კვარტალში 4-5 რაიონში (შერჩევით) შეაჯამოს საღამოს სკოლების მიერ შედგენილი სტატისტიკური ანგარიშების სისწორე და შედეგების შესახებ მოახსენოს კოლეგიას;

ბ) მიმდინარე წლის 1 მაისამდე გააანალიზოს საღამოს სკოლების მიერ 1974 წელს წარმოდგენილი ფორმები (№ სვ-2 და № ოშ-4/3-11) და შედეგები მოახსენოს კოლეგიას;

გ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საშუალებით 1975 წლისათვის ჩაატაროს სტატისტიკოსთა გადამზადება;

დ) გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება საღამოს სკოლების სტატისტიკური ანგარიშების ფორმებით უზრუნველსაყოფად.

3. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ ,ამხ. ჭ. გუჯეჯიანმა საღამოს სკოლების მეშაოვის შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლებში პირველადი აღრიცხვის მასალების წესრიგში მოყვანის საქმეს.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 9 იანვრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 14 იანვრის ბრძანება № 27

კაჩრეთის საშუალო სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შ ე ს ა ხ ე ბ

კაჩრეთის საშუალო სკოლა-ინტერნატის შემოწმების მასალებით დასტურდება, რომ სკოლა-ინტერნატში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასწავლო-აღმზრდელობით პროცესსა და სამეურნეო მუშაობაში. მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სამეურნეო დარგის მუშაკთა ერთი ნაწილი მთელი პასუხისმგებლობით და საქმისადმი დაინტერესებით არ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. სუსტია სკოლა-ინტერნატის დირექციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლი სახალხო განათლების დარგში პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განსახორციელებლად პედაგოგიური კოლექტივის მობილიზების, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებისა და შრომითი დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება; მასწავლებლები მ. ქუსიკაშვილი, ი. ქიტოშვილი და თ. ბაწაშვილი მხატვრული ნაწარმოების შინაარსის გადმოცემის დროს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ნაწარმოების იდეურ მხარეს, სწორად ვერ არჩევენ საკონტროლო წერის თემებსა და მოსწავლეთა ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ. სწავლების პროცესში ნაკლებად იყენებენ ახალ ხერხებსა და მეთოდებს, თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე რუსულ ენაში. მასწავლებლები ვ. ამაღლობელი და ნ. დათუკიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს, სათანადო გულისყურით არ ასწორებენ მოსწავლეთა საკლასო, საშინაო და საკონ-

ტროლო წერის რვეულებს, არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს დაშვებული შეცდომების გასწორებაზე. ძალზე ლიბერალურად აფასებენ მოსწავლეთა ცოდნას რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

მათემატიკის მასწავლებლები: კ. ფროდიაშვილი, რ. აკოფაშვილი, რ. მუსალბაშვილი სუსტად ფლობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, სისტემატურად არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ამიტომ მათი მოსწავლეები ვერ ერკვევიან ელემენტარულ საკითხებში, დამოუკიდებლად ვერ ხსნიან მარტივ მაგალითებს და ამოცანებს.

IX კლასის (მასწავლებელი რ. მუსალბიშვილი) 16 მოსწავლიდან შემოწმების დღისათვის თითქმის არცერთმა არ იცოდა გაკვეთილი მათ ვერ შეძლეს მართი და დახრილი პრიზმების შედარება, მეტად უსუსურნი აღმოჩნდნენ ამოცანების ამოხსნაშიც.

ანალოგიური მდგომარეობაა V—XI კლასებში, სადაც მასწ. რ. აკოფაშვილი ასწავლის. V კლასის მოსწავლეებმა არ იციან, რას გვიჩვენებს კოეფიციენტი, რას უდრის კუბის მოცულობა, ვერ შეადგინეს ტოლფიშვნელიანი წილადები და სხვ.

მასწავლებელ რ. აკოფაშვილს უჭირს ახალი პროგრამის მიხედვით მათემატიკის სწავლება. საკონტროლო წერის თემებიც მას არასწორად აქვს შერჩეული, უმეტეს შემთხვევაში გაუსწორებლად არის დატოვებული მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები და შეფასების ნიშნებიც არაობიექტურად არის გამოყვანილი.

დაბალ დონეზე დგას ფიზიკის სწავლება სკოლა-ინტერნატში. ახალგაზრდა მასწავლებელი ი. კაგოშვილი არ ზრუნავს თავისი თეორიული დონისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის. იგი უგულისყუროდ ეკიდება ფიზიკის სწავლებისათვის სკოლა-ინტერნატში სათანადო მატერიალური ბაზის შექმნის საკითხს; კაბინეტში დიდი რაოდენობით აკლიათ ხელსაწყო-იარაღები, მოუწყობელია დაბნელება, სწავლების პროცესში არ არის გამოყენებული ტექნიკური საშუალებები, ამიტომ არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეათეკლასელ მოსწავლეთა დაბალი ცოდნა ფიზიკაში, მათ, საერთოდ, წარმოდგენა არ აქვთ ფიზიკის ძირითად ცნებებსა და დებულებებზე.

ასევე პრადამაკმაყოფილებელია IX—X კლასების მოსწავლეთა ცოდნა ქიმიაში. ქიმიის მასწავლებელი ე. გეთიაშვილი სულ რამდენიმე თვეა, რაც ამ კლასებში ასწავლის, მაგრამ მთელი პასუხისმგებ-

ლობით არ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, სისტემატურად არ აკონტროლებს იგი საშინაო დავალებათა შესრულებას, არ ავადმყოფებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, ქიმიის მასწავლებლები ვ. გეთიაშვილი და ა. ღვინიაშვილი არ ზრუნავენ ქიმიის კაბინეტის საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და რეაქტივებით აღჭურვისათვის. მთლიანად ჩაშლილია მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობა ქიმიაში. ეს მაშინ, როდესაც მოსწავლეთა კონტინგენტის თავისებურების გამო სკოლა-ინტერნატში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ათეისტურ პროპაგანდას.

ბიოლოგიის მასწავლებელი ს. თევდორაშვილი საფუძვლიანად არ ემზადება გაკვეთილების ჩატარებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს თვალსაჩინოების გამოყენებას და ცდების ჩატარებას, ლიბერალურად აფასებს მოსწავლეთა ცოდნას.

სკოლა-ინტერნატში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა აღმზრდელობით მუშაობაში. აღმზრდელები ნ. მთავრიშვილი, ვ. ბაღაშვილი, ნ.სოლოღაშვილი, ა. ღვინაშვილი, ე. ფროდიაშვილი, ი. ქიტიშვილი, მ. ღიაზაშვილი არავითარ მზრუნველობას არ იჩენენ აღსაზრდელთა მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით აღზრდის საქმისადმი, მათში ყოფაცხოვრებითი ესთეტიკის დანერგვისათვის. ამით აიხსნება ის, რომ მათი სააღმზრდელო ჯგუფის აღსაზრდელები ვერ გამოირჩევიან თავიანთი ჩაცმულობითა და პირადი ჰიგიენით. ანტისანიტარიაა მათ საძინებელ ოთახებშიც. შემოწმებისა დღისათვის V სააღმზრდელო ჯგუფში (აღმზრდელები ე. ფროდიაშვილი, ა. ღვინაშვილი) ძალზე გაჭუჭყიანებული აღმოჩნდა საბნები და ლეიბები, ხოლო ლეიბების ქვეშ აღმოჩნდა ჭუჭყიანი საცვლები, წინდები, ფორმის შარვლები, პურის ნაჭრები და სხვა. დღის მეორე ნახევარში, თვითმომზადების დროს, აღსაზრდელებს სათანადო დახმარებას ვერ უწევენ აღმზრდელები გ. გიოშვილი, დ. მექირიშვილი, ნ. ჯიქურიშვილი. ისინი არ აკონტროლებენ აღსაზრდელთა მიმდინარე შეფასებას, საკლასო-საშინაო რვეულების წარმოებას.

დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში შ. ჯაფარიძე საჭირო კონტროლსა და ხელმძღვანელობას ვერ უწევს აღმზრდელებს. იგი არცერთხელ არ დასწრებია აღმზრდელებს თვითმომზადებაზე. მას არ მოეპოვება არავითარი დოკუმენტაცია სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, დღის I ნახევარში აღსაზრდელთა გაკვეთილებზე დასწრების, აღმზრდელთა მიერ I მეოთხედში

გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მდგომარეობისა და ჩატარებულ ღონისძიებათა ავკარგიანობის შესახებ.

სკოლა-ინტერნატში როგორც გაკვეთილებზე, ისე საკლასო-ველო მუშაობის დროს სათანადო ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთა იდეურ წრთობას, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მათი აღზრდის საკითხებს. ამიტომაც ჯერ კიდევ არ იგრძნობა მოსწავლეთა დაინტერესება ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობით, იმ დიდი შრომის შედეგებით, რომელსაც საბჭოთა ხალხი ყოველწლიურად აღწევს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. სკოლა-ინტერნატში ჯერ კიდევ სუსტია პიონერული (უფროსი პიონერხელმძღვანელი ც. ბერიძე) და კომკავშირული ორგანიზაციების როლი მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მიღწევის, აღსაზრდელთა ინიციატივისა და თვითშემოქმედების განვითარების საქმეში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთა ნიჭსა და მიდრეკილებებზე დაკვირვებას და მათი გათვალისწინებით პროფორიენტაციული მუშაობის წარმართვას სკოლა-ინტერნატში. ამაზე მიუთითებს კერძოდ ის, რომ აქ არადანიშნულებისამებრ, მხოლოდ მასწავლებელთა დატვირთვის გაზრდის მიზნით, არის გამოყენებული ფაკულტატიური მეცადინეობის საათები და ჩაშლილია წრეობრივი მუშაობა.

სკოლა-ინტერნატის დირექცია სათანადო ყურადღებას არ აქცევს მასწავლებელთა და აღმზრდელთა მეთოდური დახელოვნების საქმეს. არსებული საგნობრივი მეთოდგაერთიანების მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხოლო ინდივიდუალური გეგმით მომუშავე მასწავლებლებზე დირექციის მხრივ არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი. ახალ პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე გადასვლის პროცესში პედაგოგთა სავალდებულო გადამზადების მიუხედავად 42 მასწავლებლიდან და აღმზრდელიდან კვალიფიკაციის ამაღლების კურსები არ გაუვლია — 18.

საძინებელ და სამეურნეო კორპუსებში, სასადილოში დარღვეულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება. სკოლა-ინტერნატია ექიმი სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებს ბავშვთა კვებასა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.

19 ნოემბერს, მეორე საუზმეზე, აღსაზრდელებს მისცეს 20—35 გრ. ერბოკვერცხი, ნაცვლად 50—60 გრამისა. საწყობიდან (საწყობის გამგე ლ. ქიტოშვილი) მენიუს მიხედვით გაწერილი პროდუქტი დან სასადილოში დაიკლდად 100 გრ. სეფი და 250 გრ. კამფეტი. 19 ნოემბერს თითოეულ ბავშვზე დაიხარჯა 78 კაპიკი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 94 კაპიკისა.

შემოწმების შედეგად დიდი დარღვევები იქნა გამოვლენილი თეთრეულის საწყობში (მეთეთრეულე ზ. რაქვიაშვილი).

სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესსა და სამეურნეო საქმიანობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა ხასიათი ნათლად მიუთითებენ დირექტორის, პედაგოგიური კოლექტივისა და სამეურნეო დარგის მუშაკების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. ე. კახაბერი):

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი კაჭრეთის სკოლა-ინტერნატის დირექციის, მასწავლებლების, აღმზრდელებისა და სამეურნეო დარგის მუშაკების მიმართ სისტემატურად შეისწავლოს მათი მუშაობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დასახოს კონკრეტული ღონისძიებები;

ბ) მასწავლებელთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი შემდგომი დახელოვნების მიზნით მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსებგაუვლელი მასწავლებლები და-აღმზრდელები 1975 წლის ზაფხულის არდადეგების დროს მიავლინოს დახელოვნების კურსებზე;

გ) მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებსა და აღმზრდელებზე დააწესოს კონტროლი, აღმოუჩინოს მათი დახმარება და თუ ამის შემდეგაც ვერ გარდაქმნიან ისინი მუშაობას, არსებული წესის მიხედვით დასვას საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

დ) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან სკოლა-ინტერნატის დირექტორი ს. ანჯაფარიძე, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში შ. ჯაფარიძე. მათ ნაცვლად, მიმდინარე წლის 20 იანვრამდე, შეარჩიოს სათანადო გა-

მოცდილების, უნარისა და პედაგოგიური სტაჟის მქონე მუშაკები და წარმოადგინოს დასამტკიცებლად განათლების სამინისტროში;

ე) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს განიხილოს ბრძანებანი და მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე აღმზრდელებისათვის საათების დატოვების შესაძლებლობის საკითხი;

ვ) აღნიშნული ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განიხილოს სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი.

სკოლა-ინტერნატის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით, განათლების განყოფილებებისა და პედაგოგიური კოლექტივის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მისი შედეგების შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს 1975 წლის 20 ივნისამდე.

II სკოლა-ინტერნატის დირექტორმა:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა და აღსაზრდელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწროს მათ გაკვეთილებსა და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს. პედაგოგიური საბჭოს სხდომებსა და საწარმოო თათბირებზე რეგულარულად განიხილოს მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების, საღმზრდელო და სამეურნეო მუშაობის საკითხები;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღსაზრდელთა იდეურ-პოლიტიკური, ინტერნაციონალური, პატრიოტული, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის საკითხებს, როგორც სწავლების, ისე კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების ჩატარების დროს. გადამჭრელი ზომები მიიღოს პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების როლის ასამაღლებლად მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მიღწევისა და აღსაზრდელთა ინიციატივისა და თვითშემოქმედების განვითარების მიზნით;

გ) მასწავლებელთა და აღსაზრდელთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით არსებითად გარდაქმნას მეთოდური მუშაობა. არსებული მეთოდგაერთიანებების მუშაობაზე დააწესოს მტკიცე კონტროლი და მიაღწიოს იმას, რომ მეთოდგაერთიანებებზე წაკითხული მოხსენებები ემსახურებოდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის საქმეს;

დ) გადამჭრელი ზომები მიიღოს ზაფხულის არდადეგების ბანრიოდში სკოლა-ინტერნატის მასწავლებელთა და აღმზრდელთა მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე მოსავლინებლად;

ე) გაკვეთილებისა და სააღმზრდელო ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლების მიზნით მიაღწიოს იმას, რომ ყოველი გაკვეთილი და სააღმზრდელო ღონისძიება ტარდებოდეს თვალსაჩინოების, სწავლების ტექნიკური საშუალებების, ცდებისა და ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების გამოყენებით. ამასთან დაკავშირებით, დასახოს ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატის კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო-მოწყობილობით უზრუნველსაყოფად;

ვ) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით სანიმუშო წესრიგი დაამყაროს სასადილოში, საძინებელ და სამეურნეო კორპუსებში. მოაწესრიგოს აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების საქმე და წელიწადში ორჯერ ჩაატაროს აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება;

ზ) აღსაზრდელთა კვების საქმეში უხეში დარღვევებისათვის სამუშაოდან გაათავისუფლოს მზარეული;

თ) თეთრეულის საწყობში საქონლის მეტნაკლებობისათვის გაათავისუფლოს სამუშაოდან მეთეთრეულე ზ. რაქვიაშვილი.

III. საგნის სუსტად სწავლებისა და მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონისათვის მათემატიკის მასწავლებლებს — რ. აკოფაშვილსა და რ. მუსალბიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

IV. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ფიზიკის მასწავლებელ ი. კაგოშვილს მიეთითოს.

V. აღმზრდელობით მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის აღმზრდელებს: ე. ფროდიაშვილს, ა. დეინაშვილს, ს. თევდორაშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

VI. დაევალოს განათლების სამინისტროს სარევიზიო განყოფილებას (ამხ. ვ. მაქაცარიას) 1975 წლის I კვარტალში გაითვალისწინოს კაჭრეთის სკოლა-ინტერნატის დოკუმენტური რევიზიის ჩატარება.

VII. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ო. ნიკოლაიშვილმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს

მოხსენებითი ბარათი

კაჭრეთის სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ

მიმდინარე წლის 19—21 ნოემბერს განათლების სამინისტროს ბრიგადამ განათლების სამინისტროს ინსპექტორების: გ. ჯავახიძის (ხელმძღვანელი), თ. ხურცილავას, ც. ჩიტაიშვილის, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მეთოდკაბინეტის მეთოდისტის თ. ადამაძის, ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორის-ვ. მელაძის, ამავე სკოლა-ინტერნატის გედაგოგის ნ. ბარკალაიასა და ბუღალტრის ზ. მარტიროსოვას, ქ. თბილისის 123-ე საშუალო სკოლის პედაგოგის ე. სურგულაძისა და თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ექიმის მ. არობელიძის შემადგენლობით კაჭრეთის სკოლა-ინტერნატში შეისწავლა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო მუშაობის მდგომარეობა.

შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლა-ინტერნატის დირექციას (დირექტორი ს. ანჯაფარიძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ქ. ცერცვაძე, უფროსი აღმზრდელი შ. ჯაფარიძე) პედაგოგიურ კოლექტივს და სამეურნეო დარგის მუშაკებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

კარგად არის შედგენილი სკოლა-ინტერნატის წლიური სამუშაო გეგმა, სადაც სასკოლო ცხოვრების ყველა აქტუალური საკითხია მოცემული. წლიური გეგმიდან გამომდინარე, დამაკმაყოფილებლად

არის შედგენილი პედაგოგიური საბჭოს ნახევარწლიური სამუშაო გეგმა. პედსაბჭოს სხდომები წარმოებს გეგმიურად, ოქმები სათანადოდაა გაფორმებული. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე საგანმანათლებლო კონკრეტულად არის განხილული I მეოთხედის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები და მეორე მეოთხედის ამოცანები. დირექტორის მოხსენებაში მოცემულია ცალკეული საგნების სწავლების ანალიზი და დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი.

დამაკმაყოფილებლად-ტიპობრივი რეჟიმის საფუძველზეა შედგენილი დღის რეჟიმი, სადაც გათვალისწინებულია საღღეღამისო დროის რაციონალურად განაწილება. გათვალისწინებულია ყველის კომპონენტი, რომლებიც ძირითადად ითვალისწინებს მოსწავლეთა საქმიანობას და დასვენებას დღეღამის განმავლობაში.

დაცულია სასკოლო და კლასგარეშე მუშაობის დაწესებული დროის ხანგრძლივობა.

სკოლა-ინტერნატში სათანადო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ესთეტიკურ, შრომით და ფიზიკურ აღზრდას. აქ ხშირად ტარდება შრომის დღესასწაულები, პოეზიის საღამოები, ნორჩ მხატვართა ნამუშევრების შიდასასკოლო გამოფენები. კომკავშირელთა აქტივობით საინტერესოდ ჩატარდა კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატის, მირზა გელოვანისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. სკოლა-ინტერნატის 25 აღსაზრდელი „მშდ“-ს ნიშნოსანია.

მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედის ბოლოს შეფასებულ 245 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებდა 31, რაც, რა თქმა უნდა, არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით აკადემიური მაჩვენებლები გაუმჯობესდა და მოსწავლეთა აბსოლუტური მოსწრება 87%-ს უდრის.

მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნული წარმატებებისა, ინტერნატის შემოწმების შედეგად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა.

სკოლა-ინტერნატში ბრიგადის ყოფნის დროს შესწავლილ იქნა მთელი ზიგი ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლება. მათ შორის ქართული ენისა და ლიტერატურის.

შემოწმებით დადგინდა, რომ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას საკმაო სტაჟისა და გამოცდილების მქონე პედაგოგები ს. ანჯაფარიძე, დირექტორი მ. ქუსიკაშვილი, ი. ქიტოშვილი და თ. ბიწაშვილი ასწავლიან. ისინი, მართალია, დაუფლებული არიან თავიანთ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, მაგრამ მუშაობაში ჯერ კი-

დევ სერიოზული ხარვეზები გააჩნიათ, რის გამოც მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების დონე სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებელია. ახალი მასალის ახსნის დროს მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნაწარმოების იდეურ და მხატვრულ ანალიზს. ტექსტზე მუშაობის დროს არ ახდენენ ლექსიკურ და მხატვრულ კომენტარს, დახასიათების ავტორისეული ხერხების გამორკვევას, მწერლის ენასა და პერსონაჟებზე დაკვირვებას საპროგრამო მასალას ისინი ვერც აღსაზრდელთ პოლიტ-იდეური, პატრიოტული, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს უკავშირებენ. ახალი მასალის ახსნის დროს მასწავლებლები თითქმის არ იყენებენ თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალას, ხოლო სწავლების -ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. სკოლა-ინტერნატში გადაუდგამთ ნაბიჯები ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის მოსაწყობად, მაგრამ აქ ჯერ მხოლოდ 2 თუ 3 ძველი სურათი ჰკიდია კედელზე, გაკვეთილების დიდი უმრავლესობა კი ისევ თავიდან ბოლომდე ზეპირსიტყვიერად ტარდება. მაგალითად VIII კლასში მასწავლებელი ი. ქიტოშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობის დროს დბკმაყოფილდა მხოლოდ რუკაზე ინდოეთისა და არაბეთის ჩვენებით. IX კლასში მ. ქუსიკაშვილმა კარგი დახვეწილი ქართულით მოუთხრო მოსწავლეებს დ. ჭონქაძის ბიოგრაფია, მაგრამ არ გაუმდიდრებია იგი სხვადასხვა სახის თვალსაჩინო და დოკუმენტური მასალებით (მწერლის წერილები და სხვა).

მასწავლებლებს საწერ თემად შერჩეული აქვთ ტრაფარეტული თემები. მაგალითად IX კლასში (მასწავლებელი მ. ქუსიკაშვილი) ორჯერ ჩაუტარებიათ საკონტროლო წერა; პირველად მოსწავლეებისათვის საწერ თემად მიუციათ „პატრიოტიზმი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, ხოლო მეორედ — „პატრიოტიზმი გრ. ორბელიანის შემოქმედებაში“. საერთოდ, მასწავლებლები მოსწავლეებს საშინაო თუ საკონტროლო წერის თემებად იშვიათად აძლევენ თავისუფალი, შემოქმედებითი ხასიათის თემებს.

საკონტროლო წერითი ნაშრომები, მართალია, დროულად წარმოებს, მაგრამ მოსწავლეთა რვეულებში ხშირად შეუმჩნევლადაა დარჩენილი უხეში გრამატიკული შეცდომები. მაგალითად: VII კლასის (მასწავლებელი თ. ბაწაშვილი) მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულებში მრავლადაა სტილისტური, გრამატიკული და პუნქტუაციური ხასიათის შეცდომები (ნ. ბარათაშვილმა ლექსში „ფიქ-

რნი მტკვრის პირას“ გამოხატა მწუხარებას“.) შეცდომებით სავსეა ამავე ლქსიდან მოტანილი ერთ-ერთი ციტატა:

„თუმცა კეთილი მეფე როსლა არის მოსვენებული“
თვის მამულსა, თავის შვილთა
არ მისცეს წყევის თვისი სახელი შთამომავლობას.

ლიბერალურადაა „4“-ზე შეფასებული ამავე კლასის მოსწავლის, ჯ-შვილის ნაშრომი. ანალოგიური მდგომარეობაა VIII კლასის (მასწავლებელი ი. ქიტოშვილი) საკონტროლო წერის რვეულებშიც („მარტო ნაწყვეტების მიმართ ნათელი ხდება, თუ რა დიდი ლიტერატურული გემოვნებით არის დაწერილი „შუშანიკის წამება“). მოსწავლე მ-შვილის ნაშრომი მასწავლებელს „4“-ზე აქვს შეფასებული, მაგრამ თვით მასწავლებლის რეცენზია — „თემა ღარიბია. შუშანიკისა და ვარსქენის დახასიათება არაა სრულყოფილი. ნაწარმოებიდან არაა მოტანილი ციტატები“ — მიუთითებს, რომ მოსწავლის ნაშრომი არასწორად არის შეფასებული.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებით არის ძირითადად გაპირობებული ის, რომ კაჭრეთის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა დიდი უმრავლესობა სათანადოდ ვერ ფლობს საპროგრამო მასალას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. ჯერ კიდევ ღარიბია მათი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა და ა. შ.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდგაერთიანება (ხელმძღვანელი მ. ქუსიკაშვილი). საშუშაო გეგმაში არ არის შეტანილი მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალური საკითხები. მეთოდგაერთიანების მუშაობაში სათანადო ადგილი არ აქვს დათმობილი აგრეთვე ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ამა თუ იმ მასწავლებლის გამოცდილების განზოგადებას მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ათეისტური, ესთეტიკური, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით.

აღსანიშნავია ისიც, რომ არ სრულდება სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხი. მაგალითად, არ.ჩატარებულა ღია გაკვეთილი „ხევისბერი გოჩას“ განხილვაზე.

სუსტად მუშაობს ლიტერატურული წრე (ხელმძღვანელი ი. ქიტოშვილი). მისი ინიციატივით სკოლა-ინტერნატში იშვიათად ეწყობა ლიტერატურული დილა-საღამოები, დისპუტები, ვიქტორინები, ექსკურსიები. არ გამოდის ლიტერატურული ფურცელი და გაზეთი. არ ტარდება კონკურსი საუკეთესო თხზულებებზე და სხვ.

რუსულ ენასა და ლიტერატურას სკოლა-ინტერნატში 22 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ვ. ამაღლობელი და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის 1974 წლის კურსდამთავრებული ნ. დათუკიშვილი ასწავლიან.

მასწავლებელი ვ. ამაღლობელი პირადად დაუფლებულია რუსული ენის საპროგრამო მასალას და მისი სწავლების მეთოდებს. სწავლების პროცესში აქტიურად აბამს მთელ კლასს, იყენებს თვალსაჩინოებას. ახალი სიტყვების გამოყენებით სისტემატურად ატარებს საუბრებს, კარგად უხამებს ერთმანეთს ლიტერატურული მასალის სწავლებას გრამატიკულთან. სკოლა-ინტერნატში მისი ინიციატივით მოწყობილია რუსული ენისა და ლიტერატურის საკმაოდ კარგი კაბინეტი, სადაც დიდი რაოდენობითაა თავმოყრილი მეთოდური ლიტერატურა და თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალები. აღსანიშნავია, რომ თვალსაჩინოების გარკვეული ნაწილი, მხატვრული სტენდები მოსწავლეთა მიერ არის დამზადებული. რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში ცალკე კუთხე აქვს დათმობილი ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ლიტერატურულ მასალებსა და ფოტოდოკუმენტებს, რომლებსაც სათანადოდ იყენებენ საპროგრამო მასალის სწავლების დროს.

მიუხედავად სკოლა-ინტერნატში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში მოპოვებული გარკვეული წარმატებებისა, მოსწავლეთა ცოდნის დონე ჯერ კიდევ სასურველზე დაბალია, რაც მოსწავლეთა კონტინგენტის თავისებურებასთან ერთად მასწავლებლის მუშაობაში გამოვლინებული ხარვეზებითაც აიხსნება; ვ. ამაღლობელი, მართალია, იცავს საკონტროლო წერების ჩატარების პროგრამით გათვალისწინებულ ნორმებსა და სახეებს, მაგრამ სათანადო გულისყურით არ ასწორებს მათ, ამიტომ IV—VII—IX კლასების მოსწავლეთა როგორც საკლასო-საშინაო, ისე საკონტროლო წერის რვეულებში გაუსწორებლადაა დატოვებული დაშვებული შეცდომები. მაგალითად IV კლასის მოსწავლეების ნაშრომებში დატოვებულია შემდეგი სახის შეცდომები „падарок, внимательно, памагала окончил, самий, рожденый“ ანალოგიურ შეცდომებს ვაწყდებით მეშვიდე კლასელების რვეულებში (толстьюм, полстым выходилы, когда“). რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ცხადი

ხდება, რომ ვ. ამაღლობელი საჭირო სისტემატიურობით არ ავარჯიშებს მოსწავლეებს დამშვებული შეცდომების გასწორებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ თხრობის პროცესში თვით მასწავლებელიც „უშვებს" ენობრივ შეცდომებს („сколько род у существительного в русском языке"). არასწორად სვამდა მახვილებს („авреками, копыта, Казбича") და ა. შ.

დამწყები მასწავლებელი ნ. დათუკიშვილი კარგად ფლობს რუსულ ენას. ამასთან, კარგად არის დაუფლებული ზოგადაგანმანათლებლო სკოლის საპროგრამო მასალასაც, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება მეთოდური დახელოვნებისათვის. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ახალი მასალის გამოკითხვის დროს მასწავლებელს მთელი ყურადღება გამოძახებულ მოსწავლეებზე აქვს გადატანილი, დანარჩენი მოსწავლეები კი ბედის ანაბარად არიან მიტოვებულნი. ნ. დათუკაშვილი სათანადო გულისყურით არ ასწორებს მოსწავლეთა საშინაო და საკონტროლო წერის რვეულებს, არ ავარჯიშებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომების გასწორებაზე. სამწუხაროდ სკოლა-ინტერნატის დირექცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს და სათანადოდ არ ზრუნავს ახალგაზრდა მასწავლებლის მეთოდურ დახელოვნებაზე.

სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა (**მასწ. რ. აკოფაშვილი, ე. ფროდიაშვილი, რ. მუსალბიშვილი**).

მასწ. რ. აკოფაშვილი (V და XI კლასები) ღრმად არ არის დაუფლებული გაკვეთილის ჩატარების მეთოდებს და ხერხებს. იგი რაციონალურად ვერ იყენებს გაკვეთილის ცალკეულ მომენტებს.

მასწავლებელი მუშაობს მხოლოდ გამოძახებულ მოსწავლესთან, კლასი კი ამ დროს პასიურ მდგომარეობაშია, ვინაიდან მათ არ ეძლევათ დამოუკიდებელი სამუშაო. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია IX კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე. გაკვეთილის თემის, „მეორე ხარისხის ერთუცნობიანი უტოლობის" გარჩევის დროს, გამოირკვა, რომ არცერთმა მეცხრეკლასელმა არ იცოდა $ax^2+bx+c=0$ განტოლების ფესვების მოძებნა. ax^2+bx+c სამწევრიდან ვერ გამოყვეს სრული კვადრატი. დაფასთან გამოძახებულმა მოსწავლემ შეცდომით დაწერა მაგალითი, რომლის შესწორება კლასის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო.

დაფაზე გამოძახებულ მოსწავლეს დაევალა, მოეძებნა $2x^2+4x-6>0$ უტოლობის ამონახსენი, რაც მან ვერ მოახერხა, მაგრამ შემდეგ

მასწავლებლის დახმარებით მიიღო მცდარი ამონახსენი $1 < x < -3$, ანალოგიური შეცდომების, გაპარული საკონტროლო წერის რვეულებშიც ცუდადაა დაყენებული მოსწავლეთა საშინაო დავალების რვეულების წარმოებაც, მათზე არ არის დაწესებული მასწავლებლის მტკიცე კონტენოლი, იგი თითქმის არ ასწორებს მათ და არ უკეთებს ანალიზს დაშვებულ შეცდომებს.

დაბალი მომზადება გამოავლინეს V კლასის მოსწავლეებმაც. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის, რას გვიჩვენებს კოეფიციენტი, რას უდრის კუბის მოცულობა და ა. შ.

მასწავლებელ რ. აკოფაშვილს უჭირს ახალი პროგრამის მიხედვით მათემატიკის სწავლება, ვინაიდან იგი სისტემატურად არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ ადგენს გაკვეთილის გეგმა-კონსპექტს. საკონტროლო წერის თემები მას არასწორად აქვს შერჩეული. უმეტეს შემთხვევაში გაუსწორებლად არის დატოვებული მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები და შეფასების ნიშნებიც (მოსწავლეები: ბერიკაშვილი, შაშიაშვილი, როსტაშვილი, კორკოტაშვილი, რამაზაშვილი და ა შ.) არაობიექტურად არის გამოყვანილი. საერთოდ, I მეოთხედის საბოლოო ნიშნები არ შეესაბამება მოსწავლეთა ცოდნის დონეს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება გეომეტრია VI, X კლასებში (მასწ. რ. მუსალიშვილი). X კლასში 16 მოსწავლიდან თითქმის არცერთმა არ იცის განვლილი მასალა, ეს მაშინ, როდესაც I მეოთხედის მონაცემებით კლასში 100%-იანი მოსწრება იყო. კითხვაზე, თუ რამდენი დიაგონალის გავლება შეიძლება პრიზმის თითოეული წვეროდან, ან მართკუთხედში, ვერცერთმა მოსწავლემ ვერ უპასუხა. მეათეკლასელები ვერ ახერხებენ მართი და დახრილი პრიზმების შედარებას, მეტად უსუსურნი არიან ამოცანების ამოხსნაშიც. შემოწმების მომენტისათვის მასწავლებელს არც კი ჰქონდა დაწყებული ტრიგონომეტრიის გამოყენების გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა. საერთოდ, მე-10 კლასელ მოსწავლეთა ცოდნის დონე შეესაბამება მათემატიკაში მე-8 კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონეს.

მეათეკლასელთა საკონტროლო წერითი რვეულები უვარგისია. მართალია, წერის, ნორმები შესრულებულია, მაგრამ თემები არ არის ჯეროვნად შერჩეული. რვეულებში გამორჩენილია უამრავი შეცდომა. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსწავლეთა ნამუშევრები შეფასებულია ძალზე ლიბერალურად.

VI კლასში (იგივე მასწავლებელი) მოსწავლეებმა არ იცოდნენ საშინაო დავალებად მიცემული მასალა — ცენტრალური სიმეტრია. როგორც გაკვეთილზე გამოირკვა, მასალა მასწავლებელსაც არ ჰქონდა ღრმად დამუშავებული, ამიტომ მოსწავლეები ზეპირად ამბობდნენ მხოლოდ წესებს, მის შინაარსში კი ვერ ერკვეოდნენ. მათ უმრავლესობას არ ესმის მობრუნება და გადაადგილება, ვერ ხედავენ არსებით განსხვავებას კონკრეტულობასა და ტოლობას შორის. ახალი პროგრამით სწავლება აღნიშნულ კლასში მასწავლებელს უჭირს. იგი სათანადოდ ვერ ფლობს გაკვეთილის გადაცემის ხერხებსა და მეთოდებს, მაქსიმალურად ვერ იძარჯვებს გეკვეთილის ცალკეულ მომენტებს, არ ატარებს მოსწავლეთა დამოუკიდებელ სამუშაოს. მოუთმენელ მდგომარეობაშია მოსწავლეთა საკლასო-საშინაო დავალების რვეულების წარმოება. გაუსწორებლად არის დატოვებული უამრავი შეცდომა და რა თქმა უნდა, არც დაშვებული შეცდომების გასწორება ხდება.

შეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მათემატიკის სწავლება მე-8 კლასში. მასწავლებელი ე.ფროდიაშვილი ვერ ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. მის მოსწავლეებს გამოსაკითხი მასალიდან გაუჭირდათ ორი რიცხვის საშუალო პროპორციული სიდიდის მოძებნა, ვერ ააგეს ორი მოცემული მონაკვეთით მესამე — საშუალო პროპორციული. არ იციან პერპენდიკულარულ გვერდებს შორის კუთხეების ტოლობა და სხვა.

ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს აღნიშნული კლასის მოსწავლეებმა გავლილი მასალის ცოდნაშიც.ძალზე სუსტად იციან გეომეტრიაში თეორიული ნაწილი, ამიტომ ვერც უმარტივესი ამოცანების ამოხსნას ახერხებენ. დაცული არ არის წერის ნორმები. ხაკონტროლო წერის რვეულებში თემები სირთულის მიხედვით არ არის კარგად შერჩეული. მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს მასწავლებელი ვერ ამჩნევს და ნიშნებს ლიბერალურად წერს.

სკოლა-ინტერნატში დაბალ დონეზე დგას ფიზიკის სწავლება. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკის მასწავლებელი ი. კაგოშვილი ახალგაზრდა პედაგოგია, იგი თითქმის არაფერს აკეთებს თავისი მეთოდური, თუ მეცნიერული დონის ამაღლებისათვის, არ ეცნობა დამხმარე მეთოდურ ლიტერატურას, ფიზიკის სწავლების შესახებ ზემდგომი ორგანოების მითითებებს, ამიტომაც გაკვეთილებს ატარებს დაბალხარისხოვნად. ი. კაგოშვილის მიერ შედგენილი გაკვეთილის გეგმა არასრულყოფილია; მასში არ ჩანს გაკვეთილის

მსვლელობის სრული სურათი. კერძოდ, ამა თუ იმ თემის გადაცემა-ასა როგორ უნდა მიაღწიოს მიზანს, რა სახის თვალსაჩინოებანი და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს გამოიყენებს ან, ახალი მასალის ახსნისას, როგორ დაამყარებს კავშირს განვლილ მასალასთან. როგორც გამოკითხვის, ისე ახალი მასალის განმტკიცების პროცესში არ მიუთითებს ამოსახსნელი ამოცანების ნორმებს.

მასწავლებელი ი. კაგოშვილი სკოლა-ინტერნატში დაახლოებით წელიწადნახევარია, რაც ასწავლის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არც კი დაინტერესებულა ფიზიკის სწავლებისათვის არსებული მატერიალური ბაზის გაუმჯობესების საკითხით. გაკვეთილებს ატარებს „ფიზიკის კაბინეტისათვის“ გამოყოფილ ერთ ოთახში, სადაც მოუწყობელია დაბნელება, ელექტრო და წყალგაყვანილობა. გაუმართავია ელექტროგამანაწილებელი ფარი. მუდმივი ადგილი არ არ აქვს შემჩნეული და სწავლებაში გამოუყენებელია ტექნიკური საშუალებანი (კინო, საპროექციო აპარატები). დაზიანების გამო ხმარებიდან გამოსულია უნივერსალური ელექტრული დგარი. მაგნიტოფონი, ტელევიზორი და სხვა. მოუგვარებელია ხელსაწყოთა ზუსტი აღრიცხვა საკატალოგო წიგნის მიხედვით, ხოლო არსებული ხელსაწყო-იარაღები და სასწავლო მოწყობილობანი კარადებში არ არის განლაგებული ფიზიკის დარგების მიხედვით.

დაბალ დონეზე იქნა გადაცემული ახალი მასალა — „ღუღილი“ VII კლასში და „ელექტრომაგნიტური ძალები“ — VIII კლასში. იმის გამო,რომ IX და X კლასის არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა საშინაო დავალებად მიცემული მასალა — „კაპილარული მოვლენები“ (IX კლ.), „თანამედროვე რადიოკავშირის პრინციპი, ამპლიტუდური მოდულაცია“ (X კლ.), აღნიშნულ კლასებში ახალი მასალა არ გადაიცა.

მასწავლებელი ი. კაგოშვილი გაკვეთილზე სწორად ვერ ანაწილებს დროს. იგი მოსწავლეთა გამოკითხვას დიდ დროს ანდომებს, ხოლო დარჩენილ 10-12 წუთში ვერ ასწრებს ახალი მასალის ახსნას. იგი, საერთოდ, არ ატარებს მოსწავლეთა 10—15 წუთიან დამოუკიდებელ სამუშაოს. სრულიად უვარგისია მოსწავლეთა საკლასო-საშინაო დავალების რვეულები. ყდაშემოგლეჯილ ფიზიკის საკლასო-საშინაო დავალების რვეულებში (რაც სხვა საგნებისათვისაც გამოიყენება), აღსაზრდელებს სულ 7-8 მარტივი ამოცანა აქვთ ამოხსნილი. იგი არ ასწორებს რვეულებს და არც რაიმე მითითებებს აძლევს, მოსწავლეებს დამვებული შეცდომებისა ხასიათის შესახებ.

VI—X კლასელი მოსწავლეები მეტად დაბალ მომზადებას ამჟღავნებენ განვლილი მასალის ცოდნაში მაგალითად, მეშვიდეკლასელმა მოსწავლეებმა არ იციან, რა არის დნობა, ორთქლადქცევა და კრისტალიზაცია, რას ეწოდება ენერგია, სითბო, რა არის მათი საზომი ერთეულები და სხვ. მერვეკლასელებმა არ იციან, რას წარმოადგენს სხეულის მასა, წონა, მათი ერთეულები. ვერ გაამარტივეს ნიუტონის კანონი და ა. შ. ანალოგიური მდგომარეობაა მეცხრე კლასში, ამ კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ სითხის ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტის შესახებ, მას საზომ ერთეულებზე დამასველებელ და არადამასველებელ სითხეებზე, ტემპერატურის აბსოლუტურ და ცელსიუსის სკალაზე. არ იციან იდეალური გაზის განმარტება, მის შესახებ თუნდაც რომელიმე კანონი და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეათეკლასელ მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე ფიზიკაში. მათ, საერთოდ, წარმოდგენა არ აქვთ ფიზიკის ძირითადი ცნებებისა და დებულებების შესახებ. არცერთმა მათგანმა ელემენტალური საკითხებიც კი არ იცის განვლილ მასალიდან.

ფიზიკაში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები, რადგან სკოლა-ინტერნატში არა აქვთ ხელსაწყო-იარაღების სათანადო კომპლექტები და არც არავინ ზრუნავს მათი შეძენისათვის,

სკოლა-ინტერნატში ფიზიკის სწავლების ასეთი დონის პირობებში, რაღა თქმა უნდა, საკვლევით გამორიცხულია ამ საგნის ფართო შესაძლებლობანი მოსწავლეთა მეცნიერული მსოფლმხედველობით შეიარაღების საქმეში.

მიუხედავად ფიზიკის სწავლებაში შექმნილი ასეთი საგანგაშო მდგომარეობისა, სკოლა-ინტერნატის დირექციას აოავითარი ზომები არ მიუღია მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია VII კლასში (მასწ. ა. ღვინაშვილი). მოსწავლეთა უმრავლესობამ იცოდა გაკვეთილი „ქიმიური ფორმულები და მოლეკულური წონა". ისინი სწორად პასუხობდნენ კითხვებზე: „რა არის ქიმიური ელემენტი", „როგორ ორ ჯგუფად იყოფა ქიმიური ელემენტები", „რას ეწოდება ქიმიური ფორმულა", „რას ეწოდება მოლეკულური წონა" და სხვა. დამაკმაყოფილებლად სათანადო ცდების გამოყენებით გადასცა მასწავლე-

ბელმა ახალი მასალაც — „ნივთიერებათა მასის მუდმივობის კანონი.

მიუხედავად ამისა, მასწავლებელ ა. ღვინაშვილის მუშაობაში შეინიშნება გარკვეული ხარვეზებიც. ასე მაგალითად, იგი არ აკონტროლებს მოსწავლეთა საშინაო დავალების რეჟიმებს, არ ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებს და სხვა.

დაბალია X კლ. მოსწავლეთა მომზადების დონე ქიმიაში (მასწ. გ. გეთიაშვილი). ჭართალია, აღნიშნულ კლასში მასწავლებელი ქიმიას ასწავლის მიმდინარე სასწავლო წლის 14 სექტემბრიდან, მაგრამ მისმა მუშაობამ არ დატოვა კარგი შთაბეჭდილება. მაგალითად, ახალი მასლის—„სტიროლი" გადაცემისას მან არ ისაუბრა პოლიმერიზაციის რეაქციის მექანიზმზე და ვერც ახალი მასალის განმტკიცება მოასწრო. იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამოცანების ამოხსნაზე მოსწავლეების ვარჯიშს, არ აწარმოებს კონტროლს საშინაო დავალების შესრულებაზე და სხვა

სკოლა-ინტერნატში ქიმიის მასწავლებლების არადამაკმაყოფილებელ მუშაობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქიმიის კაბინეტის მდგომარეობა არ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას. იქ არ არის მოწყობილი დაბნელება და სწავლებაში არ გამოიყენება ტექნიკური საშუალებანი, არ აქვთ ამწოვი კარადა. საერთოდ, კაბინეტი ღარიბია ქიმიური რეაქტივებითა და ხელსაწყოებით, კაბინეტს აკლია ქიმიის მასწავლებლების მზრუნველი ხელი.

ჩაშლილია მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობა ქიმიაში. სკოლაში ქიმიის წრე, მასწავლებელ ა. ღვინაშვილის დირექტორთან უპირისპირო კონკლაობის გამო, არ არსებობს. ეს მაშინ, როდესაც მოსწავლეთა კონტინგენტის თავისებურების გამო წრეობრივ მუშაობას ქიმიაში და იქ ათეისტურ პროპაგანდას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს.

ა. ღვინაშვილმა ასევე თავისი სურვილით მიატოვა ქიმიის კაბინეტის გამგეობა და ამჟამად (რადგან მეორე მასწავლებელი მუშაობს შეთავსებით) სკოლის დირექტორს ქიმიის კაბინეტის გამგედ დაუნიშნავს ლაბორანტი ნ. ძირკველაშვილი, რომელსაც 1964 წ. დამთავრებული აქვს პიონერ-მუშაკთა რესპუბლიკური სკოლა (91)

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება სკოლა-ინტერნატში ბიოლოგიის სწავლება (მასწ. ს. თევდორაშვილი).

V კლასის მოსწავლეების ცოდნა ბოტანიკაში არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას, მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე მოსწავლეები დამაჯერებლად პასუხობენ; მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ, მართალია, მასწავლებელი ატარებს სადემონსტრაციო ცდებს (ჰაერის შედგენილობის ცვლა თესლის სუნთქვის დროს), მაგრამ, ვინაიდან იგი წინასწარ არ ემზადება ცდებისათვის, ცდის შედეგები არ ტოვებენ მოსწავლეებზე დამაჯერებელ შთაბეჭდილებას.

მასწავლებელი ასრულებს განათლების სამინისტროს მითითებას ბიოლოგიაში მეოთხედში ერთხელ საკონტროლო წერის ჩატარების შესახებ, მაგრამ წერით ნამუშევრებს ასწორებს ზერელედ და აფასებს ძალზე ლიბერალურად. ასე მაგალითად, X კლასის მოსწავლე შ. საგანელაშვილის საკონტროლო წერითი ნამუშევარი შეფასებულია დამაკმაყოფილებლად, რეცენზიაში კი მასწავლებელი წერს: „თემა სიტყვა-სიტყვით წიგნიდან არის გადაწერილი“ (?!...)

ბიოლოგიის კაბინეტი საერთოდ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას, მაგრამ იგი არ არის აღჭურვილი სწავლების ტექნიკური საშუალებებით, რაც საკმაოდ აძნელებს ბიოლოგიის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე სწავლებას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკაში სკოლების დასახმარებლად ტარდება ტელეგადაცემები. ბიოლოგიაში ტელეგადაცემების მიღებისა და სწავლებაში გამოყენების თვალსაზრისით აქ არაფერი კეთდება.

სკოლა-ინტერნატის ბიოლოგიის მასწავლებელი ნაკლებად მუშაობს თავისი თეორიული დონისა და პროფესიული ოსტატობის ასამაღლებლად და, სამწუხაროდ, სკოლა-ინტერნატის დირექცია ამ მხრივ ნაკლებ კონტროლს და დახმარებას უწევს მას.

მთელი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება აღმზრდელობითი მუშაობა. აღსაზრდელები საფუძვლიანად არ არიან გაცნობილნი „მოსწავლეთა შინაგანაწესს“. აღმზრდელები სისტემატურად არ მოითხოვენ მოსწავლეებისაგან შინაგანაწესით დადგენილი წესების უთუოდ შესრულებას, რის გამოც სკოლა-ინტერნატის საძინებელ კორპუსში უსუფთაობაა, საწოლ ოთახებში კარადები და ტუმბოები არადანიშნულებისამებრაა გამოყენებული, საწოლების გადასაფარებლები ჭუჭყიანი და დალაქულია, ზეწრები გაუბერტყავი. ამ მხრივ გამოირჩევა I, II და IV სააღმზრდელო ჯგუფები (აღმზრდე-

ლები: ნ. მთავრიშვილი, ვ. ბაღაშვილი, ნ. სოლოღაშვილი, ი. ქიტრ-
შვილი და მ. ღიაზაშვილი).

ეროვნული

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა V სააღმზრდელოში (აღმზრდელები ა. ღვინაშვილი და ელ. ფროდიაშვილი), სადაც დაბინძურებულ ლეიბებზე ზეწრები გადაუფარებიათ, ხოლო ლეიბების ქვეშ აღმოჩნდა ჭუჭყიანი რეიტუზები, საცვლები, ფორმის შარვლები, პურის ნაჭრები, ჭუჭყიანი წინდები და სხვა.

აღმზრდელები ა. ღვინაშვილი და ელ. ფროდიაშვილი ნაკლებად ზრუნავენ აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმთვითმმართველობის უნარ-ჩვევებს.

ჯობესებისათვის, არ უნერგავენ მათ შრომისადმი სიყვარულისა და

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ა. ღვინაშვილის მუშაობაზე უდაოდ უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ მას და დირექტორს, ამხ. ს. ანჯაფარიძეს შორის მეტად დაძაბული ურთიერთობაა. ა. ღვინაშვილმა რამდენჯერმე მიმართა განცხადებით განათლების სამინისტროს, თითქოს დირექტორი ავიწროებდეს მას, სალანძღავი სიტყვებით მიმართავდეს კოლეგების თანდასწრებით და სხვა. საკითხის ადგილზე შესასწავლად კეკრეთში სხვადასხვა დროს ორჯერ იქნა მივლინებული სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მეთოდური კაბინეტის თანამშრომლები შ. ლასხიშვილი და თ. ადამაძე, რომლებიც ადგილზე დეტალურად გაეცნენ საქმის ვითარებას, გაესაუბრნენ პედაგოგიური კოლექტივის წევრებს, პარტიული ორგანიზაციის მდივანსა და პროფორგანიზაციის თავმჯდომარეს, რომლებიც ერთხმად უარყოფენ დირექტორის მიერ ა. ღვინაშვილის შევიწროების ფაქტს. მართლაც, ა. ღვინაშვილს 1962 წლიდან 1970 წლის 1 სექტემბრამდე ჰქონდა აღმზრდელის ერთი განაკვეთი და 11 საათი ქიმიაში, 1971—1972 სასწავლო წელს ძირითად სამუშაოსთან ერთად ქიმიაში 7 საათი, მიმდინარე სასწავლო წელს დამატებით ქიმიის საათები აქვს VII და VIII კლასებში (4 საათი). ვფიქრობთ, გაანხეთქილების ძირითადი მიზეზი დირექტორსა და ამ აღმზრდელს შორის უნდა იყოს ის, რომ 1970—1971 სასწავლო წლის დასაწყისისათვის გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგის განკარგულებით ა. ღვინაშვილს ჩამოერთვა ნაწილი საათებისა ქიმიაში (4 საათი) და გადაეცა ბიოლოგიის მასწავლებელ ს. თევდორაშვილს (მანამდე არ უსწავლებია ეს საგანი), რომელსაც ბიოლოგიის საათების სიმცირის გამო ქიმიის საათებით შეუვსია განაკვეთი. რა თქმა უნდა, ეს არასწორი გადაწყვეტილე-

ბა იყო, ვინაიდან ს. თევდორაშვილისათვის გადაცემულ კლასებში გაუარესდა ამ საგნის სწავლება. ცხადია, მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტისა, ა. ღვინაშვილს უფლება არ უნდა მიეცა [illegible] თავისათვის, დაპირისპირებოდა დირექტორს და არ შეესრულებინა მისი განკარგულებები. როგორც დირექტორის მოადგილის სასწავლო შუშაობის დარგში ქ. ცერცვაძის, აღმზრდელობით დარგში შ. ჯაფარიძის, პარტორგანიზაციის მდივნის ვ. ამაღლობელისა და სხვა პედაგოგების მოხსენებითი ბარათებიდან ირკვევა, ა. ღვინაშვილი ხშირად არ ასრულებს დირექტორისა და მისი მოადგილეების განკარგულებას, თვითნებობს, უმიზეზოდ აცდენს გაკვეთილებს. მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, 1973—1974 სასწავლო წელს ქიმიის კაბინეტში არ ატარებდა გაკვეთილებს. მიმდინარე წლის დასაწყისში უარი განაცხადა ჩაეტარებინა გაკვეთილები IX—X კლასებში, რის გამოც მოსწავლეებს გაუცდათ გაკვეთილები, არ შეასრულა აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის, შ. ჯაფარიძის განკარგულებაც სააღმზრდელო ჯგუფის საძინებელი ოთახების წესრიგში მოყვანის შესახებ და ა. შ. არ გამოვრიცხავთ, რომ ასეთი ურთიერთობის დროს დირექტორმა შეიძლება მართლაც მიმართა მას უხეშად (თუმცა ამის დამტკიცება ვერ შეძელით), ამიტომ სკოლა-ინტერნატის დირექტორი ს. ანჯაფარიძე გამოძახებულ იქნა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსთან, რომელმაც მკაცრად გააფრთხილა იგი, რათა მასწავლებლებთან და აღმზრდელებთან ურთიერთობაში არ დაუშვას უხეშობისა და უტაქტობის გამოვლინებები. მიუხედავად ამისა, ა. ღვინაშვილი თავს არ ანებებს ჩივილსა და განათლების სამინისტროში განცხადებების გზავნას.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე VII—IX—X სააღმზრდელო ჯგუფებში, (აღმზრდელები მ. გიოშვილი, ნ. ხარაზიშვილი, ნ. ჯიქურაშვილი, ქ. ღირსიაშვილი), სადაც ლეიბების ქვეშ აღმოჩნდა პურის ნატეხები, ნიორი, წიწაკა, რეზინის შვილდები (რაგატკები) უამრავი დაგრეხილი ქაღალდი, რასაც სასროლად იყენებდნენ. აღნიშნული მდგომარეობა კი დაკისრებული მოვალეობისადმი აღმზრდელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით აიხსნება.

აღმზრდელთა მერთხედური გეგმები არ გამომდინარეობს სკოლა-ინტერნატის წლიური სამუშაო გეგმიდან და არ არის დამტკიცებული დირექტორის მიერ. საკითხები არ არის დაკონკრეტებული

დ. მის შესრულებაზე ორივე აღმზრდელი არ არის პასუხისმგებელი, ამიტომ გეგმით გათვალისწინებული საკითხები ხშირად არ სრულდება. მაგალითად V სააღმზრდელო ჯგუფის (ა. ღვინაშვილი და ელ. ფროდნაშვილი) გეგმის მიხედვით აღმზრდელები 19/XI უნდა დასწრებოდნენ ქართულისა და მათემატიკის გაკვეთილებს, 12/IX უნდა მოეწვიათ საერთო კრება „I მეოთხედის შედეგებისა და II მეოთხედის ამოცანების“ შესახებ, მაგრამ არცერთი ეს საკითხი არ შესრულებულა. III სააღმზრდელო ჯგუფის აღმზრდელები ნ. დოიაშვილი და გ. გიოშვილი I მეოთხედის გეგმის მიხედვით ყოველ სამშაბათს უნდა დასწრებოდნენ გაკვეთილებს, მაგრამ ეს ერთხელაც არ გაუკეთებიათ, მათ სააღმზრდელო გეგმაში არ არის აგრეთვე შეტანილი საკითხები აღმზრდელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შესახებ.

აღსაზრდელების საქმიანობაზე დაკვირვება ძალზე ზერელეა. მაგალითად: სკოლა-ინტერნატში არ ხდება პასუხისმგებელი მორიგე აღმზრდელის ყოველდღიური შემოვლის შედეგების აღრიცხვა ჟურნალში.

აღმზრდელები: გ. გიოშვილი, დ. მექერიშვილი, ნ. ჯიქურაშვილი დღის მეორე ნახევარში თვითმომზადების დროს სათანადო დახმარებას ვერ უწევენ აღსაზრდელებს, ყურადღებას არ აქცევენ აღსაზრდელთა მიერ საკლასო-საშინაო დავალების რეჟიმის წარმოებას. გამოცდილების განზოგადების მიზნით არ ესწრებიან ერთმანეთს თვითმომზადებაზე და სხვა.

სკოლა-ინტერნატში შექმნილია აღმზრდელთა და კლასის ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანება, მაგრამ მეთოდგაერთიანებაზე წაკითხული ორივე მოხსენება ძალზე სუსტია. არადამაკმაყოფილებლად არის გაფორმებული სხდომის ოქმებიც. ძალზე სუსტად მუშაობს უფროსი აღმზრდელი ამხ. შ. ჯაფარიძე. იგი საჭირო კონტროლსა და ხელმძღვანელობას ვერ უწევს აღმზრდელებს. შემოწმების დღეს მას აღმზრდელთა მეოთხედური გეგმები დამტკიცებულიც არ ჰქონდა. იგი არცერთჯერ არ დასწრებია თვითმომზადებას. აღმზრდელების ყოველდღიურ გეგმებში არ ჩანს მისი მეთოდური დახმარებისა და კონტროლის კვალი. შ. ჯაფარიძეს არ მოეპოვება შემოწმების არცერთი მასალა სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, დღის I ნახევარში აღსაზრდელთა გაკვეთილებზე დასწრების, საშინაო დავალების დოზირებისა და შესრულების, კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა მეთოდგაერთიანების გეგმების განხილვის, დამუშავებული მასალის ანალიზისა და სხვათა შესახებ.

აქვე არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, რომ აღმზრდელები თითქმის არ ატარებენ საუბრებს თავიანთ აღსაზრდელებთან პარტიის XXIV ყრილობის გადწყვეტილებათა შესახებ საბჭოთა ხალხის, თვით თანასოფლელთა მიერ გაწეული შრომის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკისა და სხვათა შესახებ.

სკოლა-ინტერნატში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში. არავითარი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა აღზრდას საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე. ამ მიმართებით სკოლის არც პიონერულ და არც კომკავშირულ ორგანიზაციას დღემდე შედგენილი არ აქვს ფამისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სამუშაო გეგმა. სკოლა-ინტერნატში არ არის მოწყობილი საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო, ან შრომითი დიდების მუზეუმი, კუთხე ან სტენდი. ასევე კეთილმოუწყობელია პიონერთა ოთახი, სადაც მოთავსებული კუთხეები და სტენდები არაფერსმომცველია.

სკოლა-ინტერნატის კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებში მოუწესრიგებელია გეგმიანობა. გეგმები, რაც ამჟამად აქვთ, შედგენილია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურების გაუთვალისწინებლად. რაზმისა და კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმები, საერთოდ არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ აღმზრდელი და ჯგუფის ხელმძღვანელი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში. ეს ნათლად ჩანს პიონერული რაზმების ალბომებში მოთავსებულ პიონერთა ჩანაწერებიდანაც.

არ ექცევა ყურადღება პიონერული და კომკავშირული დავალებების განაწილებას, მისი შესრულების შემოწმებას, ამ მიმართებით მოსწავლეთა წახალისებასა და დაინტერესებას.

კომკავშირის კომიტეტთან შექმნილია 5 სექტორი, მაგრამ არცერთ სექტორს არ გააჩნია სამუშაო გეგმა. სექტორების მიხედვით არ ტარდება კონკრეტული მუშაობა. ასეთივე შთაბეჭდილებას ტოვებს სკოლის კომკავშირის კომიტეტის მუშაობა, რომელიც, წლიური პერსპექტიული სამუშაო გეგმის გარდა, არ ადგენს არავითარ სამუშაო გეგმას.

კომკავშირის კომიტეტი სათანადო ყურადღებას არ უთმობს მოსწავლეთა მომზადებას სასაკავშირო ალკა რიგებში მისაღებად. არ არის შედგენილი მათი მომზადების კონკრეტული გეგმა.

სკოლა-ინტერნატის არცერთი პიონერული რაზმი არ ატარებს და არ იბრძვის საპატიო სახელის მოსაპოვებლად. კლასის ხელმძღვანელობისა და აღმზრდელების სამუშაო გეგმებში არცერთი საკითხი არ ეხება პიონერულ და კომკავშირულ საქმიანობას.

სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მასწავლებელთა მეთოდური მუშაობა. მეთოდგაერთიანების გეგმები ზოგადია. მასწავლებლები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, გაკვეთილზე არ ესწრებიან ერთმანეთს, თავს არიდებენ მასწავლებელთა დახელოვნების კურსების გავლას, მაგალითად, სკოლაში 42 მასწავლებლიდან და აღმზრდელიდან დახელოვნების კურსები საერთოდ არ გაუვლია 18 მასწავლებელსა და აღმზრდელს. მათ შორის რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებლებსა და აღმზრდელებს. არიან ისეთი მასწავლებლებიც და აღმზრდელები, რომლებსაც 1962, 1963 ან 1965 წლებს შემდეგ არ გაუვლიათ მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

დაბალ დონეზე დგას მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქართული ენის და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ფიზიკის საგნობრივი წრეები. წრეებში ერთად არიან გაერთიანებული V—X კლასის მოსწავლეები. სამუშაო გეგმებში შეტანილ საკითხები ზოგადია და არ ითვალისწინებ პრაქტიკული ხასიათის სამუშაოების შესრულებას. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ქიმიის ორი მასწავლებელი მუშაობს, ქიმიის წრე არ არსებობს და არც არაფერი კეთდება იმ მიმართებით, რომ მოსწავლეებში აღიძრას ქიმიის შესწავლისადმი სიყვარული.

მაშინ როდესაც მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია დაბალ დონეზე ისწავლება. სკოლის დირექციას VIII. IX, X კლასებში შემოუღია ფაკულტატიური მეცადინეობა, რისთვისაც არავითარი საფუძველი არ არსებობს, რადგან აღნიშნულ კლასებში მოსწავლეებმა სავალდებულო საპროგრამო მასალის ელემენტარული საკითხებიც კი არ იციან. თვით ამ საგნების მასწავლებლებიც ვერ ფლობენ დამაკმაყოფილებლად თავიანთ საგანსა და ამდენად ფაკულტატიური კურსის სწავლების შემოღება ფორმალურ ხასიათს ატარებს. იგი

მხოლოდ მასწავლებლების დატვირთვის გაზრდის მიზნით არის კეკეთებული, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სკოლა-ინტერნატის გაკეთილების ცხრილი. იგი მეთოდური და პედაგოგიური თვალსაზრისით დაბალ დონეზეა შედგენილი, რაც ხელს უშლის პედაგოგიური პროცესის ნორმალურად წარმართვას.

სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებელ დონეზეა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურება.

სკოლა-ინტერნატის საძინებელ კორპუსში, საწოლ ოთახებში კედლებზე, ზოგან გაჯია ჩამოცვენილი. მეორე სართულზე, საწოლზე წყალი ჩამოდის და რამდენიმე ადგილას პარკეტია ამოყრილი, ზოგან ფანჯარა კარგად არ იკეტება, ზოგიერთა მინები აკლია. ოთახებში თრაპეზეები არ არის დაყენებული, ამიტომ ჭუჭყიანი ქვეშაგების სუნი დგას. როგორც ჩანს, საწოლ ოთახებს იშვიათად ანიავებენ. საწოლებზე გადაფარებულია დალაქავებული, ჭუჭყიანი ბაიკის საბანები. ფანჯრებს არ აქვს წესიერი კარნიზები და ფარდები. მართალია, საწოლ ოთახში დგას კარადა და ტუმბოები, მაგრამ ბევრ აღსაზრდელს სხვადასხვა ნივთები ლეიბების ქვეშ ჰქონდა შენახული.

სამედიცინო კაბინეტი და იზოლატორის ორი ოთახი მოთავსებულია საძინებელ კორპუსში, რომელსაც არც წყალი აქვს და არც საპირფარეშო. სამედიცინო კაბინეტში სივიწროვეა. არადამაკმაყოფილებლად არის გაფორმებული აღსაზრდელთა სამედიცინო დოკუმენტაცია (აკლდა ფორმა № 26, რომელიც ყველა აღსაზრდელს აქვს). მაგალითად, აღსაზრდელთა ანტროპომეტრია და ექიმის შემოწმება წელიწადში ტარდება მხოლოდ ერთხელ, ნაცვლად ორისა. მოუწესრიგებელი და ჭუჭყიანია საძინებელი კორპუსის სარდაფში მოთავსებული აბანო.

რეცხვის ხარისხი ძალიან ცუდია. ცხელ წყალს ეზიდებიან ვედროებით საქვაბიდან. რადგან ცხელი წყალი არ მიდის სამრეცხაოში, დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდათ სარეცხი ფხვნილი, ამიტომ რეცხვის ხარისხი ძალზე დაბალია. ჭუჭყიანი თეთრეულისათვის არ აქვთ გამოყოფილი ცალკე ოთახი და იგი სუფთა თეთრეულთან ერთად არის შენახული. არც სარეცხის დაუთოების ხარისხია დამაკმაყოფილებელი.

არადამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს სასადილო-სამზარეულო. სამზარეულოში ჭერი და კედლები გაშავებულია. ბევრ

ადგილას ობობას ქსელია. ჭურჭლის დასაწყობი ნესტისაგან გაშავებული ქვაბები და თაროები გაჭონილია და ცუდადაა გაწმენდილი. თეფშები და ლამბაქები ამოტეხილია და ყველა შესაცვლელია. არა აქვთ ჭურჭლის გასაწმენდი სამუალებები (ნედე, მდოგვი, სოდა, საპონი). იატაკს გვიან ეზოს დასაგველი ცოცხებით. და ა. შ.

არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა კვება. მაგალითად, 19 ნოემბერს მეორე საუზმეზე, 50—65 გრ. ერბოკვერცხის ნაცვლად, ერთ ბავშვზე — 15—20 გრ. გასცეს, 20 ნოემბერს კი ნორმალურად — 50 —60 გრ.

ყოველდღიურად წარმოებს კალორაჟის გამოთვლა. საშუალოდ ერთ ბავშვზე 3.300 კალორია მოდის, რაც სრულიად საკმარისია, თუ ყველა გამოწერილი პროდუქტი აღსაზრდელებამდე მივა.

ნაკლოვანებებია სასაწყობო მეურნეობაში; საწყობის გამგის ლ. ქოტიშვილისა და და შეფ-მზარეულის თანდასწრებით გადაწონილ იქნა ყველა სახის კვების პროდუქტი. მენიუს მიხედვით გაწერილი პროდუქტებიდან სასადილოში დააკლდა 200 გრ. კანფეტი და 100 გრ. ზეთი. აღსანიშნავია, რომ მენიუში მხოლოდ პროდუქტებით ხდება გაწერა და არათანხმობრივად, ამიტომ გაურკვეველია, ყოველდღიურად რა თანხის პროდუქტი დაიხარჯა თითოეულ ბავშვზე.

რადგან სკოლა-ინტერნატის ბუღალტერი ავადმყოფობის მიზეზით სახლში წავიდა, მოანგარიშის დახმარებით დაანგარიშებულ იქნა 19 ნოემბერს გაწერილი მენიუ და აღმოჩნდა, რომ თითოეულ ბავშვზე გაწერილი იყო 78 კაპ. პროდუქტი, ნაცვლად 94 კაპ., ე. ი. 16 კაპიკით ნაკლები გათვალისწინებულ ნორმასთან შედარებით. სამწუხაროდ არ ხერხდება დანარჩენი მენიუების შემოწმებაც, რადგან ოქტომბრის და ნოემბრის თვეების მენიუებს არ ჰქონდა თანხები გამოყვანილი.

ქაოტური მდგომარეობაა შექმნილი თეთრეულის საწყობში (საწყობის გამგე ზ. რაქვიაშვილი). არსებულ ხუთ სათავსოში ჩაყრილია ყველა სახის ტანსაცმელი და თეთრეული. აღწერის შედეგად დიდი განსხვავება აღმოჩნდა თეთრეულში (იხ. დანართი 1).

ხმარებაში მქონე თეთრეულის საწყობში ორელი ტანსაცმლის ღვერდით ეწყო იარლიყებიანი ტანსაცმელი. ამავე დროს მოუგვარებელია საწყობიდან საალმზრდელო ჯგუფებში ახალი ტანსაცმლის გაცემა და სხვა.

სკოლის დირექტორს ამბ. ს. ანჯაფარიძეს სწორად არა აქვს განაწილებული ფუნქციები თეთრეულის საწყობის გამგესა და აღმზრდელებს შორის მატერიალურ პასუხისმგებლობაზე.

აღსანიშნავია, რომ თეთრეულის საწყობის გამგემ ზ. რაქვიაშვილმა უპასუხისმგებლოდ მიატოვა სკოლა-ინტერნატი და შემოწმების აქტზე ხელი არ მოაწერა; პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მისი მოყვანა ვერ შეძელით.

კაჭრეთის სკოლა-ინტერნატის სამეურნეო დარგში არსებული მთელი რიგი დარღვევების შესწავლის მიზნით საჭიროა აქ ჩატარდეს დოკუმენტური რევიზია.

სკოლა-ინტერნატის დირექტორი ს. ანჯაფარიძე და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ქ. ცერცვაძე არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. მათ სისტემატური კონტროლი არა აქვთ დაწესებული მასწავლებლებისა და აღმზრდელების მუშაობაზე. სწორედ ამით აიხსნება, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, არ ზრუნავს თავისი თეორიული და პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის, სწავლებაში ახალი ხერხებისა და მეთოდების დანერგვისათვის, თვალსაჩინოების, ტექნიკური საშუალებების გამოყენებისათვის. დირექციის არასაკმაო კონტროლით აიხსნება აგრეთვე, ის რომსისტემატურად არ წარმოებს საკონტროლო ნაწერების გასწორება და მისი შედეგების გაანალიზება.

მართალია, დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში სისტემატურად ესწრებიან გაკვეთილებს (შემოწმების დღისათვის დირექტორს მოსმენილი ჰქონდა 43, ხოლო დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში — 65 გაკვეთილი), საფუძვლიანადაც აანალიზებენ მათ და მასწავლებლებს აძლევენ სწორ მეთოდურ მითითებებს, მაგრამ ეს არის და ეს, ამით ამოიწურება ყველაფერი, არც დირექტორი და არც მისი მოადგილე სისტემატურად არ აკონტროლებენ მასწავლებლებს, თუ როგორ ასრულებენ, პრაქტიკულად ახორციელებენ ისინი მათ მითითებებს. ასეთივე მდგომარეობაა სამეურნეო მუშაობაშიც.

გ. ჯავახიძე (ხელმძღვანელი)

ც. ჩიტიშვილი

თ. ხურცილავა

თ. ადამაძე

ვ. მელაძე

ნ. ბარკალაია

ე. სურგულაძე

მ. არობელიძე

(დასართი № 1)

კაჭრეთის სკოლა-ინტერნატის ხმარებაში მყონე თეთრეულისა და ტანსაცმლის საწყობში აღწერის შედეგები (1974 წ. 19/XI შერჩევითი წესით)

თეთრეულის საწყობის გამგე ზ. რაქვიაშვილი

№ რიგზე	მატერიალურ ფასეულობის დასახელება	ფაქტიური აღწერით	საბუღ. ჩანაწ.	აღმოჩნდა მეტი	აღმოჩნდა ნაკლ.	ღირებ.	მეტი	ნაკლები	შენიშვნა
1	შალითა საბნის . . .	1134	1107	27		9	243		
2	ზეწარი	971	931	40		3—45	138		
3	ბალიშისპირი	936	955		19	1—15		21—85	
4	პერსამერდი ვაფლის	1010	1052		42	1—12		47—04	
5	პეტარეგი დ ის—კაბ.	1116	1117		1	4—72		4—72	
6	ვაფის ფორმ	345	345						
7	პალტო	343	341	2		2—10	42—20		
8	კაბა ხავერდის . .	41	42		1	6—90		6—90	
9	კაბა ფორმ. ს-გოგონასი	89	88	1		11—92	11—92		
10	წინსაფარი ფორმის .	81	82			4—48		4—48	
11	პირსახ. აბანოსი დ/ზ.	178							
12	პირსახ. აბანოსი პ/ზ.	146	324						
13	შარვალი—შალის . .	287	289		2	5—40		10—80	
						სულ თანხით . . .	435[12]	95—79	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს
1975 წლის 20 იანვრის ბრძანება № 36

ქ. თბილისის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, წითელწყაროსა და მაიაკოვსკის რაიონების ზოგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც შემოწმებამ ცხადყო, უკანასკნელ ხანებში ერთგვარად გაუმჯობესდა სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მათი ქსელისა და დასაჯდომი ადგილების გაფართოებით.

მაიაკოვსკის რაიონის 15 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გაიხსნა ბუფეტი, მათ შორის 4 სკოლაში — სასადილო; გეგეჭკორის რაიონის 19 საშუალო და 4 რვაწლიან სკოლაში მოეწყო ბუფეტი, ამასთან გეგეჭკორის 1-ლ საშუალო სკოლაში ექსპლოატაციაში შევიდა პავილიონი, რომელიც ცალკე აშენდა სკოლის ეზოში, ხოლო ნაგვაზაოს საშუალო სკოლის შენობას სპეციალურად ბუფეტისათვის მიუშენდა დამხმარე ნაგებობა; შედარებით კეთილმოწყობილი სათავსოები გამოიყო ცხაკაიას რაიონის ზანის, უშაფათის, ლეგოგიეს, ცხაკაიას 1-ლი, 1 მაისის საშუალო და ცხაკაიას რვაწლიანი სკოლების ბუფეტებისათვის.

გაიზარდა დასაჯდომი ადგილების რაოდენობა თბილისის მე-12, 87-ე, 88-ე, 89-ე, 124-ე, 79-ე, 39-ე, 65-ე, 154-ე საშუალო სკოლების ბუფეტებში.

ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები ძალ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა კვების გაუმჯობესების საკითხებს. სპეციალურად იმსჯელეს განათლების საბჭოს სხდომებზე მოსწავლეთა კვების მდგომარეობის შესახებ ცხაკაიას, გეგეჭკორის, მაიაკოვსკის, წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებმა.

მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლებსა და საზოგადოებრივი კვების სისტემის ორგანიზაციებს მოსწავლეთა კვების მოგვარების, სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობაში გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ნელი ტემპით მიმდინარეობს მოქმედ სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში დასაჯდომი ადგილების ზრდა.

გეგეჭკორის რაიონის 11 საშუალო და 18 რვაწლიან სკოლაში დღემდე არ არის გახსნილი არც ბუფეტი და არც სასადილო, ამასთან ვედიდკარის საშუალო სკოლიში ბუფეტისათვის განკუთვნილი სათავსო შრომის კაბინეტად არის გამოყენებული.

შეუფერებელ სათავსოებშია მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის II, წითელხევის, ობჩის I, მაიაკოვსკის, გეგეჭკორის მე-2, ინჩხურის, ცხაკაიას რაიონის ნოქალაქევის საშუალო და 8-წლიანი, კოტიანეთის საშუალო სკოლების ბუფეტები. რაიონის სკოლების ბუფეტებიდან თითქმის არც ერთს არა აქვს დამბმარე სათავსო პროდუქტების შესანახად.

მთელი რიგი სოფლის სკოლების დირექტორები არ იჩენენ საჭირო ინიციატივას მოსწავლეთა ცხელი კერძებით უზრუნველყოფის, ბუფეტებისა და სასადილოების აუცილებელი ტექნიკური დანადგარებით აღჭურვის, მათი სასკოლო კვების ასორტიმენტით მომარაგების საკითხში.

დღემდე ვერ გადაწყდა სოფლის სკოლების რძის ნაწარმით, კვერცხით, ყველით, ძეხვეულითა და წვრილად დაფასოებული პროდუქტებით, დოზირებული სოსისით, ბოსტნეულითა და ხილით მომარაგების საკითხი, არ წარმოებს სხვადასხვა ბუტერბროდების, ჩაისა და კაკაოს დამზადება.

სოფლის სკოლების ბუფეტებსა და სასადილოებში სისტემატურად იყიდება სხვადასხვა სახის კონსერვები, პომიდვრისა და კიტრის წნილები, ლიმონათი, მურაბები, ჩაი კოლოფებში, შოკოლადის ფილები.

ცხაკაიას რაიონის კოტიანეთის 8-წლიანი სკოლის ბუფეტში, რომლისთვისაც ეზოში პატარა ფარდულია აშენებული, შეზიდულია 300 ბოთლი ბორჯომი, ხოლო გეგეჭკორის მე-2 საშუალო სკოლის ბუფეტში—40 კგ პურის ფქვილი.

ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლის ბუფეტში უკვე რამდენიმე წელია პური არ შეაქვთ გასაყიდად, აქ ყველი და სხვა პროდუქტები

ფუნთუშასთან ერთად იყიდება; თბილისის 65-ე საშუალო სკოლის, ბუფეტში 25. XII მოღებული ვაშლი იმდენად უხარისხო იყო, რომ იგი მებუფეტემ უკანვე გააბრუნა.

ცხაკაიას რაიონის ნოქალაქევის საშუალო, ნოქალაქევის 8-წლიანი, კოტიანეთის რვაწლიანი, ცხაკაიას მე-3, ძველი სენაკის, გეგეჭკორის მე-2 ინჩხურის, დიდიჭყონის, სალხინოს, სერგიეთის საშუალო სკოლების დირექტორებმა დღემდე ვერ უზრუნველყვეს სასკოლო ბუფეტები და სასადილოები გამდინარე ცივი წყლით.

შემოწმებული რაიონების თითქმის არც ერთ სკოლას არა აქვს გამდინარე ცხელი წყალი, რის გამოც ყველგან დარღვეულია ჰურჭლის რეცხვის არსებული წესები.

მაკივრები და კარადები არა აქვთ ცხაკაიას რაიონის ნოქალაქევის 8-წლიან, კოტიანეთის 8-წლიან, ძველი სენაკის საშუალო, გეგეჭკორის რაიონის ინჩხურის, დიდიჭყონის, წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის საშუალო სკოლების ბუფეტებს. ნოქალაქევის 8-წლიანი სკოლის ბუფეტში დგას ნაყინის დასამზადებელი მოწყობილობა, რომელიც საერთოდ არ იხმარება.

გაზქურა არა დგას ვარციხის, ნოქალაქევის, ძველი სენაკის საშუალო და კოტიანეთის 8-წლიანი სკოლის ბუფეტებში.

ნაკლები ყურადღება ექცევა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას გეგეჭკორის მე-2, სალხინოს, ცხაკაიას მე-7, მაიაკოვსკის რ-ნის დიმის I საშუალო და ნოქალაქევის 8-წლიანი სკოლების ბუფეტებში.

შემოწმებულ რაიონებსა და ქალაქებში არაორგანიზებულად წარმოებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთა კვება, მოსწავლეები ყველგან სხვადასხვაფასიანი საუზმით იკვებებიან.

აღსანიშნავია, რომ გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეებიდან ცხელ საჭმელს მხოლოდ ისინი ღებულობენ, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან კვების ფულის გადასახადიდან, დანარჩენები კი თავიანთი სურვილის მიხედვით იკვებებიან. ასე მაგალითად: თბილისის 144-ე საშუალო სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფის 120 მოსწავლიდან ცხელ საჭმელს მხოლოდ 20 მოსწავლე ღებულობს. თბილისის 39-ე საშუალო სკოლის 40 მოსწავლიდან — 10 და ა. შ. გარდა იმისა, რომ კერძები უხარისხო და უგემურია, ისინი ძალზე ერთფეროვანია. ასე მაგალითად: მაიაკოვსკის რაიონის ბუფეტში გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეთათვის ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ხარჩო და კისელი მზა-

დდებოდა, თბილისის 144-ე საშუალო სკოლის ბუფეტში კი ეორი კვირაა განმავლობაში მხოლოდ ბურღულეული სუ.ი.

თბილისის 65-ე, 109-ე, 39-ე, გეგეჭკორის, მაიაკოვსკის, წითელწყაროსა და ცხაკაიას რაიონების სკოლებში პროდუქტი სისტემატურად დაგვიანებით, 11—12 საათისათვის შეაქვთ.

სასკოლო სასადილოებსა და ბუფეტებში ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების შერჩევის საკითხს. ხშირ შემთხვევაში მებუფეტეებად ინიშნებიან ისეთი პირები, რომელთაც არ ესმით ვაჭრობის წესები; მოუწესრიგებელია მათი სანიტარული წიგნაკები: ზოგს იგი სრულ.ით ა.ი გაჩნია. სანიტარული წიგნაკი არ აღმოაჩნდა თბილისის 39-ე, გეგეჭკორის მე-2, დიდიჭყონის, სალხინოსა და დიმის საშუალო სკოლების მებუფეტეებს. მოუწესრიგებელია თბილისის 144-ე, 65-ე, ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის, ცხაკაიას მე-7, მე-3 და ინჩხურის საშუალო სკოლის მებუფეტეების სანიტარული წიგნაკები.

სკოლის დირექტორები არ ახორციელებენ საჭირო კონტროლს სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობაზე.

სკოლებში ჯერ კიდევ ვერ დაინერგა აბონემენტებით ვაჭრობა, მშობელთა და მასწავლებელთა მორიგეობა, დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ორგანიზებული კვება საკლასო ოთახებში და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, წითელწყაროსა და მაიაკოვსკის რაიონ ის განათლ.ის განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ო. ფგაძემ, კ. შარტავამ, შ. ცანავამ, ნ. ბოსტოღანაშვილმა, დ. კვინიკაძემ):

ა) კონტროლი დააწესონ სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების ქსელის გაფართოების გეგმის შესრულებაზე და მათში დასაჯდომი ადგილების გაზრდაზე;

ბ) განათლების საბჭოს სხდომებზე სისტემატურად მოისმინონ სკოლის დირექტორების ანგარიშები სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის შესახებ;

გ) უზრუნველყონ სასკოლო ბუფეტები და სასადილოები შესაფერისი სათავსოებით, სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო დანადგარებით, გამდინარე ცივი და ცხელი წყლით;

დ) დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ბუფეტებისა და სასადილოებისათვის განკუთვნილი სათავსოები და გამოიყენონ ისინი მხოლოდ პირადი დანიშნულებით;

ე) დანერგონ პრაქტიკაში კვების აბონემენტებით ვაჭრობა.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) მიიღონ მკაცრი ზომები სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დასაცავად;

ბ) მოაწესრიგონ სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში მასწავლებელთა და მშობელთა მორიგეობა;

გ) მოაგვარონ დაწყებითი კლასის მოსწავლეთა კვების პროდუქტების კლასშივე მიტანა;

დ) სისტემატური კონტროლი დაუწესონ მებუფეტეთა მუშაობაზე, სამუშაოზე არ დაუშვან მუშაკები, რომელთაც მოწესრიგებული არა აქვთ სანიტარული წიგნაკები.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. გ. მეგრელიშვილს) და ცეკავშირის გამგეობას (ამხ. ს. შავიშვილს):

ა) უზრუნველყონ სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში პროდუქტების დროულად შეზიდვა;

ბ) შეწყვიტონ სასკოლო ბუფეტებში ისეთი პროდუქტების შეტანა, რაც არ შეესაბამება სასკოლო ბუფეტების ასორტიმენტს;

გ) დაავალონ საბჭვების სისტემის ორგანიზაციებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეთა კვების გაუმჯობესების საკითხს.

4. მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკს).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 9 იანვრის დადგენილება.

მინისტრის
მოადგილე

უ. ოგოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს
1975 წლის 20 იანვრის ბრძანება № 37

ვეჯინის საშუალო სკოლაში საზოგადოებრივი მორალის ნორმების უხეში დარღვევის შ ე ს ა ხ ებ

თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის შეუნელებელმა ბრძოლამ, პლენუმების გადაწყვეტილებებმა და სხვა ქმედითმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს რესპუბლიკის ცხოვრებისა და პარტიული და სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროში. შეიქმნა წარსულის გადმონაშთების, ანტისაზოგადოებრივი მორალური ნორმებისა და ცხოვრების ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ჯანსაღი ატმოსფერო.

განათლების სამინისტრომ და მისი სისტემის დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა. გასწიეს რის შედეგად რესპუბლიკის ბევრ სკოლაში საგრძნობლად ამაღლდა სწავლებისა და აღზრდის საქმე; უფრო მაღალ დონეზე ხორციელდება საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი და საყოველთაო საშუალო განათლების კანონი; შესამჩნევად მაღლდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე; ქმედითი ღონისძიებანი ტარდება ცხოვრებისათვის პრაქტიკულად მომზადების საქმის გასაუმჯობესებლად საგან-

გებო დონისძიებანი ხორციელდება ახალგაზრდობის იდეურ-მორალური აღზრდის შესაფარდებლად ახალ მოთხოვნილებებთან.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სკოლების მწირშენელობან ნაწილში არაა მიღწეული გარდატეხა — სკოლასა, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში წარსულის მავნე გადმონაშთების, ცხოვრების ნეგატიური მოვლენების, ჩვენი სოციალისტური კანონიერების ანტიპოდების, საზოგადოებრივი მორალის ნორმების დამრღვევების წინააღმდეგ ბრძოლა გეგმაზომიერ, ქმედით ხასიათს არ ატარებს, მეტიც, ცალკეულ სკოლებში კვლავ აქვს ადგილი ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს.

ამასწინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა გურჯაანის რაიონის ვეჯინის საშუალო სკოლის საკითხი და მიიღო სათანადო დადგენილება. გასული წლის ივლისში ვეჯინის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა შეკრიბეს ფული, შეიძინეს ფასიანი საჩუქრები (სუფრა, ლოგინის თეთრეულის კომპლექტი და სხვ.) და საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატზე გამოცდების დაწყებამდე ერთი დღით ადრე გადასცეს ისტორიის, ქიმიის და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს—ი. დიასამიძეს, ე. ზარდიაშვილსა და ე. ავალიშვილს. მიუხედავად ამისა, რომ სკოლის ხელმძღვანელობისათვის (დირექტორი შ. გაბიტაშვილი, მოადგილეები ი. დიასამიძე და ა. კოგაშვილი, ორგანიზატორი კ. ყალაბეგაშვილი) ეს ფაქტი ცნობილი გახდა იმთავითვე, მის აღსაკვეთად მათ არავითარი ზომები არ მიიღეს. დადასტურებულია, რომ ამ სკოლაში მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა წინათაც, მაგრამ არც სკოლის ხელმძღვანელობას და არც განათლების განყოფილებას იგი მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ.

განათლების სამინისტრომ არაერთგზის მიაქცია ადგილობრივი განათლების ხელმძღვანელი ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელების ყურადღება იმ არანორმალურ გარემოებაზე, რომ სკოლების გარკვეულ ნაწილში ადგილი აქვს მოსწავლეებში თანხის შეგროვებას მასწავლებელთა საჩუქრებისათვის, მოსწავლეთა გამოშვებასთან დაკავშირებით მეჯლისებისა და ბანკეტების მოწყობისათვის. ვეჯინის სკოლის სამარცხვინო მაგალითი ადასტურებს, რომ ადგილებზე არადამაკმაყოფილებლად სრულდება განათლების სამინისტროს კატეგორიული მითითებანი მსგავსი მდგომარეობის აღკვეთის შესახებ. დავსძენ, რომ ყოველივე ეს სახელს უტეხს მასწავ-

ლებლობას, სკოლების ხელმძღვანელობასა და განათლების ორგანოებს ფართო საზოგადოებრიობის თვალში და მის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა წარმოადგენს მთელი პედაგოგიური ფრონტის ღირსების საქმეს.

აქედან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში მიმდინარე ნეგატიური მოვლენებისადმი უკომპრომისო ბრძოლის შუქზე წარმართონ სკოლებში მასწავლებელთა შორის იდეოლოგიურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ ყველა მასწავლებელი და სკოლის ხელმძღვანელი იდგეს მოწოდების სიმაღლეზე, იყოს ღირსეული მოქალაქე, აღმზრდელი და მასწავლებელი.

გ) მკაცრი ბრძოლა გამოუცხადონ ლიბერალიზმსა და პროტექციონიზმს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში, მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებელი, საგნის სწავლებისას საჭირო ყურადღებას უთმობდეს მოსწავლეებში კომუნისტური აღზრდის ჩვევების გამომუშავებას, პირადი მაგალითით კეთილმყოფელ გავლენას ახდენდეს აღსაზრდელსა და მშობლებზე, იყოს მომთხოვნი, პრინციპული და სამართლიანი;

გ) არსებითად გააუმჯობესონ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მოსწავლეთა შორის, ჩაუნერგონ სიყვარული და პატივისცემა სოციალისტური თანაცხოვრებისადმი, შრომისადმი, საზოგადოებრივი საქმიანობისადმი;

დ) განამტკიცონ საქმიანი კავშირი მშრომელთა შორის მათთან პედაგოგიური მუშაობის მკვეთრად ამაღლების გზით;

ე) სასტიკად აკრძალონ სკოლებში მოსწავლეებსა და მასწავლებლებში ფულის შეგროვება, მკაცრად დასაჯონ ამ საქმეში შემჩნეული სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები.

2. დაევალოს გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებას (ამხ. ვ. ვ. კახაბერს):

ა) განიხილოს საკითხი ვეჯინის საშუალო სკოლის მასწავლებლების ე. ზარდიაშვილის, ი. დიასამიძისა და ე. ავალიშვილის მომავალი სასწავლო წლიდან ამ სკოლაში დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ;

ბ) მკაცრი კონტროლი დააწესოს ვეჯინის საშუალო სკოლის პედაგოგიური პერსონალის მუშაობაზე;

გ) ცნობად იქნეს მიღებული, რომ ვეჯინის საშუალო სკოლის დირექტორი შ. გაბიტაშვილი, ძმისი მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში ი. დიასამიძე და ორგანიზატორი კ. ყალაბეგაშვილი დაშვებული უხეში ანტისაზოგადოებრივი საქციელისა და პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევისათვის მოხსნილი არიან დაკავებული თანამდებობიდან;

დ) ვეჯინის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ა. კოგაშვილი სკოსნლმძღვანელობაში დაშვებული უხეში ანტისაზოგადოებრივი საქციელისა და პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევისასვის, მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდან.

3. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძემ) მასალები ვეჯინის სკოლის შესახებ გამოაქვეყნოს გაზეთის უახლოეს ნომერში.

4. ბრძანება განხილული იქნას აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროების კოლეგიებზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 3 იანვრის დადგენილება..

თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

2. ბრძანება № 1108 — სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წითელწყაროს რაიონში 10
3. მოხსენებითი ბარათი — სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წითელწყაროს რაიონში 17
4. ბრძანება № 23 — მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1974 წლის 24 აპრილის № 334 ბრძანების შესრულების შედეგების შესახებ თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონებში 93

5. ბრძანება № 24 — რესპუბლიკის საღამოს საშუალო სკოლებში პირველადი სტატისტიკური ანგარიშებისა და საანგარიშო მონაცემების სისწორის მდგომარეობის შესახებ 102
6. ბრძანება № 27 — კაჩრეთის საშუალო სკოლა-ინტერნატი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შესახებ 105
7. მოხსენებითი ბარათი — კაჩრეთის სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ 112
8. ბრძანება № 36 — ქ. თბილისის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, წითელწყაროსა და მაიაკოვსკის რაიონების ზოგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის შემოწმების შედეგების შესახებ . . 133
9. ბრძანება № 37 — ვეჯინის საშუალო სკოლაში საზოგადოებრივი მორალის ნორმების უხეში დარღვევის შესახებ 138
10. ბრძანება № 1108-ის დანართი 142
11. შინაარსი 148

ამ კოლეგიუმებიდან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან და ნაციონალურ დაწესებულებებიდან, რომლებიც ინსტიტუტებს ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების, ბიჯ-ბიჯობისა და მასწავლებელთა სათანადოებელი სამეცნიერო სამსახურის მიზნებისთვის 1974—1980 წლებში

№№ რიგზე	კოლეგიუმების და ნაციონალურ დაწესებულებების დასახელება	ინსტიტუტის ან ...	...	...	...	...	...	...
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	ზემო სამხარეთის კოლეგიუმის და სამთავრო სამეცნ.	სამთავრო-სამეცნიერო მოამზადებლების ფაბრიკა-ინსტიტუტის ზემო სამხარეთის ადგილსამყოფელი	12.8.7 (ეფექტური)	9,3	1974/II	წყალმოყვარეობის, ...	1979	სამთავრო მეცნიერების ...	
	...	...	20 (ბიბლიოთეკაში)	12,4	1974/II	•	1979	•	
		ზემო სამხარეთის სამეცნიერო და მეთოდური ...		84,0	1974/II	•	1979	...	
		სასოფლო-სამეურნეო ...	24.8.11	34,5	1974/II	•	1979—1979	სამთავრო მეცნიერების ...	
		მეთოდური ...	200 ...	22,2	1974/IV	•	1979	...	წყალმოყვარეობის ...
		მეთოდური ...	24.811	84,0	1974/III	•	1979—1979	•	
		ზემო სამხარეთის სამ. ...	20 ...	4,4	1974/IV	•	1979—1980	•	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2	[illegible]	[illegible] 16 1 სიმ. სკოლაში [illegible]	36	18	1974/IX	[illegible]	1975	[illegible]	
		[illegible] 16 2 სიმ. სკოლაში [illegible]	36	21.6	1974/VIII	•	1976	•	
3	ბ. [illegible]	[illegible] 16 1 სიმ. სკოლაში [illegible]	50 ად.	6,4	1974/XII	•	1975	•	
4	[illegible]	სკოლის [illegible]	3000 ად.	30,0	1975/IX	•	1975	•	
5	[illegible]	[illegible] სიმ. სკოლისთვის 14 [illegible]	350 მოსწ.	120,0	1975/IV	[illegible]	1976—1979	•	
		სიმ. სკოლის [illegible]		16,0	1974/IV	•	1976	•	
6	[illegible]	[illegible] სკოლისთვის 3 [illegible]	75 მოსწ.	19,0	1974/IV	•	1975—1976	•	
7	[illegible]	[illegible] სიმ. სკოლის [illegible]		27,0	1974/IV	•	1975—1976	•	
		[illegible] სიმ. სკოლა [illegible]		160,	1974/IV	•	1975	•	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
8	[illegible]	[illegible]		5,7	1974/II	[illegible]	1975	[illegible]	
		[illegible]	110 [illegible]	42,8	1974/IV	•	1980	•	
9	[illegible]	[illegible]	34/211	19,5	179/IV	•	1975—1976	[illegible]	
		[illegible]	38 [illegible]	5,4	1974/III	•	1978	•	
10	[illegible]	[illegible]	200 [illegible]	39,9	1974/III	•	1975	•	